საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

# არილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 2 ლარი

1134
2020



2020 / ნოემბერი
6 (292)

დილან ტომასი

## ნუ წახვალ მშვიდად იმ გრძელ ღამემშვიდობისაში

# სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა


| | | |
|---|---|---|
| პოეზია | 1 | ნინა სამხარაძე |
| | 6 | ილია ჭანტურია |
| | 9 | სოფო წულაია |
| | 12 | თორნიკე რობაქიძე |
| პროზა | 15 | მანანა მენაბდე \| ფრენის დღე ოთხშაბათი |
| | 23 | ვახტანგ კომახიძე \| რეინკარნაცია |
| | 33 | მანანა დუმბაძე \| ჩემი ქართულ-ებრაული საუკუნის გარიგება“ |
| თარგმანი | 38 | ოთხი ლექსი ინგლისურენოვანი პოეზიიდან \| ინგლისურიდან თარგმნა ლელა სამნიაშვილმა |
| ესე | 41 | სიუზენ ზონტაგი \| მომნუსხველი ფაშიზმი *ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ* |


გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
**მალხაზ ხარბედია**
**შადიმან შამანაძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ინა არჩუაშვილი**

მხატვარი **მამუკა ტყეშელაშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თამაზ ჩხაიძე**

პროექტის მენეჯერი **ეკა ხარბედია**



სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.


არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი

ბალბური


ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან



© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია



ჟურნალი გამოდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

მწერალთა სახლი

# ნინა სამხარაძე

## მახო

ბოლოს როდის გიშველე ღმერთო.
მებადურის ბადესავით
დახვრეტილხელება ჩემო ღმერთო.
საშველს ნუ ეძებ,
ჩემთან შველა არის უშვილო.
მე გარდაცვლილი მათხოვარი
მახოს ხელები
ვნახე და მანდარინს მივამსგავსე
იმ ღამეს მთვარე,
ყველა თამბაქოს სუნს გრძნობდა
მე კი ფორთოხლის,
ჩემი ბავშობის სურნელი აქვს
მის ბინძურ მკლავებს.
ჯერ კიდევ გუშინ
მოპარული ვაშლები მომცა
შენ როგორც აძლევ წირვების დროს
შენს წილ ხორცს, მისხალს
და მრავლდებიან შენ წილ სისხლხორცად
მამა ხარ მათი სისხლი და ხატი.
ჩვენ კი რა გვექნა
უწამურად დარჩენილ ბავშვებს
მუხლებდამტვრეულს ქუჩის ბოლოს
მე მყავდა მახო,
სიმინდისფერი თითებით და
უხეში წვერით,
როცა ახალ წელს სხვა ბავშვები
საჩუქრებს ჭამდნენ
ჩემი ბედობა მახო იყო
თამბაქოს სუნით
გაჟღენთილი მანდარინებით.
უკვე დიდობას ვაკითხავდი
გზის ბოლოს ქვაზე
თამბაქოთი და მიყურებდა
როგორც დარგულ იმ ერთადერთ ხეს
ცხოვრებაში რომ უნდა დარგო
და ისე მოკვდე.
და ასე მოკვდა.
მანდარინი მეგონა მთვარე
ჩემი სისხლი ყარს ფორთოხლის სუნად
და ჩემში ახლა ნუ ეძებ საშველს
რადგან აქ შველა არის უშვილო
ანუ ერთხელ და მერე მორჩა, როგორც სიკვდილი.



## წერილების ციკლი

1

მკვდარი ბიჭები სამყაროს ცვლიან.
არ მინდა მოკვდე.
შენი ჩრდილების გოლიათებს
აღარ აქვთ ძალა,
ეს შიში არის პატარა და ისეთი ნორჩი
არ მინდა მორჩე,
თუნდაც სამყარო გამოუცვლელ
ტკივილად დარჩეს.
არ მინდა ვჭამდე
ქვებს და სისხლი მდიოდეს თმიდან,
როგორც იმ ქალებს
ავტორები რელსებს რომ ვუწყობთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ურჩხულებს ლვიძავთ,
შენზე დიდებს, შენზე მრისხანეს,
გადაყლაპულ ჩემ ქვეყანას
ალბობენ ნერწყვში,
და ვერ იქნება ველარავინ ისე მდიდარი
როგორც მე შენით -
შენ თუ ისუნთქებ სულ და მარტივად,
შენ თუ იქნები ისე ნამდვილი
ალბინოს მინდვრებს რომ დაანვე
ფიქრად და ხინჯად.
შენი სული, შენს ჩრდილზე დიდია
ახლა,
შენი თითები ჯებირი ზღვების,
მთების და ჩემი,
მე მინდა ვიყო ალმართებზე ყველა
ის დაღლა
სადაც ჩერდები...
სადაც წყალს სვამ და ხელახლა დგები,
რომ გააგრძელო ნერწყვიანი
სამშობლოს ძებნა.
ურჩხულებს ლვიძავთ.
და ჩემი გული ყოველ ღამე
სარკოფაგდება...
სადა ხარ ახლა...
დღეს სამშობლოა ჩემი დარდი
შენ და ეს წვიმა -
სუნი რომ ყველგან ერთი აქვს და
გემო ნეკერჩხლის...

2

ჩემი გრძნობები სიკვდილზე შორს
გრძნობენ სიცოცხლეს
მაინც იმავე ტოტებიდან დაიწყე მოჭრა,
სადაც ჩიტივით მისხალ-მისხალ
ვზიდე სიტყვები. ვაშენე ბუდე.
ვა-შენე ჩემი მთის ყვავილის
ნატანჯი სული.
დაბადებიდან შენამდე რომ
გავზარდე თმებით შეკრული კონა
ყველა იმ ქალის სიცოცხლეს უდრის
ვინც მიმტვრევს ტოტებს,
ვინც მიჭრის ხეებს,
რადგან დიდი ვარ როგორც სამყარო.
ჩვილის გულივით ვიყავი ნორჩი
და პოეტურად ამპარტავანი
ისე დამთავრდი,
ჰო.. ისე მორჩი
ჯერ მოხუცივით დაპატარავდი,
შემდეგ ნატკენი მუხლებივით
საერთოდ გაქრი.
გულშიც კი ველარ გიტოვებ ხინჯად.
შენი ხელები ჯებირებად ალარ ვარგია
შენი მოჭრილი ტოტებიდან
ჩიტები ცვივა
სისხლიანი და დაფლეთილი
ცვივა ჩიტები.
ალარ ვარგია არცერთი მძიმე
სადაც მოჭრილი წერტილი დავსვი,
ალარც ვიბნევი.
ურჩხულებს ლვიძავთ,
გახსოვდეს რომ ურჩხულებს ლვიძავთ.
შენი ცხოვრების მიღწევებში
ყველაზე დიდი აი ეს არის,
მე რომ მიყვარდი -
სამყაროს ხელას.
და ის ტოტები რომ მიჭრიდი
ჩეხდი და სტკენდი.
აი ეს არის რაც უნდა მეთქვა,
რომ პლანეტა ვარ შენ რომ დაკარგე
პოეზია ვარ შენ რომ დაკარგე
ემოცია ვარ შენ რომ დაკარგე
სიყვარული ვარ ერთხელ რომ მოდის.
შენ კი დასმული წერტილების ერთობლიობა.

3

ვერ შემეშველე, არა ვარ მჩატე,
დახუნძლულ ხეებს ბავშვზე მეტად
სტკივათ მუხლები,
რადგან ნაქცევა არ შეუძლიათ.
იარებია ეს ჩემი სახე
და ყველაფერი რაც შიგნით ფეთქავს
ხმება და ჭკნება.
ხვალ იქნებ მოვკვდე
და გავიტოტო ატმის ხედ შენში,
ან იქნებ ცოცხალს გადამექცე
გახსნილ პერანგზე..
არ ვიცი ახლა რას აქვს აზრი
წერტილს თუ მძიმეს,
დუმილს თუ წერას,
ყველაზე სუფთა რაც შემომრჩი
უნდა მიყვარდე.
არა ვარ მჩატე, ვერ შემეშველე,
მტკივა ტერფები.
უმამურობას, უბავშობას
მოვათრევ ზურგით,
და ეს ხელები შეუხებლად
გრძნობენ ურჩხულებს
და ეს თითები კანის ქვეშაც
იხედებიან.
ვერ შემიფარებ,
მუხლებიდან მცვივა მტრედები,
კედლის კუთხეში ჩემებურად იმუხლებიან.
ვერ შემიფერებ,
მძიმე არის ჩემი ეს მხარე,
მძიმეა ჩემში უგვირგვინო
ბრონეულები.
მე პოეტი ვარ,
ვერ გადაგდებ მეორე მხარეს,
სანამ ბოლომდე სისხლისფრად არ
მოვითხუნები,
სანამ არ დაგწერ ისე კარგად რომ
უკვდავს გაქცევ,
სანამ არ გტანჯავ ისე მძიმედ რომ
ქრისტეს გავდე,
ამიტომ როგორც ქალი ისე
გემშვიდობები.
მშვიდად და ნყნარად,
რომ არ გატკინო შენი წილი ბედნიერება
რომ არ გაგსვარო პოეტების ზიარებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4
იმ ყვავილებს კრეფ
რომლის სუნიც ვაზამდე ქრება,
შენ ისევ ისე უსულო ხარ
როგორც საგანი,
მუცლიდან დამყვა ყველაფერზე
წინასწარ ღელვა
მერე ნელ-ნელა ერთმანეთზე
გადავამრავლე.
ვაზიდან იღებ დამჭკნარ ყვავილს,
მე რა უნდა ვთქვა თებერვლის იამ
ან რაზე უნდა გელაპარაკო.
მათზე ნადირობ ვისი ხორციც
უვარგისია.
სიტყვები ყრია
დღეები ყრია
თვეები ყრია
მე დავიგრძელე ყურზე საყურე
და ეს ღიმილი ყველგან დავფანტე.
ისევ ჭრი ხეებს,
მაგრამ მათი ალი არ გათბობს
მათი ტოტები კანის ქვეშ ვერ იხედებიან.



## ღამემ დაგვიფაროს

ღამემ დაგვიფაროს ღმერთებისგან,
იმ უიმედო ღმერთებისგან
ყველა სამრეკლოზე რომ გოლგოთა აქვთ,
გოლგოთა ააქვთ.
და მერე ვიღაც სერაფიტას
(ფერისმჭამელებიანი სახით)
გამოგზავნილს ანგელოზად
(ადამიანური მარცხით)
გული გააქვს -
კარში სადაც უკვე დიდი ხანია აღარ დგახარ,
კართან სადაც მარხავ მარხვით
სხვების სამარხს.
ღამემ დაგვიფაროს ღმერთებისგან,
ის უიმედო ღმერთებისგან
თითები რომ ნახშირად გვიქციეს,
და ტკივილებიც ბერდებიან
უფრო ავი ხდება სიმშვიდე და
ღმერთმა დაგვიფაროს ღმერთებისგან
ჩვენ რომ აბორტივით ვიყიდეთ.
მკვლელის ნაცრისფერი სახით და
მეტად გადამლილი ფეხებით,
რწმენა მოშლილი მუცლიდან
უფლის და უუუფლის შეწყვენა
რთული გახდა...
ღმერთმა დაგვიფაროს, ღმერთებისგან
რწმენადაცლილი ღმერთებისგან,
ტკივილგამოცლილი ღმერთებისგან,
ავი, ცინიკოსი ღმერთებისგან
და მერე იქნებ ავიტანოთ ჯვარიც და ჯვარზე სიმარტოვეც...
რომ არ ნავხდეთ.

## გადაჭრილი ხე

გადაჭრილ ხეზე ვინც მჯდარა იცის
რომ არაფერი არ გვარდება ერთხელ გადაჭრით..
მანამდე თუნდაც გაზომო ასჯერ.
ღამით ყველაფერს ორმაგად ამჩნევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვენში მორბენალ ვირთხების ტანგოს,
წვეთების კაკუნს ფანჯრის მინაზე,
და მთავარია არავინ განახოს
ჩაცმული როგორ წევხარ დივანთან.
იესოს ლოცვებს ფსკვნილის ნაცვლად
მარგალიტის მძივზე ითვლი და
რა საჭიროა ველარ ხვდები ამდენი გარჯა.
აქ არ დადიან მატარებლები,
რელსებზე ძაღლებს სძინავთ
ყინვაში უნდა ინატრო
რომ დაგიფაროს ყინვამ.
ერთხელ გადაჭრილ ხიდან მიათრევს
ასჯერ გაზომილ ბუდეს ფრინველი
და თითქოს სჯერა რომ მიატანს გაზაფხულამდე.
სამყარო მინდა გაუზომავ-უკაცრიელი
საკუთარ ლოკვამ ტკივილები რომ დამიამოს.
ხის თეთრ რაფაზე შემომიწყო კვერცხები ჩიტმა,
და სანამ ჩაი ორთქლად იქცა დამდნარ ქურაზე
მეზობლის ბავშვის ტირის თოფის უმიზნო რისხვამ
შემოანირა დედა ჩიტი დამპალ ლულას და
ჩემი ცხოვრებაც თვალებს ზუსტად ისე ლულავდა
ჩემი ცხოვრება ზამთრის ერთი დიდი სიმკაცრე
ჩემი ცხოვრება ჩემ წინ ინვა და
მე ვინვოდი მის წინაშე.

## შველა

ყველას უნდა შველა.
მატარებლის მძღოლს,
იმ შავი ძაღლის პატრონს
და ხესთან რომ შარდავს იმ კაცსაც...
ჩემს სხვენში ბინა ვირთხამ დაიდო
ისევ, და შველა უნდა იმასაც.
მე დღეს ჩიტები არ დავაპურე
ქარია მეთქი.
ქარია მეთქი გესმით?
და მერე მე რომ შველა დამჭირდა
და მერე მე რომ მოვლა დამჭირდა
მე გავუკეთე ჩემს სხეულს ნემსი.
შველა ყველას უნდა
ისევ გაწვიმდა.
არნივებს მიაქვთ თავისი წილი
ლეში სხვენიდან.
მე მკვდარ ჩიტებზე პურის მარცვლებს
ვანყობ და მტრედებს
ვეპატიჟები მათ სანაცვლოდ
იქნებ დავმშვიდდე.
შველა ყველას უნდა
იმ ქერა ქალსაც აფთიაქის გრძელი რიგიდან,
შაქარდაცემულს რომ დამიდგა წინ და უსიტყვოდ
უსიტყვოდ მომკლა,
იმ შავ მამაკაცს გზაჯვარედინზე უნაგირიდან
დედის გინებით რომ წავიდა,
ყველას გზის მოჭრით.
მეც მინდა შველა,
მაგრამ არა, მჭირდება უფრო..
იმ ავტორების ვერ გავიგე მატარებლებს რომ
უგდებენ ქალებს,
როცა ჩემ სხეულს ყოველ ღამე რელსებზე ვუწყობ
იმ იმედით რომ ვინმე მნახავს
სიკვდილზე ადრე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ ჩემს ფანჯრებთან აღარ მოვლენ
ალბათ ჩიტები,
და მზად ვარ ღმერთით მოვისმინო ეს აღსარება.

## აალება

ახლა ძლიერ მინდა აალება,
ანდა გაქვავება ყინულივით
მჯელიც ვიყავი და სახარებაც
ავი ეშმაკიც და ქერუბიმიც

რადგან თვეც მე მერგო ნაკიანი
ვივი ნაზამთრალი უალერსო
ასე ვერ დაგვტოვებს ნაკლიანებს
სუნთქვა სიკვდილზეა უარესი.

ასე ვერ დაგვტოვებს უიმედოდ,
ასე ვერ დაგვტოვებს უსახლკაროდ
ასე ვერ დავტოვებთ ცას და მიწას
ღმერთიც აღარ დარჩა მოსაკლავი.
ღმერთიც აღარ დარჩა საიმედო
მხეცთან მიგდებული მომთაბარე
წუხელ სიკვდილისთვის გავიმეტე...

ზოგჯერ გზა არ არის აღმართები
ზოგჯერ სახლი ჰქვია ნასახლარებს
და მე ცხოვრებასთან დამარცხებით
სულ სხვა ცხოვრებასაც დავამთავრებ

ღმერთიც კაცია და უიმედო
მხოლოდ ჩვენ გვერჩიან ნაკლიანებს
ახლა ისე ძლიერ დავიღალე
გულში ამოსული სახარებით
სულ სხვა ცხოვრებასაც დავამთავრებ,
სულ სხვა ცხოვრებასაც დავამთავრებ
სულ სხვა ცხოვრებასაც დავამთავრებ...

## ლირიკა

ვხედავ როგორ უვლი ლერწამს
ლეწავს ქარი როცა ტოტებს
წუხის ცრემლების კი მე მწამს
ყველა რომ მიდის და ტოვებს
წვიმა შეეხიზნა მთა-ბარს
მიწა ტკივილისგან ფეთქავს
ფიქრი მე არ ვიცი სხვათა
ახლა მთავარია მე მწამს!
ახლა მთავარია მეცვას
მარტი დედასავით მყუდრო
მერე მე ვიქნები მესა
შენ კი ათეისტი მგზავრი -
ხარბად შემოაღებ კარებს
ხელში თამბაქო და ჩილით.
ისევ შეიბრალებ ლერწამს,
ფიჭვის სურნელია გარეთ
ახლა რაც არ უნდა მეცვას
მთელი სხეულით რომ მნამდეს -
(მუხის ცრემლიანი ურდო),
აღარც შენ იქნები მგზავრი
აღარც მე ვიქნები მყუდრო.

* * *

თუ ვერ გაცურავ, ზღვა დააშრე! -
გადი ნაპირზე.
მკვდარი თევზების სიბრალული არ
მოგცემს ნიჩბებს..

(შენი სხეული არ ადარდებს არცერთ
მებადურს)

* * *

ნუ გეშინია...
ეს სიბნელე ღამეა მხოლოდ,
ზამთარგამოვლილ ფოთლებივით
დაჩვრეტილ ფარდებს გაწევს ვილაც და
დარწმუნდები რომ ლოგინის ქვეშ
არავინ ცხოვრობს,
რადგან ურჩხულებს ბინა მოსწონთ
(ლოგინის ზემოთ) -
ადამიანთან.

* * *

ღმერთის ნარჩენებს გემო კი აქვს,
გემო ნეკერჩხლის,
გემო სხეულზე ჩამომდნარი
წვიმის და თოვლის,
დღეს ისე ვუცდი ცივ ხელებზე
სველ და ნაზ ფიფქებს
ვით უნაყოფო ქალი ელის
თბილ ახალშობილს...

* * *

ყველა გადაწერილ პირჯვარს გეფიცები,
ჩემი ღმერთის ხორცი პურის მარცვლებშია -
ახლა ფანჯრის წინ რომ ღრღნიან შოშიები.
ჩემი ღმერთის სისხლი - ყანწის სასმისივით
უბნის ლოთებს ადევთ ტუჩთან მოშიებით.
ხოლო სახარების მე ვარ განმარტება -
ყველა მოუნათლავ ბავშვად შევიცანი,
მიუტევები ხარ ფუჭი აღსარებით
რადგან ყველა ცოდვა ჩემი შენიც არი.
ყველა გადაწერილ პირჯვარს გეფიცები,
ახლა ჩემი წყალი შარის მეძავივით
ნამად ფოთლებზეა, მზეებს ეფიცხება,
ახლა ჩემი ხორცი - ცხენის უნაგირი,
მიწებს შემოივლის როგორც ბედისწერა.
რადგან ჩემი ძვლები შენი ჭიშკარია,
ყველა ჩემი სუნთქვა შენში შევიკარი,
უპატიები ხარ რადგან დამიჯერე,
რადგან ყველა ცოდვა ჩემი შენიც არი.

ყველა გადანერილ პირჯვარს გეფიცები,
ჩემი ღმერთის ხორცი პურის მარცვლებშია -
ახლა ფანჯრის წინ რომ ღრღნიან შოშიები..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ილია ჭანტურია

## შენიშვნები

ისინი ამბობენ:
ჩვენ განვვლეთ ცხოვრების გზა,
ჩვენ გადავლახეთ მრავალი ბარიერი,
ჩვენ ვიცხოვრეთ,
ახლა კი დროა ჩამოვჯდეთ და ვთქვათ,
ჩვენ რამდენიმე შენიშვნა გვაქვს თქვენს მიმართ და უნდა გაგვიგოთ,
პირველ რიგში,
უნდა იყოთ კეთილები, თუკი ხართ უპოვრები, თუკი ხართ ღარიბები.

ისინი ამბობენ:
უნდა მოიქცეთ დადგენილი ეტიკეტის მიხედვით, რა საჭიროა ბღავილი და ყვირილი ფულის თხოვნისას,
ფეხებზე ჩამოკიდებებზე არც ვლაპარაკობთ.

ისინი ამბობენ:
ამაზრზენია!
მოიქეცით ისე როგორც ნორმალური ადამიანები იქცევიან,
რა საჭიროა შეფურთხება ფულის მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაში.
რა საჭიროა ეს ყველაფერი.
ისინი ამბობენ:
ჰიგიენა! ჰიგიენა დაიცავით ხოლმე,
ქუჩები ყარს თქვენი სუნით!

ისინი ამბობენ:
საერთოდ არ გვიხბლავს თქვენი ქცევები, ველარ დაიმსახურებთ ჩვენს სიმპატიას,
ალბათ ხვდებით, რომ გჭირდებით.

ისინი გვირჩევენ:
შეიცვალეთ!

ისინი გვსაყვედურობენ:
სიჩუმე! სიჩუმე! სიჩუმე!

ისინი გვიფრთხილდებიან:
ნუღარ! ნუღარ!
ველარ შევთანხმდებით!

ჩვენ კი არ ვჩუმდებით და მაღალ ხმაზე გავყვირით:
მათ ეშინიათ! მათ ეშინიათ!
მათ ეშინიათ ჩვენი!

ჩვენ ეს უკვე ვიცით და ვამბობთ ამაყად:
ბოლო სიტყვა ჩვენი იქნება!
ბოლო ტყვია ჩვენგან იქნება!
ბოლო წერტილს ჩვენ დავსვამთ!
„უკანასკნელი მომენტი მაინც ჩვენ გვეკუთვნის -
აგონია ჩვენი ტრიუმფია!"
გვჯერა!



ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *



უთხარი ყველას,
გააგებინე,
ჩემი სახელია წვიმა.
უთხარი ყველას,
რომ ახლა, ამ წუთას
ისინი წვანან სველ ასფალტზე,
აფარიათ საბანი და
უყურებენ ცას
და მღერიან სიმღერებს
იმიდან ვერდაბრუნებულ შვილებზე.
უთხარი ყველას,
როცა სახლიდან გამოვდივარ
მხვდება ქალაქი,
რომელიც მე შეიძლება ვყოფილიყავი,
რომელიც მე არ ვარ.
გააგებინე
მე დავიღალე
შენ დაიღალე
ჩვენ დავიღალეთ ამდენი ბრძოლისგან
და დროა დავსხდეთ სკამებზე და
მოვუსმინოთ შოპენს ან შოსტაკოვიჩს.
უთხარი ყველას
მე ვდგავარ ჩემივე კარის ზღრუბლთან და ვაბრახუნებ კარზე
სანამ არ ჩატყდება,
სანამ მინა არ ჩაყლაპავს არემარეს,
მე მანდ ვიდგები,
სანამ ვარსკვლავები არ გადაწყვეტენ მოგზაურობას სხვა შორი გალაქტიკებისკენ.
უთხარი ყველას
მე დავიღალე,
ჩემი სახელია წვიმა.

## ბრტყელტუჩა

როგორ იწყენს ხოლმე,
როცა მარტო დევს.
დევს კარადაში,
ან სკივრში
და იშვიათად თუ გამოვიყენებ.
მარტოსულია ყველა ბრტყელტუჩა.
რომელსაც მავანნი მოიხსენიებენ როგორც პლოსკოს.
ცხონებული ჩემი მეზობელი,
გიჟი კუკურიც სულ პლოსკოს ეძახდა.
ჩამოჯდებოდა ქუჩაში და
გამვლელ პატარა ბიჭუნებს
თავისი პლოსკოთი კუტუს გაწელვით აშინებდა.
ბავშვები გარბოდნენ.
კუკური ხარხარებდა.
მაგრამ ეს ლექსი არ არის კუკურიზე,
ეს ლექსი ბრტყელტუჩაზეა,
ჩემ ბრტყელტუჩაზე,
რომელიც დიდი ხანია მარტო დევს
ხან კარადაში,
ხან სკივრში,
და იშვიათად თუ გამოვიყენებ.
მარტოსულია ყველა ბრტყელტუჩა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## დედაჩემის საყიდლების სია

საჭმელი პროდუქტები:
კარტოფილი, ხახვი, ნიორი,
ყველი (სულგუნის).
სარეცხი საშუალებები:
„ფეირი", სარეცხი ფხვნილი.
წამლები მოხუცებისთვის:
სენადე, ვალიდოლი, კაპტოპრილი
და პარაცეტამოლი (ბაბუაჩემის ტკივილების გასაყუჩებლად)
პამპერსი ბებიასთვის.
სახატავი ფანქრები ჩემი პატარა დისთვის,
და დიაზეპამი მამაჩემისთვის (უძილობა დასჩემდა ამდენი ღამის თენებისგან)
და ბევრი დამამშვიდებელი თავისთვის,
ბევრი, ბევრზე ბევრი.

* * *

ღმერთო, დალოცე ქალი მარინე ეკლესიაში შენი ხატის წინ მდგარი,
ღმერთო, დალოცე ქალი მარინე, რომელიც შენი ხატის წინ დგას და ცრემლები იღვრება მისი
თვალებიდან,
ღმერთო, დალოცე შენი ხატის წინ მდგარი მტირალი ქალი მარინე, რომელიც ვერ გეკარება,
რადგან სისხლმდინარია იგი.
ღმერთო, დალოცე ქალი მარინე, ეკლესიის კუთხეში რომ დგას განმარტოებით,
მოხურული აქვს შავი შარფი თავზე და ლოცულობს ჩუმად,
ლოცულობს ჩურჩულით, იმისთვის, რომ მისი ხმა მრევლმა არ გაიგოს,
ღმერთო, დალოცე ქალი მარინე შენს ტაძარში განმარტოებით მდგარი,
რომელსაც ელოდება სახლში სამი ბავშვი, სამი შვილი, რომლებსაც შიათ,
ღმერთო, დალოცე ქალი მარინე, რომელმაც სამი წლის ასაკში ნახა თავის ოთახში ჩამომხვრჩალი
მამიდაშვილი, მერე ოთახიდან გავიდა და დედას უთხრა,
„დედა, ნანო კიდია ჭერზე"
ღმერთო, დალოცე ქალი მარინე, რომელსაც ორი წელია დედა გარდაეცვალა და
გარდაცვლილი დედის პენსიას იღებს დღემდე და საერთოდ არ ცხვენია ამის,
ღმერთო, დალოცე ქალი მარინე, გუშინ რომ შეუსრულდა 44 წელი, ქირის გადაუხდელობის გამო კი მალე
ბინიდან გააგდებენ,
ღმერთო, მიიღე ეს ლოცვა მისგან,
მიიღე და ნუღარ გაკიცხავ, რომ გუშინ იწვა და გუშინწინაც და ალბათ იმის წინაც
სხვა და სხვა კაცთან 20 ლარისთვის,
ღმერთო, მიიღე 44 წლის ქალი მარინე, მიიღე,
რამეთუ დგას ის შენს წინ და ცრემლები იღვრება მისი თვალებიდან,
ასეა, ცრემლები ასველებენ მის ლაწვებს,
თვითონ კი ლოცულობს,
ლოცულობს ჩუმად ისე, რომ სხვამ არ გაიგოს,
გარეთ კი ერთი მათხოვარი უწყრება მეორეს, იმისთვის რომ ადგილი წაართვა,
ღმერთო!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფო წულაია

## დაბადება

*მე იმაზე მეტად როდი ვარ დედაშენი,*
*ვიდრე ღრუბელი "*

*სილვია პლათი*[1]

გამხმარი ხის ძვლებივით აშრიალდა
ქარის შეხება ქალის სხეულზე
და სახლმა, სადაც აკვანს მუდამ სიკვდილის
სუროსფოთლებშემოკრული ხელი არწევდა,
ჩვილის ტირილი გამოისხა მზისფერ მტევნებად.
- ბავშვი საიდან? - კითხულობდა უცნობი მგზავრი,
- ამ ქუჩაზე ხომ კაცს არასდროს არ ჩაუვლია?!.
ამ გზაზე მუდამ აფხიზლებენ დაგეშილ მწევრებს
და თუკი ვინმეს ასახვევთან თვალს შეავლებენ,
წივარდებიან და მჭლე ფერდებით მტვერსაარუტივით შეისრუტავენ
იმედების და სურვილების კამკამა ბელტებს.
და რა იცოდა უცნობმა მგზავრმა,
რომ ბავშვს, რომელიც ქალს აქამდეც უნდა ჰყოლოდა,
მის გარდა ყველა ქალი აჩენდა,
მაგრამ მაინც ველარაფრით ვერ დაიბადა.
ჭერე ღრუბლებმა გადაწყვიტეს მისი დედობა -
განიერი თეძოები კიდევ უფრო გადაითქვირეს,
ფიქრებიდან და სიზმრებიდან გამოშიგნეს
ყველა სათუო წვიმა და თოვლი,
ყველა გზა და მთა, რომელიც უნდა გადაეტბორათ
და ტკივილების გასაყუჩებლად ათასობით ცის მტვერი ყლაპეს,
ძლივს გაჩენილი პატარა ბავშვი კი იმ ქალს მისცეს,
მარტო რაფასთან იებივით ჩუმად ჯდომა
და მოლოდინი რომ იცოდა
და დედობისთვის ერთხელაც კი არ უბრძოლია. . .
ქალს კი, როგორც კი ჩვილს შეხედა,
იარულისგან ფრთები დასცვივდა -
ველარასოდეს ვერ შეძლებდა სადმე გაფრენას,
ველარც იმ კაცთან, სულ რომ ელოდა,
მაშინაც კი, როცა იცოდა, რომ დაივიწყა
და არასოდეს დაბრუნდებოდა.
და იმ წამიდან ყველა ტკივილი
მხოლოდ სიმშვიდის ხმას ასხივებდა
და ყველა იმედს მარტო იმედის სურნელი ჰქონდა -
ეჭვებისა და შიშის ბასრი გემოს გარეშე.
და ყველა გზაზე ბავშვთან ერთად რომ გადაკენკა,
ქავვის ადგილას ცრემლიანი ია აყვავდა
და ჯოჯოხეთი სამოთხედ იქცა.



[1] ზეინაბ სარიას თარგმანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაბრიელს

*მენატრება დედაჩემის პური"*
*მაჰმუდ დერვიში*[2]

ჩემი ეზოს უნაყოფო ხეებმა - ცხოვრებაში ტანზე ფოთოლიც რომ არ გამოსვლიათ -
პეპლები გამოისხეს,
ჩემი ოთახის უსახურ კალზე ფერადი ჟღარუნები თვალებს რიტმულად ახამხამებენ,
ყველა მუქ კაბას ტანზე ჭრელმა ყვავილებმა გამოაყარა,
ამომშრალი და ძირგათეთრებული აკვარიუმები ოქროს თევზებით გადაგვევსო;
როცა გამხმარ ხესავით უშნოდ გაფშეკილ,
როცა სიცოცხლეგამოცლილ სხეულზე
შენი პატარა ხელისგულები მეხება,
მგონია, გამხმარ ფიქრებში რძე მიდგება,
მერე სათამაშო ჰარმონიკასავით
ნელ-ნელა იშლება ჩემი სული
და სანამ ისევ შეიკუმშება,
ვცდილობ, რაც შეიძლება ღრმად შეგისუნთქო,
როგორმე მომდევნო ჩასუნთქვამდე რომ გიმყოფინო...
სადაც არ უნდა ვიყო,
რომელი ქვეყნის ცაც არ უნდა მეხუროს თავზე
რკინის მუზარადივით
და რომელი ქალაქიც
არ უნდა მაწვეთებდეს ყურებში უსახურ ხმაურს,
შენი სურნელი ყველგან მესმის,
შენს გულისცემას ყველგან ვაყურადებ, ვითვლი და ვდარაჯობ...
შენს ღიმილს ყველგან ვუღიმი...

რაც შენ მყავხარ,
მეჩვენება, რომ ჯერ პატარა, უფანჯრო ოთახში რამდენიმე საათით ვიყავი ჩაკეტილი,
მერე კი ვიღაც ძალიან ახლობელმა შემთხვევით მიპოვა და ჰაერზე გამომიყვანა...
შენთან პირველი შეხების წამიდან ისე ვანათებ, თითქოს:
სისხლის და ძვლების,
მარტოობის და მძიმე სამსახურის,
წარსული ტკივილებისა და სიკვდილების ნაცვლად დინოფლაგელატებისგან შევდგები.
ვერ ხვდები, ეს რას ნიშნავს, არა?
როცა გაიზრდები, აუცილებლად აგიხსნი, შვილო!
მანამდე კი:
ჩვენ სულ გვექნება ერთი ნაჭერი პური,
პური, რომელსაც არასდროს გავყოფთ შუაზე.
რატომ? იმიტომ, რომ ის მთლიანად შენი იქნება.
მე რას შევჭამ?
მე ძირს დაყრილი რამდენიმე ნამცეცითაც შევძლებ ყრუ შიმშილის გამოკვებას;
იქნებ, ჩვენს პურზე კარაქი და ხიზილალა ვერ გადაგისვა,
მაგრამ სახლში ერთი ნაჭერი პური სულ გვექნება.
ჩავიცვამ ჩემს ერთადერთ დაბებკილ კაბას,
თავზე გვერდებშემორღვეულ თავშალს წავიკრავ
და პურის ყანების დასალეწად წავალ,
ხორბლის დასაფქვავად წავალ
და წისქვილებს ჩემი წვრილი მაჯებით დავატრიალებ,
მერე ცომის მოსაზელად წავალ,
და პურსაც მე გამოვაცხობ...
გპირდები, ჩვენ სულ გვექნება ერთი ნაჭერი პური
და შენ ვერასდროს იგრძნობ
მასში ჩაღვრილი ჩემი სისხლის და ცრემლის გემოს,
ჩემი ტკივილების გემოს,
უბრალოდ გეგონება, რომ შენი დედიკოს გამომცხვარ პურს
სულ სხვა გემო აქვს და ამქვეყნად ყველა პურზე გემრიელია.

---

2 ბაჩანა ჩაბრაძის თარგმანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიკვდილი მიზეზი არ არის

მე დაბერებას ველარ მოვასწრებ - ჩუმად მოვკვდები ძველ უბანში, ჩემს სახლთან ახლოს,
მეგობრები კი შეეცდებიან, რკინის პატარა ჯვარი აღმართონ იმ ადგილას,
სადაც დავემთავრდი,
ანუ გავგრძელდი მეორე გზიდან
და იმ წამიდან ყველა ნაცნობს და ყველა უცნობს ვაიძულებ
ძლივს ნასწავლი პირჯვრის წერის რკინის ჯვართან მექანიკურ გამეორებას;
და მე ვიქნები ყველაზე მშვიდი, ანუ ისეთი, როგორად ყოფნაც აქ ვერ შევძელი
და იმ დღიდან აღარავის არ დავესიზმრებ,
მეც აღარავის დავესიზმრები,
რომ არ ეგონოთ, თითქოს, მინდა მათი წაყვანა უხორცო სახლში.
და როცა ჩემს ჯვარს დაატყდება ატმების და ჭერმების თოვლი,
ყველა იტყვის ვინც კი მიცნობდა, ვისაც ვიცნობდი,
რომ ვაკლიყვარ მათ ცხოვრებას როგორც სურვილი -
ვერავისთვის ვერ გამხელილი, მაგრამ საჭირო;
ჩემს ლოგინთან ვერ იპოვიან გაბნეულ ფიქრებს,
უძილო სიზმრებს,
ძილში შეკრთომებს
უსახლო ტკივილს
და მარტოობას
ჩემს ლოგინთან ვერ იპოვიან,
იქ დახვდებათ ძმები გრიმების ზღაპრების წიგნი
და იტყვიან, და თუ მაინც არ იტყვიან, გაეფიქრებათ,
რომ აღარ იყო ამის კითხვის დრო და არც ადგილი ჩემს ცხოვრებაში.
მათ არ იციან - ან საიდან ეცოდინებათ,
პატარა გოგოს დედობისთვის რომ ვამზადებდი დიდი ხნის წინათ გამოფიტულ, გამოხრულ სხეულს,
ზოგჯერ ასე რომ უნდებოდა სხვების სიკვდილი, ან თავის მოკვლა - გადაფრენა ღია ფანჯრიდან.
ჩემს გაფუჭებულ ლეპტოპთან მივლენ,
ბევრს ეცდებიან ჩართვას, მერე რესტავრირებას,
მაგრამ ვერაფერს გახდებიან,
იქ კი უკვალოდ ჩაკვდებიან ჩემი ძველი ჩანაწერები -
ფანერიდან სულ ცოტა ხანში რომ გაცხადდნენ
და ძმრად მადინეს ყველა ამბავი რაც მოვიგონე
და როგორც კი გამოვიგონე, იმწამსვე ახდა.
ჩემი ქმარი კი, იმის ნაცვლად, მე გამიხსენოს,
გაიხსენებს კაფკას პრაღაში ჩვენს უკანასკნელ მოგზაურობას -
ქალაქში, სადაც თითქმის არ ვჩანდი,
იმიტომ, რომ ვერ ვისწავლე მთავარი როლის ტანზე მორგება და შესრულება. . .
მეორეულ მოგონებებს ამოქექავენ ძველი სკივრიდან
ჩემი მშობლებიც, მეგობრებიც, და-ძმაც
და შვილიც...
დაეაკლდები, მაგრამ ადვილად გადაიტანენ მათ უჩემობას, ჩემს უმათობას. . .
სულ ცოტა ხანს იხმაურებს საძინებელში ჩემი სუნამო - kenzo jungle" -
დაბნეული შეასკდება კედლიდან კედელს,
მერე ისიც დადუმდება იმ კუბოსავით,
ნელ-ნელა რომ ჩამკეცეს და ჩემოდანივით დამახურეს სახურავი
დაკეცილ თმებზე.
როცა მოვკვდები, ჩემებს მარტო ის ემახსოვრებათ,
რომ ჩამქრალ სულში ზღვების სურნელს და მიწის სურვილს ვინახავდი,
მაგრამ ვერავინ ვერ გამოიცნობს, როგორ მინდოდა,
ყოველთვის ყველას ვინც კი მიყვარდა, ვისაც ველოდი,
ჯერ ჩემს თვალებში ჩაეხედა და მერე ეთქვა,
რომ სიკვდილი არაფერია -
რომ სიკვდილი სიყვარულში ვერაფერს შეცვლის!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თორნიკე რობაქიძე

* * *

ქალი კარგად ერკვეოდა ღვინოში
და გრამატიკაში.
და ეს ორი რაღაცით გავდა ერთმანეთს.

კაცი კი ზედაპირულად.

არომატის მიუხედავად სვამდა ბოთლიდან,
შეცდომების მიუხედავად საუბრობდა შეუჩერებლად.
აი მიზეზი თუ რატომ დარჩა მარტო.

* * *

თმის შამპუნის სუნი აივანზე.
ამ დროს ჩვეულებრივ მოთუშული ხახვის სუნი ამოდის ხოლმე,
მაგრამ ახლა,
რომელიღაც მეზობელმა თავი ისე აიქაფა,
რომ ყველა სურნელი გადაფარა თავის შამპუნით.
ღმერთო ჩემო,
ავყურებ ვარსკვლავებს და ეტკბები
შამპუნის სუნით უკუნით ღამეში.
ეს სუნი ქალს მახსენებს,
ერთი მოგონებიდან, სასტუმროში,
თავზე პირსახოცშემოხვეული
რომ გამოვიდა აბაზანიდან და ჩემ წინ დადგა.
არანაირი სექსუალური მოტივი არ ყოფილა. თუმცა ეს სხვა ისტორიაა...
და ახლა აქ ვარ რეალობაში,
ჰაერში გაჯერებულ შამპუნის სუნს ვყლაპავ,
ის არის თბილი
და გემრიელი, კრემიანი ფუნთუშასავით,
სულს ვიტკბარუნებ.
მაგრამ ამ ჭრიჭინების გალობაში
თვალები მისევდიანდება, როგორც მაშინ იმ სასტუმროში.

* * *

მემშვიდობება და წასვლის წინ,
სიგარეტის კოლოფს მიტოვებს.
წითელ  Marlboro"-ს.
შიგნით ორად ორი ღერია მხოლოდ.
სწრაფად ვეწევი
მარტო რომ ვრჩები.
ცარიელ კოლოფს კი მისგან სახსოვრად,
გულის ჯიბეში ფრთხილად ვინახავ.
ასე ვაქცევ საჩუქრებად უბრალო ნივთებს.
ასე იდებენ მოგონებები ჩემს ოთახში
თავიანთ ბინას.
***ორი წლის შემდეგ***
მემშვიდობება
და წასვლის წინ არაფერს აღარ მიტოვებს.
გათეთრებული აეროპორტი.
მე ვხედავ როგორ ქრება მისი სხეული,
ეძებს სხვის მკლავებს
ვინც აგვიანებს მასთან შეხვედრას.

* * *



გმირთა მოედანზე გდია კნუტი.
მოსახვევში, წრიულზე,
ნაწლავები აქვს ამოყრილი.
მანქანამ გაიტანა, ჩაჭყლიტა დიდი ბორბლით.
სხვა მანქანები მგონი ვერ ხედავენ
და კიდევ ჭყლეტენ მას.
პიურესავითაა ფისო,

მისგან მხოლოთ პატარა თავი დარჩა,
რომელიც ალბათ ცხრაჯერვე გადაურჩა გადავლას....

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქალაქი ჩემში

(მე უნდა ვწერო.
მაგრამ ბევრი არაფერი გამომდის.)

როგორ დავბრუნდე იმ ქალაქში?
როგორ დავწერო იმ ქალაქზე?
როგორ?
როგორ წავიდეთ ისევ ერთად
ერთ ჩვეულებრივ სანაპიროზე, როგორ უნდა გნახო ისევ?
როგორ ჩავჯდეთ იმ დალეწილ ავტობუსში,
იმ საგიჟარ ხალხში როგორ გავერიოთ ისევ?
როგორ მოვხვდეთ იმ ქალაქში?
მითხარი როგორ?
სად არის ის ქალაქი,
რუკაზე რატომ ვერ ვპოულობ?
რა გეოგრაფიული მდებარეობაა?
მე მინდა ისევ შენთან ერთად იმ ქალაქში,
მინდა თვალები დავხუჭო და ისე ვწერო იმ ქალაქზე .
მინდა შენ დაგინახო ჩემს გვერდით როცა თვალებს ვხუჭავ.



მინდა ვწერო უკან მოუხედავად ისევ იმ ქალაქზე
და არ ვიფიქრო სტილისტურ შეზღუდვებზე,
მინდა ვანკაპუნო და ვწერო თრეში,
ნამდვილი თრეში,
ოღონდ ისევ ვაჩვენო ყველას თუ როგორ მიყვარხარ.

გახსოვს სანაყინეები?
ათასნაირი გემოები...
გახსოვს გვიან ღამით მე მოვამზადე ჩაი და ვეგეტარიანული ბურგერი შენთვის,
გახსოვს როგორ გაწვიმდა იმ ღამეს და ჩვენ მოვყვევით ამ წვიმაში.
შენი წითელი კაბა იყო ფრანი,
წითელი ფრანი მოელვარე.
გახსოვს შუქი ჩაქრა სასტუმროს პატარა საზმარეულოში და მე ავანთე რომანტიკული სანთელი ჩვენთვის.
გახსოვს?
თითქოს ყველაფერი სიზმარი იყო..
მინდა მე იმ ქალაქში.
პატარა მიყრუებულ ქალაქში.
სადაც ხალხი ცხოვრობს ძალიან უცნაურად.
სადაც ჩემზე ცუდად იციან ინგლისური.
სადაც სუპერმარკეტში საღამოს ცხრის მერე არ მომყიდიან ალკოჰოლს.
სადაც ერთ სასტუმრო ოთახში ვისხედით
და შენ, შენი შეყვარებული გენატრებოდა.
ჩვენ გვძინა იმ ქალაქში,

გეძინა ჩემ გვერდით, ერთ სასტუმრო ოთახში
და სასტუმროს მენეჯერი იყო ინდოელი ღარიბი კაცი,
რომელიც უცნაურად იღიმოდა.

(მე თვალებს ვხუჭავ რომ დავძლიო ყველანაირი უხერხულობა
და ისე ვწერ).
ისე ვფიქრობ შენზე,
ისე ვფიქრობ იმ ქალაქზე,
ისე ისე ისე ვკვდები იმ ქალაქით.
მე მენატრები ძალიან როცა ასე ვიქცევი,
მე მეშინია
და ამიტომ ჩავკეტე ის ქალაქი ჩემში,
თავის ყველა მელანქოლიით,
თავის ყველა სიხარულით,
ყველა ავტობუსით და მეტროთი,
ჩვენი ყველა უბილეთო მგზავრობით ჩავკეტე ის ქალაქი ჩემში,
ჩავკეტე ჩვენი ფეხით სიარული,
ჩვენი საუზმე და ვახშამი,
ჩავკეტე ჩვენი მოსმენილი მუსიკა,
ჩავკეტე, ჩავკეტე, ამის დედაც ყველაფერი ჩავკეტე.
და ახლა როცა თვალებს მაგრად ვხუჭავ, მე იქ ვარ.
ჩაკეტილ ქალაქში,
სადაც შენ გაიზარდე ხეებზე მაღალი,
სადაც გაშალე ხელები,
ხეებზე მაღალი ხელები,
და ხარ მოდებული მთელ ქალაქს,
ავსეა ის ქალაქი შენით.
მე გიხსენებ თვალებდახუჭული,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე გიხსენებ
და ენერგიისგან ვიცლები.
არ ვფიქრობ,
არ ვფიქრობ საერთოდ.
მინდა ტექსტი იყოს დაუფიქრებელი და ნაღდი,
ნაღდი და ნამდვილი,
როგორც ის ქალაქი.
მე ვუსმენ ჯიმ მორისონს ყოველ დღე,
რადგან მას მოვუსმინე პირველად იმ ქალაქში შენთან ერთად.
მე ვუსმენ სიმღერას სახელწოდებით „ქალი ფანჯარასთან"
და ვიქცევი ნამდვილი მიცვალებულივით,
გულზე მაქვს დაკრეფილი ხელები,
არ მაქვს ჰაერი და მიწყვია წარმოსახვითი ყვავილები.
მე მახსენდება როგორ ილიმოდი,
როცა ჩამივლიდი გვერდით.
მე მახსენდება,
როგორ მოდიოდა მდინარე ჩვენს სახლებთან
როგორ იჯექი შენ მდინარესთან
და მზის სხივებით იკვებებოდი.
მე მახსენდება ჩვენი ყველა გამარჯობა,
მე მახსენდება შენი მწვანე თმა,
მე მახსენდება ჩემი ყველა სიჩუმე,
რომელიც აღიქმებოდა ჩემს შიშებად,
მე მახსენდება ყველა უხერხულობა რომელიც შევქმენი,
მახსენდება ან უხერხულობაში ჩავარდნილი ბავშვი,
ჩემი თავი ბავშვი.
მე ბოდიშს ვუხდი იმ ქალაქს,
მე ბოდიშს გიხდი შენ.
მე ვიყავი იდიოტი და ნამდვილი შეყვარებულივით ვიქცეოდი,
ვერ მოვატყუე ის ქალაქი,
ვერც შენ მოგატყუე,
ვერცერთი ადამიანი ვერ მოვატყუე
და ჩემი თვალები ყველასათვის აფრქვევდა სიმართლეს.
ვერაფერი გავაკეთე ისე დასრულდა ის ქალაქი,
შენ წახვედი თვითმფრინავით,
მეც წავედი თვითმფრინავით.
ერთად წავედით იმ თვითმფრინავით,
ვისხედით გვერდი გვერდ,
ეხედავდი შენს მუხლებს
ვხუჭავდი თვალებს
და შენი მხრები ჩემ მხრებთან იყო ძალიან ახლოს,
შენ შეგეძლო თავიც კი გადმოგედო ჩემზე,
მაგრამ შენ გეძინა ძალიან ხისტად,
შენ გეძინა თავდაჭერილად.
შემდეგ დაეშვა თვითმფრინავი თბილისის უხეშ აეროპორტში,
იმ ქალაქიდან ძალიან შორს,
ჩვენ ვიპოვეთ საკუთარი ჩემოდნები,
შენ ელოდებოდი შენს შეყვარებულს,
შენს ბიჭს ელოდებოდი,
ის კი არ ჩანდა,
მე კი ვეძებდი ხელსაყრელ მომენტს
დასამშვიდობებლად,
მე მინდოდა მოვეპარულიყავი და უბრალოდ მაგრად ჩაგხუტებოდი,
მე მინდოდა ყველაზე ბანალურად მოვქცეულიყავი,
მე მინდოდა მეტირა როგორც ქალს,
მე მინდოდა მთელი აეროპორტის აფეთქება,
და შენი ცეცხლმოკიდებული შენობიდან გამოყვანა,
მე უბრალო ჰოლივუდურ სცენარზეც კი თანახმა ვიყავი,
სადაც ჩვენ ვკოცნიდით ერთმანეთს,
სადაც მე მეჭირებოდა შენი შეშინებული ხელები,
მაგრამ ასე არ მომხდარა.
არაფერი არ მომხდარა საერთოდ.
ჩვენ ვიყავით იმ ქალაქში,
ძალიან უცნაურ ქალაქში სადაც მიყვარდი ძალიან დიდხანს,
თითქოს მთელი ცხოვრება ვიყავი მხოლოდ იმ ქალაქში შენთან ერთად
და ახლა ის ქალაქი ცხოვრობს ჩემში,
თავისი ყველა ადამიანით და მაღაზიით,
სამოპინგო თუ გასართობი ადგილებით,
ათასგვარი პეიზაჟებით,
ძეგლებითა და წმინდანებით,
ის ქალაქი ცხოვრობს ჩემში
და შენ იმ ქალაქის ღმერთი ხარ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მანანა მენაბდე

# ფრენის დღე ოთხშაბათი

***ფრაგმენტები ავტობიოგრაფიული რომანიდან***




***ბერლინი, აგვისტო, 1993 წელი***

**ფრაგმენტი I**

ჩემებს ძლივს დავუკავშირდი. ბებია ხარობს და მის ბოხ ხითხითზე თითქოს ყურმილი ჩემს ხელში ანცად ხტის. დედა, როგორც ყოველთვის, თავშეკავებულად მეუბნება, კარგი იქნება თუ ცოტა ხნით მაინც ჩავალ თბილისში. რა ვუპასუხო, ფული რომ არ მაქვს, ქუჩაში ვმღერი და კიბეებს ვხეხავ? ჯობდა, სულ არ დამერეკა... რა მოვიგონო, რით დავამშვიდო... რომ იცოდე, როგორ მომენატრე, დე... როგორ მომენატრა სახლი, შენ და კრასატულიჩკა (ასე ბებიას ვეძახი), ვერ გეუბნები, დე, იმიტომ რომ იდარდებ და ღამეს თეთრად გაათევ. თუმცა შენ ლამეებს მაინც თეთრად ათენებ ჩემზე დარდით..." - ვფიქრობ ჩემთვის, მაგრამ სულ სხვა რამეს ვეუბნები: ჯერ შენ მოყევი დე რა ამბებია თბილისში, თქვენთან რა არის ახალი..." - დროის მოგებას ვცდილობ. დედა მოყოლას იწყებს... ფიქრი მიტევს. დედაჩემის ხმა ფონად ჟღერს, მე კი ფიქრებს მივყვები: რომ იცოდე დე, როგორ მომენატრა ცხელი თონის პური... საერთოდ ყველაფერი ქართული... კიდევ კედლის იქით, ღამით, შენი და ბებიას ფრთხილი ჩურჩული მენატრება. თქვენი ხვალინდელი დღის გეგმები და იმედები, რომელიც ყოველთვის საპნის ბუშტივით სკდება, მაგრამ თქვენ იმედს აბა, რა გამოგილევთ. ჰოდა, მეც ვისწავლე იმედიანად ყოფნა, დღეცისმარე იმედით ვიღვიძებ და მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება". ვერ წარმოვიდგენდი, თუ ქურთი მეეზოვის - ნინას უბოროტო ბუზღუნი მომენატრებოდა... მომენატრებოდა ჩვენი მეზობელი სომეხი სათენიკას დაკოჟრილი ხელით ჩემს ჯიბეში ჩაყრილი მოხალული მზესუმზირა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხარშული ცხელი სიმინდი... რომელი პავაროტი შეედრება კარტოფილის გამყიდველის, ძია შალვას, დილის ტკბილ ტენორს და რიგოლეტოს არიასავით თავგანწირულ მოძახილს: კარტოშკა... კარტოშკა!" მაწონი, მაწონიი..." ყველაფერი ქართული მომენატრა დე... ჩვენებური ლხინი მენატრება, აურზაურისა და გარჩევების გარეშე, დინჯი სიტყვა-პასუხით და თავშეკავებული თამადით. აქ წესრიგი უყვართ, დე. მეც მიყვარს, შენ კარგად იცი, მაგრამ აქ ისეთი წესრიგია, ალარაფერი მოგინდება! მოსაწყენია, ძალიან მოსაწყენი... ჯერ ფიქრობენ დეე და მერე ქმნიან ხელოვნებას. ყველაფერს აკონტროლებენ... მე კიდე მიყვარს გული რომ გამალდება, შიგნით ყველაფერი აგენთება, დაგეწვება, შექმნი ან ნახატს, ან სიმღერას და მერე იფიქრებ ფორმაზე და ყველაფერ დანარჩენზე... ჰოდა, მომწყინდა, დე... როგორ მომწყინდა, რომ იცოდე! ცოცხალი ურთიერთობები მომენატრა, ცოცხალი თვალები... შენი გაბრაზება და დატუქსვაც მომენატრა. ისე მინდა, ამათი სწორი ხაზი ცოტათი გამრუდდეს, სადღაც მაინც მოირკალოს, რომ მოგეხვიოს და შენს ზურგს უკან შეიკრას. წრე ხომ იქ მთავრდება, საიდანაც დაიწყო. ამიტომაც მსურს, წრე შეიკრას, რომ საწყისთან შეხვედრის იმედი არ გადამეწუროს.

ახლა არც მჭადის ხასიათზე ვარ, არც ღომის და ჩახოხბილის... ორად ორ რამეს ენატრობ - ცხელ თონის პურს და ცხვრის სუნით გაჟღენთილ გუდის ყველს. იცი რატომ მიყვარს დეე, გუდის ყველი? აფხიზლებს. ალბათ ამიტომ აქვთ ქართველებს ფხიზელი მზერა, ნათელი თვალები. არა, იდეალურები არ ვართ, მაგრამ ის კარგიც და ცუდიც ჩემია და ვერაფერზე გავცვლი. ვერც გვარს შევიცვლი, რომ უკეთესი ცხოვრება ავიწყო. ზოგი ქართველი აქ ებრაულად იკეთებს გვარს, რომ პირობები გაიუმჯობესოს. პირობებს როგორ გაიუმჯობესებ" დეე, არ მესმის, თუკი შენი სული ჯოჯოხეთში იქნება?!.. იცი რატომ ვართ ლაღები, იმიტომ, რომ სალი, გადამდები სიცილი ვიცით და საკუთარ თავზე შეგვიძლია გულით ვიხალისოთ... მე დიდი ხანია ალარ გამიცინია... სიამოვნებით წამოვწვებოდი ახლა სოხუმში, ჩვენი სახლის ეზოში, ლელვის ძირას, მერე ზედ ავძვრებოდი და ჩავიტკბარუნებდი პირს ქართული ლელვის მსუყე გემოთი. აქ ყველაფერს ფულის გემო აქვს, ესე იგი - არაფრის. რა სიხარულით მივუფიცხებდი ქართულ მზეს მარტოობაში შეციებულ სულს. აქ მივხვდი დეე, რომ თურმე მზეც შეიძლება ქართული იყოს და ხეც, მთვარეც და ბალახიც...

ღია ვერანდაზე თქვენ გხედავთ - შენ, მამას და ბებიებს. მურაბიან ჩაის შეექცევით. ბებიები ო, მარგარიტას" დაბალ ხმაზე მღერიან. ნაკადული მხიარულად დახტის ქვიდან ქვაზე, ათინათიდან ჟღურტულებს და ახალმოთიბული ბალახის სუნი მოაქვს... ხედავ, როგორ მომნატრებიხართ? მამა მომენატრა ძალიან. უცნაურია, ამ ბოლო დროს ალარ მესიზმრება..." მე კი სულ სხვა რამეს ვპასუხობ: აუცილებლად ჩამოვიდოდი დე, მაგრამ რამდენიმე საინტერესო პროექტი გამოჩნდა. მე კარგად ვარ, საჭმელ-სასმელი არ მაკლია. ასე მშვიდად და უზრუნველად დიდი ხანია არ მიგრძნია თავი..."

დედას სჯერა" და დუმს.

*ბერლინი, 3 ნოემბერი, 1994 წელი*

კარი თემომ გამიღო. დამნაშავესავით გამიღიმა, ზურგი უხმოდ შემაქცია და დასჯილი ბავშვივით ნახაზებისაკენ წავიდა. ნეტა რამ უკბინა?!" - გავიკვირვე. თემური ჩემკენ სწრაფად შემობრუნდა, თვალი ამარიდა და ასე ერთბაშად მომაყარა:

ქალბატონი თამარი... ბებია..." - წინადადება არ დაუმთავრებია, თავი ჩაქინდრა და დადუმდა.

........................................................................

ყველაფერი წამში გაუცხოვდა - თემო, ბგერები, ოთახი, საგნები... მეც თითქოს

სხვა ვიყავი...

უმიზნოდ შევეხეტე სააბაზანოში.

სარკე.

სარკეში მე, თუ... ვილაც სხვა?!..

საკუთარ თავს ველარ ვცნობ...

ყველა ხმა ქრება... ნელ-ნელა სიჩუმეში ვიძირები...

ცივი სიცარიელე მეხვევა მხრებზე...

მე.

ქუჩა.

თოვლი.

სახლები.

სახეები.

მე....

გამვლელები...

თვალები სულ სხვაგან მაცქერალი...

სადა ვარ? ვინა ვარ?

მთავარია ბრბოში არ დავინთქა...

ბრბოში არ გავიბნე...

ნაბიჯს ვუჩქარებ...

ჩქარა... ჩქარა... ჩქარა...

უფრო ჩქარა... სწრაფად... გავრბივარ......

უნდა გავქრე.... სადმე... რომ ვერ მიპოვონ...

რომ ველარასოდეს...

გავქრე სადმე... სად - მე... მე... მე.... მე...

ეს ხომ მე ვარ! მეეე... ხომ მე ვარ ეს....

მე... მე... მე...

ხელი მომეცი მო-მეეე.... გემუდარები... არ გამიშვა, ხელი მომკიდეეეე...

თოვს ირიბად.

ირიბად მეხლებიან სახეზე ფიფქები,

ირიბად მივსებენ თვალებს....

ირიბად სერავენ გონს...

ირიბი ქუჩები,

ირიბი სახლები

ირიბი კაცი

ირიბი ქალი

ირეკლება ირიბად სამყარო...

თოვს, თოვს, თოვს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვს უცხო სახეები...
სახეების თოვლი თოვს უცხო...
თოვლი თოვს უცხო სახეების...
უცნობი თოვლი...
უცნობი წვიმა...
უცნობი ღამე...
უცნობი დილა...
..........................

მხოლოდ ბებიას სახეა ნაცნობი. ბებიას სახე
ვერ წარმომიდგენია სამუდამოდ დახუჭული ბებიას თვალები....
... მსურდა შენი ხელებით, დამხუჭოდა თვალები..."

..................................................................

ბებია უჩემოდ დაასაფლავეს.
დედა მარტო დარჩა.
სული მეხუთება.
ქუჩა.
თოვლი.
ხეები.
ცა.
სახლები.
მე.
გამვლელები.
მე.
სახეები... სახეები.... სახეები... გვერდს მივლიან...

ვინ ვარ? სადა ვარ? სადა ვარ? საით მივდივარ? საით... საით.... საით...

..................................................................

ტელეფონის ჯიხურში აღმოვჩნდი. როგორ არ ვიცი....

ცივი ყურმილით ხელში ვდგავარ და ვერ ვხვდები რა მინდა...

..................................................................

საკუთარ ხმას გამოვყავარ: დედე... გესმის ჩემი? ყური დამიგდე... გთხოვ დამელოდე... ერთ თვეში უეჭველად ჩამოვალ, გესმის? დამელოდე დედე, გთხოვ. მაპატიე, ასეთ დროს შენთან რომ არ ვარ, მაგრამ ჩამოსვლა არ შემიძლია... ფულს ვერ ვშოულობ დედე... არ ვიცი რა ვქნა... არ ვიცი.... მაპატიე... გამიგე რა, დედე... გამიგე, გთხოვ... გევედრები. ოღონდ დამელოდე დედე, გთხოვ, გემუდარები... გესმის ჩემი მუდარა? დამელოდე და ყოჩაღად იყავი... გესმის?"

სატელეფონო ხაზების მიღმა, სიცარიელე ვიგრძენი. მივაყურადე და... მომესმა, დედა უხმოდ ტიროდა. ცხადად დავინახე მოფერებას გადაჩვეული დედის მთრთოლვარე მხრები. როგორ მინდოდა მენუგეშებინა, რაღაც სიტყვები მეთქვა: დედე, წამოგიყვან და ამიერიდან ერთად ვიქნებით. იცი, როგორ მოგივლი, დედე, ცივ ნიავს არ მოგაკარებ. ყველგან წაგიყვან... ყველაფერს განახებ... ერთად მოვივლით ყველაზე საუკეთესო, კაფეებსა და რესტორნებს, ყველაზე ძვირიან სასტუმროში ვიცხოვრებთ. ყველაზე ლამაზ კაბას და შენს საყვარელ კამფეტებს გიყიდი, დედე, შენ რომ გიყვარს ის „ოქროს გასაღები"... არა, ზუსტად ასეთი დასახელებით ეგ კამფეტი აქ არ იყიდება, მაგრამ გემო ზუსტად ისეთი აქვს, შენ რომ გიყვარს. კიდევ, პარიზსა და ბერლინს განახებ, დედე. აი, იმ ბერლინს, სადაც იმ შენს ნაჩუქარ ერთ მარკად, ჩვენ სიხარულსა და ბედნიერებას ვიყიდით! მსოფლიოს მოგატარებ..."

დედა, უსიტყვოდ ხვდება ყველაფერს. „მშვიდად იყავი. არაფერზე იღელვო. რა თქმა უნდა, ყოჩაღად ვიქნები... რა თქმა უნდა.." - ყრუდ ამბობს და ჩვენ შორის სიჩუმე წვება. ადგილს ვერ ვპოულობ, ნერვიულად გადამაქვს ტელეფონის ყურმილი ხელიდან ხელში. რაღაც გაუგებარს ვლუღლუღებ. ტელეფონში წყვეტილი ზარია... როგორ ვერ ვიტან ამ არაფრისმთქმელ, ცივ, შემზარავ და განშორების მაუწყებელ სტაკატოებს. ზარს -ლურსმნებს, ზარს - ნემსებს, ზარს, რომელიც ტვინსა და გულს გიბურღავს....

ასე დაკარგული და მიტოვებული ვიდექი ყვითელ ჯიხურში. ვიღაცამ ზურგს უკან წამჩურჩულა: „რა თავში იხლის დედა ბერლინსა და პარიზს..." მოვიხედე, არავინ იყო. ეშმაკმა დალახვროს, რატომ არის დამოკიდებული ჩვენი ცხოვრება ამ მწვანე ქაღალდებზე? რატომ იყიდება ყველა და ყველაფერი. დედასთან გვერდით ყოფნას რატომ უნდა ვყიდულობდე... რით ვანუგეშო ახლა, ჩემი პატარა, ჩიტივით დედა?!..

როგორ მინდოდა ყოველგვარი ზედმეტი სიტყვების გარეშე დედასთან გვერდით ყოფნა. ამის სანაცვლოდ კი სხვის ნოემბერში, ტელეფონის ყვითელ ჯიხურში ვიდექი ყველასგან უცხო და მიტოვებული. უცნობი ქუჩები ყველა მიმართულებით გარბოდნენ... გარბოდნენ მარჯვნივ და მარცხნივ, ქვევით და ზევით... უცხო სახლები არაფრისმთქმელი ჩაშავებული თვალებით შემომცქეროდნენ და მომძავალ მარტოობას მიქადდნენ. ისეთივე სიცარიელე სუფევდა გარშემო, როგორც ახლა ჩემს ჯიბეში და სხეულში. ბედს ვერ შეეკამათები, ვერ დაემდურები და ვერც ფანჯრიდან მოისვრი, მაგრამ მე მაინც ვემდუროდი - ბედს, ჯიხურს, და ნოემბერს. მინდოდა ტირილი, უფრო სწორად ღმუილი, მაგრამ არ შემეძლო. მინდოდა ამ წუთას დედა პატარა ბავშვივით ხელში ამეყვანა, მივფერებოდი მის პატარა მხრებს, მშვიდად რომ დაეძინა ჩემს მკლავებზე, ყველა საზრუნავი, ყველა ფიქრი გადაეყარა და ეგრძნო, რომ ვიღაც არის მის გვერდით.

იქ, იმ გაყინულ, ყვითელ ჯიხურში, ერთი წამითაც რომ მეგრძნო, დედაჩემის ხმას უკანასკნელად ვისმენ, ნამდვილად ჩიტად ვიქცეოდი და მივფრინდებოდი მასთან...

..................................................................

თოვლი.
სახლები.
ხეები.
ცა და მე.
გამვლელები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სახეები, სახეები, სახეები...

ყველანი გვერდს მივლიან....

ფიფქები სახეში ირიბად მხვდება...

თვალებში მხვდება და ყველაფერს ირიბად ვხედავ...

თოვლი, თოვლი, თოვლი...

თვალები, თვალები, თვალები...

სხვისი, სხვისი, სხვისი...

მხოლოდ დედის თვალები მიყურებენ სიყვარულით.

..................................................................................

იმ დროს, როდესაც სხვის ნოემბერში, სხვისი სახლებით გარშემორტყმულ ტელეფონის ჯიხურში ვიდექი, ზუსტად იმ დროს ალბათ მსოფლიოში კვდებოდნენ ათასობით ბებიები და ბაბუები, დედები და მამები, კვდებოდნენ ბავშვები, უსახლკარონი, ტყვეები, ავადმყოფები... ისეთებიც კვდებოდნენ ალბათ, რომელთაც არცკი უფიქრიათ სიკვდილზე. მე ჩემი დარდი მქონდა და არავის ბედი არ მაწუხებდა. არც მათ აწუხებდა ჩემი ბედი. ოდესღაც, როცა ჩვენი ჯერიც დადგება, ასე იდგება ვილაც ცივ ნოემბრში, ან ცხელ ზაფხულში და ჩვენს წასვლას ვერც კი გაიგებს...

ყურმილში უკვე დიდი ხანია ისმოდა წყვეტილი ზუმერი მე კი ვიმეორებდი და ვიმეორებდი: დეე, გთხოვ დამელოდე, გესმის... გთხოვ დამელოდე....."

..................................................................................

**1994 წლის 14 ნოემბერი**

დედასთან ლამე ჩავფრინდი.

დედა იწვა მშვიდი თეთრ კუბოში. ფანჯრებს მიღმა ნოემბერი იდგა. მე კი არ მესმოდა, როგორ მოხდა ისე, რომ ბებია და დედა ნოემბრის თვეში წავიდნენ, ჩემს ნოემბერში?!.. ნოემბერში, რომელშიც მე დავიბადე. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ნოემბერში შეიძლებოდა ვინმე მომკვდარიყო. აქამდე ზუსტად ვიცოდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ნოემბერში მხოლოდ იბადებოდნენ... ვიცოდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ნოემბერში არაფერი ცუდი არ შეიძლება მომხდარიყო, არ შეიძლება, არა, არა, არ შეიძლება...

დედას საყვარელი კამფეტები ჩამოვუტანე. თავთან დავუდე. ეს ერთადერთი მისი თხოვნა საბოლოო გამოდგა. მშვიდად იწვა. ვუყურებდი და არ ვიცოდი, როგორ შეიძლება გაგრძელებულიყო ცხოვრება დედას გარეშე... ვაკვირდებოდი მის საოცარად ლამაზ და სათნო სახეს და მეჩვენებოდა, რომ სუნთქავს.

ჩანთიდან რვეული ამოვიღე დედას გვერდით ჩამოვჯექი და კითხვა დავიწყე... ასე ვიჯექი სამი დღე კუბოსთან და თითქმის ყველაფერი წავუკითხე ჩემი ახალი რვეულიდან...

ადრე ნოემბერს სიხარული მოჰქონდა ჩემთვის.

**II ფრაგმენტი**

**თბილისი, აგვისტო, 1978 წელი**

- მახსოვს, პროგიმნაზიაში ნამეტანი მკაცრი დირექტორი გვყავდა - ხოჯევანოვა. ელიზავეტა ხოჯევანოვა. სცენაზე გამოსვლას გვიშლიდა, მაგრამ ჩვენ მაინც ვახერხებდით სიმღერას. არ შეგვეძლო სიმღერის გარეშე და რა გვექნა?!

- კრასატულიჩკა, ერთი ეს მითხარი, ვინ დადიოდა თქვენთან ოჯახში სტუმრად?

- ვინ დადიოდა დედა და - კოკი დადიანი, ჯვებე ფალავა, დავით ნიჟარაძე, ბუდუ მდივანი, სერიოჟა ქავთარაძე, ივლიან ანჯაფარიძე - ვერიკოს მამა... ლადო მესხიშვილი - მსახიობი, ჩემო ბატონო... ვალოდია მაიაკოვსკი, გალა, ჩემი გალაკტიონი... შენ ხომ გახსოვს, დედა, ჩვენთან რომ მოდიოდა... რამდენჯერ დამიტოვებიხარ გალასთან... ხომ გახსოვს, შენ შემოგევლე...

- მაგას რა დამავიწყებს, კრასატულიჩკა! მახსოვს, ლექსებს როგორ მიკითხავდა... ცოტა არ იყოს, მეშინოდა, ისე კითხულობდა... 4-5 წლის ვიყავი და არაფერი გამეგებოდა...

- მაგას რა ვუთხარი, - ხითხითებს ბებია, - ნამეტანი უცნაური იყო...

- იქნებოდა უცნაური, გენიოსი იყო და...

- მასეა, დედა, მარა ჯობია არ იყოს კაცი გენიოსი...

- რატო, კრასატულიჩკა?

- რატო და, ქე იქნებოდა ახლა ცოცხალი. მოკლედ, დედა, ვინ ალარ დადიოდა... - აგრძელებს - ჩვენთან ოჯახში... - ბებია ჩერდება და კარისკენ იყურება... აყურადებს...

- რა იყო ბეეე?

- არაფერი შვილო, მომეჩვენა, თითქოს ვილაც აკაკუნებდა. ხომ იცი, ლილის ველი და სულ მეჩვენება, რომ მოვიდა. ერთხელ გალა შემომხვდა ქუჩაში, - მაშინ ჯერ კიდე ქუთაისში ვცხოვრობდი, - სპექტაკლს ვდგამ მერი შერვაშიძეზე და შენ უნდა ითამაშო მერის როლიო. მეორე დლისათვის თეატრში დამიბარა. მივედი, ჩემო ბატონო, და ასე ვითამაშე თავადის ქალის, მერი შერვაშიძის, როლი. შეყვარებული იყო მერიზე, მაგრამ ვერ უბედავდა თქმას.

- რატომ?

- ძალიან მკაცრი და კდემამოსილი იყო და იმიტომ! ახლა რომაა, ისე კი არ არის! 22 წელში პარიზში წავიდა და იქ იყო სიკვდილამდე. ასე გავიგე, რომ თურმე გალას ლექსი, მაგას რომ მიუძღვნა - შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი..." - ხომ გახსოვს, დედა, - ეს ლექსი ჩარჩოში ჰქონია ჩასმული და ეკიდა თურმე მასთან საძინებელ ოთახში კედელზე. კიდო რომელიღაცა პარფიუმერიის ფირმამ მიმართა, დაგვრთეთ უფლება, რომ თქვენი სახელი და გვარი გამოვიყენოთ საპონის რეკლამისთვისო, მარა არ უქნია ეს, დედა, - ქართველი თავადის ქალი თავის სახელს საპონში არ ცვლისო... არადა, უჭირდა ძალიან...

- მაგარი ამბავია! მომწონს ასეთი პასუხი! Знай наших! მაიაკოვსკი როგორი იყო? მართლა კარგად იცნობდი?

- ასე, ა, დედა, რავარც შენ გიყურებ, ისე!

- როგორი იყო?

- მალალი, интересный он был, детка, очень ин- тересный! მოსწრებული სიტყვა-პასუხი ჰქონდა. Царица Тамара-ს" მეძახდა.

- ქართული თუ იცოდა?

- ძალიან კარგი ქართულით ლაპარაკობდა, აპა... ხოოო... კიდო, დედა, კარგად ვიცნობდი ლადო ასათიანს, გოგლა ლეონიძეს, პაოლო იაშვილს, ირაკლი აბაშიძეს, კოლაუ ნადირაძეს, გრიგოლ აბაშიძეს...

- იცი რა... რატომღაც თქვენს იუბილეზე ყველაზე მკაფიოდ გრიგოლ აბაშიძე და კოლაუ ნადირაძე ჩამრჩა მეხსიერებაში... ასე 12-13 წლის ვიყავი... ისე კარგად მახსოვს ორივე... ჰო, ჰო... მაპატიე. გააგრძელე, გისმენ...

- სად ვიყავი, დედა, გამახსენე...

- სად და... ყვებოდი, თქვენთან სახლში ვინ დადიოდა....

- ხო, კიდო, დედა, პაოლოს ძმას, კოწიას ვუყვარდი მე. ხელი მთხოვა. მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და უარი ვუთხარი... - ხითხითებს.

- ოოო... შე კუდრაჭა და ეშმაკის ფეხოოო... რა ადამიანი გაგიწბილებია... - ორივენი ვიცინით.

- ირაკლი აბაშიძე ძალიან ხშირი სტუმარი იყო ჩვენი. ერთ დღეს შინსახკომის უფროსთან ერთად მესტუმრა. როგორც მახსოვს, მისი გვარი იყო... მმმ... მიშა - სახელი და გვარი - დემუროვი... ჰოოო დე-მუ-რო-ვი... სუფრა გავაწყვე, ვიურთიერთეთ, აქეთური-იქეთური და დედაშენმა იმღერა და ისე გაგიჟდა ლილის ხმაზე ეს დემუროვი, რომ ოქროს უძვირფასესი საათი მოიძრო ხელიდან და დედაშენს აჩუქა. მე მაინცდამაინც არ გამხარებია მაგ ამბავი, მარა იმწუთას ხომ არ ვიტყოდი რამეს...

- რა მოხდა მერე, კრასატულიჩკა, მოეწონა სიმღერა და აჩუქა...

- დაიმახსოვრე, შვილო, რომ საჩუქარი ყველასგან არ უნდა მიიღო... ხო, ჩემო ბატონო, და ევილე, დედა, და მეორე დღეს მივედი ამ დემუროვთან სამსახურში და ეს საათი მდივანს დოუტოვე, დარჩა ჩვენთან-თქვა, ასე ვუთხარი.

- მერე...

- არაფერი, დედა... დასრულდა ესე ამბავი... ისე, ქე იყო დასანანი ასეთი ძვირფასი საათი, ძაან გვიჭირდა მაშინ და რომ გაგვეყიდა, ქე შევითქვამდით, ბეჩა, სულს... - ისევ ხითხითებს საყვარლად...

- მერე გაგეყიდათ, კრასატულიჩკა!

- აჰ, შვილო, მაგი რავა შეიძლებოდა!.. მასეთ სულის მოთქმას მერჩივნა, დედა, კიდო ათასი წელი მეშიმშილა, აპა!

- კიდევ ვინ გახსოვს ძველებიდან?

- ვინ, დედა, და... პოეტებიდან, როგორც სიზმარი, მახსოვს ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. აკაკის უნდოდა ჩემი უფროსი დის, ვალენტინას

თხოვნა, მაგრამ რაღაც არ მოხდა ეგ ამბავი... აკაკი რომ გარდაიცვალა, ჩემი ძმა ვალოდია და მისი მეგობარი კვაშალი - სახელი დამავიწყდა მისი - დასაფლავებაზე იყვნენ და ქართული დროშები ეკავათ ხელში და მიუძღვებოდნენ პროცესიას...

- ყველაზე ძალიან ვანო სარაჯიშვილის სტუმრობა მიხაროდა! წინასწარ ვიცოდი, რომ უნდა მოსულიყო და გულისფანცქალით ველოდი... როგორც კი მოვიდოდა, გამოვართმევდი ხელჯოხსა და ცილინდრს, გულში ვიხუტებდი და ვკოცნიდი...

- კოცნიდი?!..

- ხო, აპა... ისე მიყვარდა ვანო... 14 წლის ვიყავი. ვანოს ძალიან მოწონდა ჩემი ხმა და სიმღერა, განსაკუთრებით უყვარდა, როდესაც ვბაძავდი.

- როგორ ბაძავდი?

- როგორ, შვილო, და ხმით ვბაძავდი. ისე ვამსგავსებდი, თვითონვე გიჟდებოდა. იმ სიმღერას ვმღეროდი აი... იმას... მხოლოდ შენ ერთს" ვმღეროდი... - ბებია ზუსტად ვანო სარაჯიშვილისთვის დამახასიათებელი ინტონაციით მღერის, - რომ დავამთავრებდი, შენ გენაცვალეო", - მეტყოდა და გულში ჩამიკრავდა. ყველაზე მეტად თვითონ ხალისობდა. ე, დედაშენი მობრუნდა ბაზრიდან. მიდი, შვილო, მოეხმარე, თორემ ცოდოა, მოკვდა ქალი ამ სიმძიმის თრევით.

- ხომ დავურეკე და ვუთხარი, დამელოდე-მეთქი? არ ქნა და რა ვქნა, ბები?

- შენ რომ დაგელოდებოდა, ბეჩა, ქე დავრჩებოდით უჭმელი! არა, კი არ ვჩივი, მარა მეცოდება, ფეხი ტკივა და ამდენ სიმძიმეს რომ წევს, არ შეიძლება! მეც უკვე აღარ შემიძლია, შვილო, დავბერდი და ძალა აღარ მაქვს.

- სულ ამას არ გთხოვთ, ბები, ჩემთან გადმოცხოვრდით-მეთქი? მაგრამ არ შვებით და რა ვქნა?!

- მე, შვილო, ჩემს ოთახში თუ არ ვწევარ, არ შემიძლია. დედაშენსაც არ უყვარს სხვაგან ყოფნა.

- მე სხვა ვარ?!

- არ გეწყინოს დედა, ჩვენ ჩვენი ჩვევები გვაქვს, შვილო... გვეხმარები, ამდენს აკეთებ ჩვენთვის... შენ თვითონ დაკავებული ხარ და ათად ხომ არ გეიჭრები...

- კარგი რა, ძალიან მოუხელთებელი ადამიანები ხართ ორივე. ასე არაო, ისე არაო... აბა რა ვქნა, მითხარი! - ბებია პასუხად ისევ ისე კეთილად ხითხითებს და მეც ვყვები, მეტი რა გზა მაქვს...

დედას ვეხმარები სანოვაგის ამოტანაში. შემდეგ ყველა ერთად პროდუქტებს ვახარისხებთ. მე და ბებია ლობიოს ვარჩევთ, დედა ჭურჭელს რეცხავს. ბებია, თითქოს თხრობა არცკი შეუწყვეტიაო, ისე აგრძელებს:

- ძალიან მიყვარდა დედა, თეატრში სიარული, მაგრამ სრულწლოვანი რომ არ ვიყავი, მიშლიდნენ მშობლები. ჩვენებს ვეუბნებოდი, ამხანაგთან მივდივარ-მეთქი და თეატრისკენ გავქუსლავდი. მე უკვე შვიდი წლიდან ვუკრავდი გიტარაზე და ვმღეროდი. რვა წლის ვიყავი, შალვა დადიანმა ხელში აყვანილი რომ გამომიყვანა სცენაზე. ისეთი პატარა ვიყავი, გიტარა ძლივს მეკავა ხელში. თეატრში კი უკანა მხრიდან ვიპარებოდი ხოლმე, - აბა, სად მქონდა ბილეთის ფული. სრულწლოვანიც არ ვიყავი და ჩემი სკოლის დირექტორს რომ ვენახე, გამრიცხავდნენ, აპა!.. მოწაფეებს კი არ ჰქონდათ უფლება თეატრში შესვლის! ვიცოდი ერთი ადგილი, საიდანაც პირდაპირ კულისებში ამოვყოფდი ხოლმე თავს და აი, ასე ვუყურებდი დადგმებს. რა მახსოვს ცხადად, თუ იცი: ერთხელ, თეატრში რო შევიპარე, სცენაზე მიშა იდგა ჭიაურელი და მღეროდა: ლესე პასე, ლესე Фე,/შენი ცოლი მომწონამე./აგაგლიჯავ პაგონებს,/ვერ დამიშლი ვერაფერს!" უაზრო სიტყვებია, მარა გონებაში ჩამებეჭდა. დიდი უცნაური ვინმე იყო მიშა და ისეთი იუმორი ქონდა, გვხოცავდა სიცილით... ლილი, მწვანილი გარეცხე? - მიმართავს დედაჩემს...

- ჯერ ჭურჭლის გარეცხვას დავამთავრებ, დედა!

- არ ვიცი, მართალია თუ არა, მაგრამ სტალინსაც გოუბედა თურმე შეხუმრება მაგ ეშმაკის ფეხმა...

- მეც ვიცი ეგ ამბავი მარა...

- მარა რა?!..

- კარგი ერთი, ბებია, გჯერა? დახვრეტდნენ ეგრევე! აბა, მომიყევი, შენ რომელი ვერსია იცი...

- ასე ვიცი, შვილო, მე... თურმე სტალინთან იყო მიწვეული ბანკეტზე... მიშა კარგად უკრავდა გიტარაზე და იმერულ სიმღერებსაც კარგად მღეროდა... ხოდა, ყველაფერი კარგი უყვარდა, ჩემო ბატონო, კობას. Губа не дура! - თავისთვის ამბობს ბებია და აგრძელებს: - მოკლედ, დამთავრდა ნადიმი და დეიხურა თურმე მიშამ სტალინის ქუდი და წევიდა სახლში, ჩემო ბატონო. მარა 10 წუთში უკან მიატანინეს გენერალისიმუსის ქუდი...

- კარგად გადარჩენილა...

- მეც ტყული მგონია მაგი ამბავი, შვილო... სტალინის ტყვიასავით ეშინოდათ და როგორ გაბედავდა ამას?! ვითომ მაგრად დათვრა და აერია თავისი და გენერალისიმუსის ქუდიო, მარა... რა ვიცი, დედა... რას გეიგებ ახლა...

- И на старуху бывает проруха, ჩემო კრასატულიჩკა...

- კი, მასეა, შვილო,- ხითხითებს კრასატულიჩკა, - მარა, инстинкт самосохранения сильнее, детка! მოკლედ, მიშა აცხონოს ღმერთმა და, ჩემი დის, მარიამის მეუღლე ვეტერინარი იყო სპეციალობით და 1915 წელს პოდოლსკის გუბერნიაში, სოფელ ვორონოვოში გაანაწილეს - Село Вороново. მარიამმა თან წამიყვანა, იმიტომ, რომ ზაფხულის არდადეგები მქონდა მაშინ. მშვენიერი მხარე აღმოჩნდა!

- ვიცი, მოსკოვთანაა. სადღაც 61 კილომეტრზე კალუჟსკის ტრასაა და მაგ ტრასას ზუსტად სოფელ ვორონოვომდე მიყავხარ. დღესაც მშვენივრადაა შემონახული იქაურობა! ოღონდ გუბერნია კი აღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაა, პოდოლსკის რაიონია.

- მართლა, დედა?

- წაგიყვან, თუ გინდა, - ხითხითებს.

- რა გაცინებს, მართლა გეუბნები!

- სად შემიძლია, შვილო, ფეხებს ძლივსლა დავათრევ...

- ფეხით კი არ ვაპირებთ იქამდე მისვლას...

- მოკლედ... - აგრძელებს თავისას, - იქ ისვენებდა ლენინგრადის გუბერნატორი გრაფი საბუროვი თავისი ცოლ-შვილით. ცოლი, ანნა ვასილიევნა შერემეტიევა, გრაფ სერგეი შერემეტიევის ქალიშვილი იყო. საბუროვების ვაჟიშვილებს ერქვათ იური და ბორისი. მშვენიერი სასახლე ქონდათ! უძვირფასესი კარ-მიდამო! ეს ვორონოვოს გუბერნია გრაფმა შერემეტიევმა თავის ქალიშვილს ანნას და მის სიძეს ალექსეი საბუროვს აჩუქა. ეს ყველაფერი ჩვენ მერე გავიგეთ, მანამდე კი ჩავედით ამ ვორონოვოში, მოვეწყვეთ. მარიამის ქმარი მუშაობდა, ჩვენ კი მარტო ვიყავით ჩემი სიძის მოსვლამდე და ხან ვკითხულობდით, ხან ვმღეროდით, ხან ვსეირნობდით... ერთ მშვენიერ დღეს მე და მარიამმა გადავწყვიტეთ, საბუროვების სასახლე უფრო ახლოდან გვენახა. ხოდა, ჩემო ბატონო, როდესაც ვსეირნობდით, გზაში შემოგვხვდა საბუროვების სახლის ზედამხედველი. რომ გაიგო, საქართველოდან ვიყავით, ძალიან გაიხარა და თავისთან ჩაიზე და ტკბილეულზე მიგვიპატიჟა. ძალიან სასიამოვნო ადამიანი აღმოჩნდა. კი აღარ მახსოვს მისი სახელი... ჩვენ მადლობის ნიშნად ვუმღერეთ. როცა ვმღეროდით, თურმე მაგ დროს საბუროვის ვაჟი ბორისი თავისი ძაღლით იყო გამოსული სასეირნოდ და ჩვენი სიმღერა შემოესმა. ჯერ ძაღლი შემოვარდა მისაღებ ოთახში და პირდაპირ მე მეცა ფეხებში... შემეშინდა. ამ დროს კარებში მშვენიერი ახალგაზრდა კადეტი გამოჩნდა. ეს იყო სწორედ ბორისი. ასე მომმართა: Не бойтесь, мадмуазель, она охотничья, не куса□ ется!" ცოტა ხანი კიდევ დავრჩით და შემდეგ ბორისმა მე და მარიამი სახლამდე მიგვაცილა. მეორე დღისათვის კი თავისთან სახლში მიგვიპატიჟა. რომ გაიგო, მარიამის მეუღლეც აქ იყო ექიმად, რა თქმა უნდა, გვთხოვა, გადაეცით, რომ ხვალ გამოგივლით და ყველას ერთად წაგიყვანთო. მეორე დღეს ზუსტად დანიშნულ დროს გამოგვიარა ბრიჩკით და თან წაგვიყვანა. მარიამის მეუღლემ, შალვამ, სამუშაოს გამო წამოსვლა ვერ შეძლო. იქ ბორისის ოჯახი დაგვხვდა: ალექსეი საბუროვი და მარია ალექსანდროვნა. მათთან სტუმრად კიდევ ქსენია ალექსანდროვნა იყო თავისი ქალიშვილით, - ნიკოლოზ II-ის და. ბევრი ისაუბრეს მარიამმა და ქსენია ალექსანდროვნამ - პოლიტიკაზე, ლიტერატურაზე, მუსიკაზე, ოპერაზე... საუცხოო სუფრა იყო გაშლილი... ვივახშმეთ, მერე მე და მარიამმა ვიმღერეთ. საღამო რომ დასრულდა, საბუროვებმა და ქსენია ალექსანდროვნამ გვთხოვეს, მათთან ერთად წავსულიყავით საეკლესიო დღესასწაულზე, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ იყო. შევთანხმდით. ბორისმა სახლამდე მიგვაცილა. დამშვიდობებისას ხელზე გვეამბორა და დიდი მადლობა გადაგვიხადა ლამაზი სიმღერისათვის. რამდენიმე დღის მერე, გევიხედოთ და, ჩვენს სახლს ოთხცხენიანი ტარანტასი მოადგა რაჩხარუჩხით. შერემეტიევების სასახლე რვა კილომეტრით იყო დაშორებული ვორონოვოდან. იქ დიდ საზოგადოებას მოეყარა თავი. ვინ აღარ იყო: გრაფები, თავადები, გენერლები, მოკლედ, უამრავი ხალხი... ჯერ ეკლესიაში წავედით, ჩემო ბატონო, მოვისმინეთ წირვა და გალობა, მერე ისევ სასახლეში დავბრუნდით. სტუმრად ჩამოსული იყო ვორონცოვ-დაშკოვის შვილიშვილი, 14 წლის პრასკოფია. ერთი წლით უმცროსი იყო ჩემზე. ჩვენ მაშინვე მოგვეწონა ერთმანეთი და დავმეგობრდით. სუფრასთან მე და მარიამი ნიკოლოზის დასთან, ქსენია ალექსანდროვნასთან მოვხვდით. მარიამმა და ქსენია ალექსანდროვნამ ისევ საუბარი გააბეს... ქსენია ალექსანდროვნა დაინტერესებული იყო ყველაფრით, რაც ჩვენ შეგვეხებოდა... შემდეგ გვთხოვეს და ჩვენც ქართული და რუსული რომანსები ვიმღერეთ. მახსოვს, ჯერ რუსული რომანსი - Дремлют плаку□ чия ивы" ვიმღერე. მერე - ტურფავ, მოდი...", და სულიკოზე" გაგიჟდნენ, პირველად მაშინ გაიგონეს რუსებმა ეს სიმღერა და ხელად აიტაცეს. სიტყვების ჩაწერა და ზუსტი თარგმანი გვთხოვეს. რამდენჯერმე გაგვამეორებინეს სიმღერები... ღამისთევით დავრჩით შერემეტიევებთან. ცალ-ცალკე ოთახები მოგვეცეს, მაგრამ მე არ ვქენი, მეშინოდა მარტო ოთახში დაძინება. თხოვნა ამისრულეს და ჩემს დასთან ერთად დავიძინე.

საბუროვებს საკუთარი ტბა ჰქონდათ. ამ ტბაში ნავებით დასეირნობდნენ. როდესაც ნავით სასეირნოდ მივდიოდით, უეჭველად მოგვყვებოდა მენიჩბე, ვინც ნავს მართავდა. მე გიტარა მიმქონდა ხოლმე თან. ვისხედით ნავში მე და პრასკოფია, ხან ფრანგულ ლიტერატურას ვკითხულობდით, ხან ლექსებს ვამზობდით, ხან მე ვმღეროდი... ლობიოს გარჩევას მოვრჩით და გარეცხე, შვილო, და დაადგი, - ეუბნება ბებია დედაჩემს.

- მე გავრეცხავ, კრასატულიჩკა...

- შენ, შვილო, ბებიას დაუგდე ყური, ასე აჯობებს! - მაფრთხილებს დედა. - დაიმახსოვრე, რასაც გეუბნება. მეორედ კი აღარ მოყვება მაგ ამბავს.

- ფქვილი და ჯამი მომაწოდე, შვილო, და მჭადს მოვზელ. შენ მანამდე ტაფა დაადგი გაზზე, - დედას მჭადის ფქვილი, ჯამი და დოქით წყალი მოაქვს. ბებია ზელას იწყებს და თხრობას აგრძელებს, - იქ მე და მარიამმა გავიცანით Княгиня Лихачева. მშვენიერი ქალბატონი იყო. ძალიან მოვეწონე და ჩემი დატოვება უნდოდა - ჩემთან წავიყვან პეტერბურგში, გავზრდი და მოვუვლიო, მაგრამ მარიამმა არ ქნა. ბორის საბუროვმა მარიამს და შალვას ჩემი ხელი სთხოვა. მთელი საბუროვების ოჯახმა მოითხოვა ჩემი თავი, მაგრამ მათაც მტკიცე ვარი სტკიცა ჩემმა დამ! მოკლედ, დაუმთავრდა შალვას მივლინება და ჩვენ უკან დავბრუნდით... - ბებია მჭადს ხელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათამაშებს, აქეთ-იქიდან ფრთხილად ურტყამს, აწრგვალებს, შემდეგ ცხელ ტაფაზე დებს, აბრტყელებს და მისი თითები მჭადის ზედაპირზე იბეჭდება. გვერდით ლობიო თუხთუხებს... მოუთმენლობისგან კბილები მიკანკალებს...

- ასე დასრულდა ვორონცოვის ამბავი?

- ვორონცოვისი კი დედა... მე გიმნაზია დავამთავრე და გადავწყვიტე, სანამ სადმე ჩავაბარებდი, მემუშავა. ქუთაისის გუბერნატორთან, გუდოვიჩთან მივედი სამსახურის თაობაზე და საქმის მწარმოებლად მასთან დავიწყე მუშაობა, - ბებია თან ყვება და თან სუფრას აწყობს, - ეს გუდოვიჩი, დედა, იყო შერემეტიევების სიძე. ცოლს ერქვა მარია სერგეევნა შერემეტიევა. ოთხი შვილი ჰყავდათ: ორი ბიჭი და ორი გოგო - ვარვარა, მარია, დიმიტრი და ანდრეი. მარია სერგეევნას ისე უყვარდა საქართველო და ჩვენი ადათ-წესები, რომ თავის შვილებს ქართული ჩვეულებით ზრდიდა. ბიჭებს განსაკუთრებით. სულ ჩოხაში ჰყავდა გამოწყობილი. ბავშვებს ძალიან ვუყვარდი. ხშირად ერთად ვერთობოდით. ყოველდღე, შუადღისას, ასე 12 საათისათვის, ერთსა და იმავე დროს, სამსახურში კაცს მიგზავნიდნენ და ყავაზე მეპატიჟებოდნენ. საოცარი ხალხი იყო! ახლა სადღა არიან ასეთი განათლებული, ინტელიგენტი და პატიოსანი ადამიანები... ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა! - ბებია ისე ოხრავს და განიცდის, თითქოს ხუთი წუთის წინ შემოვიდნენ ბოლშევიკები, - ყველაფერი 1917 წელს შეწყდა...

- როგორ შეწყდა, კრასატულიჩკა?

- როგორ და ეს ბანდიტი ბოლშევიკები მოვიდნენ და დააპატიმრეს გუდოვიჩი...

- ასე პირდაპირ დააპატიმრეს?! რაღაც მიზეზი ხომ უნდა ჰქონოდათ?

- ბანდიტს და ოხერს რა მიზეზი უნდა, დედა?! ვინ გვეკითხებოდა რამეს?! სად იყო ლოგიკა, შვილო?! რავაც ახლაა, ისე იყო მაშინ! რომ გადაგიკეტეს რადიო და ტელევიზია, გიხსნის ვინმე, რატო შობიან, დედა, მაგას? ხოდა, მოკიდეს ამ კაი ხალხს ხელი და ღმერთმა უწყის, რა უქნეს. ერთ მშვენიერ დღეს ჩემთან წითელი ჯარისკაცები შემოვარდნენ, ჩამოგლიჯეს ნიკოლოზის სურათი და ფეხებით შედგნენ. ხმა რომ ამომეღო, მეც მიმაყოლებდნენ ზედ. კი ვუთხარი, შვილო, ერთი-ორი სიტყვა, მარა ისე დამიბღვირეს, რავა ამევიღებდი ხმას. გუდოვიჩი თავისი ოჯახით გადაასახლეს ბაქოში. მარია სერგეევნას ისე გაუჭირდა, რომ მრეცხავად დაიწყო მუშაობა და ასე ირჩენდა თავს. გუდოვიჩი 1919 წელს დახვრიტეს...

ყველანი მაგიდას შემოვუსხედით.

- კრასატულიჩკა, პრასკოფია აღარ გინახავს? ბორისის ამბავი ხომ არ გაგიგია?

- არ მომიყოლია, ბოშო? რავა გამოვჩურჩუტდ ხედავ?...

- რა დროს შენი გამოჩურჩუტებაა, კრასატუ ლიჩკა, ოთხასზე მეტი სიმღერა გახსოვს ზეპირად ესე იგი **Все еще впереди!** - ხითხითებს...

- ვორონცოვიდან რომ წამოვედით, მე წერილი მივიღე პრასკოფიასაგან. მეც ვუპასუხე. ასე და იწყო ჩვენი მიმოწერა. **Мы писали друг другу до последней минуты!** პრასკოფიასგან ყოველ კვირ მომდიოდა წერილები... ბოლო წერილში მწერდა ბორისი ჭკუას გადასცდაო... - ბებიას თვალებ უწყლიანდება.

- ბორისი გიყვარდა, კრასატულიჩკა?

- **Я была совсем девчонкой...** რა მესმოდა, დედ მაშინ სიყვარულის.. **Это он был влюблен. А я была еще слишком мала. Но бесспорно, Борис просто был красавец!** 1917-ში, როცა კომუნისტები შემო ვიდნენ, პრასკოფიასგან წერილები შეწყდა. მერე ვერსად ვერაფერი ამბავი გავიგე პრასკოფიას შესა ხებ. რა ბედი ეწია, არ ვიცი. წერილები გავანადგუ რე, მეშინოდა - რომ ენახათ, ყველას დაგვხვრეტდნენ. ვერ გადავრჩებოდი ვერც მე და ვერც ლილი და ჯანიკო. ჩემს ქმარს, ბაბუაშენს, კი დო უფრო ადრე მოუღებდნენ ბოლოს. **Он же был белым офицером. Кадетский Корпус в Петербурге окончил и служил в царской армии.** ისე, ქე იცოდ ნენ ყველაფერი, ბეჩა, ენკავედეს შენ გამოაპარებ დი რამეს? მარა სტალინს უყვარდა ჩვენი სიმღერა და მაგან გადაგვარჩინა...

- რა ვიცი, ამ სიყვარულს" იმხნელებისთვის, და არც შენი ოჯახისთვის არაფერი მოუცია და...

- რა უნდა მეეცა, ბეჩა? ხო გადავრჩით, მოცემ არაა მაგი?! რომ გვეთხოვა, შვილო, ქე მოგვცემდა, მარა თხოვნა არ გვიყვარდა!

- ჰოდა, მეც მანდ ვარ! არ ჯობდა, გეთხოვათ? ახლა ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა!

- ადამიანმა თავისი ნიჭით და განათლებით უნ და გეიტანოს დედა თავი! მერე ვინ დაჰყეფა" ცუ დად, შვილო, შენს ბედს?! ამაზე მეტი ქონება, შენ რომ უფალმა თავზე დაგაყარა, მე არ ვიცი - მღერი, ხატავ, წერ, ორი ინსტიტუტი შენ დაამთავრე და კი დო არა ხარ, დედა, კმაყოფილი?!.. დედაია ბეჩა... - აღშფოთებას ვერ მალავს ბებია.

- ვარ, აბა, არ ვარ კმაყოფილი, კრასატულიჩკა... - დედას ლობიო, ცხელი მჭადი, გუდის ყველი, კიტრი, პამიდორი და მწნილი გამოაქვს სამზარეულო დან - ჩემზე ბედნიერი არც არავინ მეგულება, იმიტომ, რომ ორი უსაყვარლესი ჩიტი მყავხართ! - ვამბობ და გულიანად ვილუკმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ კომახიძე

# რეინკარნაცია



## რწმენაა ჭეშმარიტება

ფეხის ხმა გაისმა და კარის ღრიჭოებში ჯერ სინათლე გამოჩნდა, მერე საპყრობილის ჭრაქიანი ზედამხედველები საკანს მიუახლოვდნენ, კარი საკეტების ღრჭიალით გააღეს და სინათლე მთელ საკანს მოეფინა. დერეფნიდან საკნის სიღრმეში თხელტანიან ტუსაღს უბიძგეს და სანამ კარს ხმაურითვე მოაჯახუნებდნენ, ჭრაქის სინათლემ ქვებით ამოშენებულ საკნის უსწორმასწორო კედელზე გრძელთმიანი, წვერმოშვებული ტუსაღის ბუნდოვანი სილუეტი გამოსახა.

- აი, შენი სამეფო! - დაცინვით მიაძახეს ტუსაღს. კარი ღრჭიალითვე მიუხურეს და ურდული ჩარაზეს.

გრძელი თმის ტარება მთელი რომის იმპერიაში, რა თქმა უნდა, ნაზარეთელებს ჰქონდათ ჩვეულად, გრძელი წვერი კი ფილოსოფოსებს ჰქონდათ მოშვებული...

კარის ღრიჭოებიდან სინათლის ნაფლეთები მიილია და მალე ფეხისხმაც ჩაიკარგა დერეფნის ბოლოში. სიბნელეს კი საკნის ორად ორი ტუსაღის სუნთქვის ხმა შემორჩა.

- რატომ ჰგონიათ, რომ ეს შენი სამეფოა? - ჰკითხა დამხვედრმა ტუსაღმა, როცა სუნთქვის ხმები თითქმის უკვე სიჩუმეს უერთდებოდა.

- ალბათ ეს საკანი, როგორც ავაზაკს, სამეფოდ მიბოძეს, - უპასუხა ახალმოყვანილმა ტუსაღმა.

- ეს სატუსაღო, რა თქმა უნდა, რიტორიკული სკოლა არ არის, მაგრამ ავაზაკისგან განურჩევლად ფილოსოფოსიც შეიძლება აქ განამწესონ - უთხრა დამხვედრმა.

- ნათელს ბნელისგან მანამდე არჩევენ, სანამ სინათლე არასასურველ სიმართლეს გაანათებს! - უპასუხა ახალდატუსაღებულმა. - სიმართლეს კი მხოლოდ ფილოსოფოსები არ ეძებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ვხედავ, რომ შენც ისევე არ ხარ ავაზაკი, როგორც მე არ ვარ მკვლელი - უთხრა დამხვედრმა, - მე მკვლელის სახელით გამასამართლეს, მაგრამ მკვლელი ნამდვილად არ ვარ! მხოლოდ ადამიანთა გადარჩენა მქონდა განზრახული.

- რა გქვია, - ჰკითხა ახალდატუსაღებულმა.

- იესო მქვია, - უპასუხა მან, - იესო ბარაბა. შენ რა გქვია?

- მეც იესო მქვია, იესო ნაზარეთიდან.

საპყრობილის სარკმელში მთვარე იდუმალი ბრწყინვალებით ჩნდებოდა და მისი სხივები თანდათან საკნის შიდა კედლებს სინათლეს აფენდა.

იესო ნაზარეთელმა თხლად ნაქსოვი სამოსელი თავზე გადაიფარა და ტუჩების მოძრაობის ხმაზე გასაგონი ჩურჩულით ლოცვა წარმოთქვა. მერე კედელს მიუახლოვდა, ჯერ ხელისგულებით შეეხო გრილ ქვებს და მერე შუბლით მიეყრდნო.

- იესო, ღვთის ძევ, მკვლელობისთვის რატომ გაგასამართლეს? - ჰკითხა ლოცვის შემდეგ ბარაბას ნაზარეთელმა.

- ნაზარეთელო, მკვლელობისთვის გამასამართლეს, მაგრამ მე ადამიანების ტანჯვისგან დახსნა მსურდა. დაუნდობელი რომაელი გამოვასალმე სიცოცხლეს, რათა წამებით სული ველარ ამოეხადა ჩვენი მოყვასისთვის. ყოველთვის მსურდა, რომ ჩემი ერი მეხსნა მოძალადე რომაელებისგან. ამისთვის ხალხმა ბარაბა შემარქვა.

- და ახლა, დაუნდობელი რომაელის მკვლელობის შემდეგ ფიქრობ, რომ ტანჯვა შეუმსუბუქდა ჩვენს ერს?

- ნაზარეთელო, ფილოსოფოსს ჰგავხარ, რომელმაც უნდა შეიგრძნოს ადამიანთა ტანჯვა და ტკივილი! - უთხრა იესო ბარაბამ, - დიახ, საკუთარი ტყავით უნდა იგრძნო, რას განიცდის ადამიანის სხეული წამების დროს და მისი შემსუბუქება აქციო მიზნად! რაც უფრო ნაკლები მწამებელი და მოძალადე იქნება ამქვეყნად, მით უფრო შემსუბუქდება ადამიანთა ტკივილი!

- ფილოსოფია ადამიანის საცდურია, - უთხრა ნაზარეთელმა, - როცა ჰგონია, რომ ტანჯვას დაამარცხებს. როცა ფიქრობ, რომ მტერს გაანადგურებ, მტრის მსხვერპლადაც შეიძლება იქცე და თავად მტრადაც! მხოლოდ სიყვარულით შეიძლება განუქრევო მტრობა და დათრგუნო ტანჯვა. ნებისმიერი ტვირთი შეიძლება ზიდო სიყვარულით და სხვა არაფერი იქნება ტანჯვის შემამსუბუქებელი! მხოლოდ სიყვარული გადაგვარჩენს! ნებისმიერი ტვირთი მძიმეა მხრებისთვის და მსუბუქია სიყვარულისთვის! ნებისმიერი ტვირთი მსუბუქია სიყვარულისთვის და ყველაფერი მძიმეა უსიყვარულოდ!

- მომხიბლავია ეს ნაუბარი, - თქვა ბარაბამ, - მაგრამ მე ხვალ სიკვდილით დამსჯიან. სიკვდილით დასჯა მომისაჯეს ჩემი ხალხის გადარჩენის სურვილისთვის, ჩემი ხალხის სიყვარულისთვის... მე სიყვარულისთვის დამსჯიან, შენ კი ამბობ, რომ სიყვარული გადაარჩენს ადამიანებს. ნათქვამია, როცა რომაელთა საპყრობილეში აღმოჩნდები, ცაზე შენი ბედის ვარსკვლავი ქრებაო, - ფილოსოფიურ იდუმალებად აღმოხდა იესო ბარაბას, - რომაელთა საპყრობილეებიდან არც სიყვარული და არც ბედის ვარსკვლავი აღარ ჩანს ნაზარეთელო!

- შენს ვარსკვლავს, უბრალოდ, იმიტომ ვერ ხედავ, რომ საკნის სარკმელი ძალიან პატარაა და ყველა ვარსკვლავი არ მოჩანს, - უპასუხა ნაზარეთელმა.

- შენ გგონია, რომ როცა საპყრობილეში ხარ, შენი ვარსკვლავი ისევ ანათებს?

- შენ მას დაინახავ, როცა გახვალ აქედან. დაინახავ, რომ შენი ვარსკვლავი ისევ ანათებს.

- ვინ ხარ იესო ნაზარეთელო, საიდან იცი, რომ კიდევ დავინახავ ჩემს ვარსკვლავს? მე ხომ ხვალ სიკვდილით დამსჯიან ჯვარცმით?!

- მე ვარ ძე ღვთისა და მოვედი თქვენთან, რათა დაგარწმუნოთ სიცოცხლის მარადიულობაში! რათა დაგარწმუნოთ, რომ კაცთა შორის სიყვარულით შეიძლება ტანჯვისგან გათავისუფლება და არა კაცთა კვლით! რათა მოგანიჭოთ რწმენა მოსაპოვებლად სასუფეველისა ცათა!

- აქ რატომ მოხვდი, რა დანაშაულისთვის ხარ აქ ნაზარეთელო? - ჰკითხა ბარაბამ, თუ სასუფეველი უნდა მოაპოვებინო ადამიანებს, საპყრობილეში რატომ მოგიყვანეს?

- შენ ერთი მოძალადე მოკალი და დაგატყვევეს, მე მთლიანად ძალადობის აღმოსაფხვრელად მოვედი, ამის გამო ვარ აქ. და კიდევ ოცდაათი ვერცხლის ცდუნების გამო, იმის გამო, რომ ღვთის ხატად ქმნილმა ადამიანმა ოცდაათი ვერცხლი ამჯობინა სასუფეველს...

- ვერცხლი? თითოეული ვერცხლი ხომ ადამიანს ძალადობისგან ათავისუფლებს! რომაელები ჩვენ ქონებას გვართმევენ და ამ ქონებით არიან თავისუფალი! - თქვა ბარაბამ.

- მე კი გეტყვი, რომ ვერანაირი ვერცხლის მონეტები და აურეუსები ვერ დაგიხსნის სიკვდილით დასჯისგან! მე სიყვარული მომაქვს, სიყვარული - ფულის ნაცვლად და რწმენას ვავრცელებ! მე გეუბნები, რომ ფულზე მეტად რწმენა გიშველის! თუ ირწმუნებ, არასოდეს ჩაქრება შენი ვარსკვლავი! თუ ირწმუნებ, შენ დარჩები ამქვეყნად და ხვალ შენს ნაცვლად მე გადმოვხედავ ზეციდან სამყაროს! ხვალ ფესახის დღესასწაულის საპატივცემულოდ სინედრიონი შეგიწყალებს, და გაგათავისუფლებს კიდევაც, თუ რწმენა გექნება, რადგან რწმენაა ჭეშმარიტება!

- საკანში ყოფნის დროს მხოლოდ წარსულთანაა ცხოვრება შესაძლებელი, იმ წარსულთან, რომლის გამოც აქ აღმოჩნდი, მხოლოდ მოგონებებთან, რადგან რომაელთა სატუსაღოში მომავალი აღარ არსებობს, - თქვა ბარაბამ, - მით უმეტეს, როცა განაჩენი გამოტანილია...

- მომავალი არსებობს, მე მომავლისთვის ვარ ამ საკანში, - უპასუხა ნაზარეთელმა, - საარსებო მონეტები შრომით უნდა მოიპოვო და არა - ცდუნებით და მე არსებობისთვის რწმენას ვავრცელებ! თუ გულით ირწმუნებ, რწმენის ოქროს მიიღებ! ხვალ ჯერ სინედრიონი შეგიწყალებს და მერე კი იუდეის პრეფექტი გაგათავისუფლებს!

მალე მთვარემ თითქმის მთლიანად შეავსო საკნის სარკმელი. მისი მკრთალი სინათლე ჩაძინებული ბარაბას სახესაც მოეფინა და მის ნათელ გამომეტყველებაში ნაზარეთელმა დაინახა მისივე სიხარული მომდევნო დღის შეწყალებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეცნიერება, ანუ ჭეშმარიტების აკრძალული წიგნი

- თქვენო უწმინდესობავ, კიდევ ერთხელ მინდა ვინსჯელოთ სამყაროს მოწყობაზე, კიდევ ერთხელ მინდა ვცადო, დაგანახოთ, რომ კოპერნიკი სამყაროს წესრიგს მხოლოდ ღვთის საქმეთა განსადიდებლად, უფლის ნამოქმედარის სიყვარულით სწავლობდა, - უკვე მერამდენედ იმეორებდა პაპის წინაშე გალილეო გალილეი, - მხოლოდ ღვთის სიყვარულით, მხოლოდ ღვთის საქმეთა განსადიდებლად, მხოლოდ იმ რწმენით, რომ ულღწმესი და უდიადესია აქმენი ღვთისა...

ისმენდა ურბან მერვე ამ სიტყვებს და მისი ფიქრები ზარებივით ჟღერდა წმინდა პეტრეს ბაზილიკაში:

- მხოლოდ ერესი მოედინება სწავლულთა გონებიდან და ბაგეთაგან! - ფიქრობდა იგი და მისი ფიქრები სიცივის შრეებად ეფინებოდა ტაძრის კედლებს...

- თქვენო უწმინდესობავ, მე, ჩემში ჩაბუდებული თქვენდამი უდიდესი პატივისცემის და ერთგულების შესაბამისად საფუძვლიანად გადავამოწმე პტოლემეს თეორია. პტოლემე უდიდესი მოაზროვნე იყო და სამყაროს მოწყობაზე მისი შეხედულებებით საზრდოობს დღემდე გონიერი კაცობრიობა. თუმცა, სამყაროს საიდუმლოებები სცდება პტოლემეს დაკვირვებათა შედეგებს, - ამბობდა გალილეო და უნდოდა პაპის თვალებში დაენახა სურვილი უწმინდესი ჭეშმარიტების შეცნობისა, - თქვენო უწმინდესობავ, დიახ, წმინდა კონგრეგაციამ გამოსცა დეკრეტი, რომელშიც კოპერნიკის სწავლება ერესადაა მიჩნეული, დიახ, კარდინალმა ბელარმინმა გამოსცა კანონი, რომელმაც აკრძალა ნიკოლო კოპერნიკის თხზულება ციური სხეულების ბრუნვის შესახებ", მაგრამ, თქვენო უწმინდესობავ, მე მინდა პტოლემეს და კოპერნიკის დაკვირვებების შედარება წარმოგიდგინოთ, ამბობდა გალილეო და ფიქრობდა, რომ პაპი მოუსმენდა, რომ შეუძლებელი იყო, პაპი არ დაინტერესებულიყო სამყაროს მოწყობის შესახებ აღმოჩენილი მტკიცებულებებით.

- გისმენ შვილო ჩემო, ყურადღებით გისმენ! - თითქოს ჩაესმოდა კიდეც გალილეოს პაპის სიტყვები და კიდევ უფრო აღფრთოვანებით ცდილობდა ნის დარწმუნებას:

- თქვენო უწმინდესობავ, პტოლემემ არისტოტელეს სწავლების საფუძველზე დაადგინა, რომ დედამიწაა სამყაროს ცენტრი, და მერე პეტრეს ეკლესიამ თქვა, რომ ღმერთმა შექმნა ეს ადგილი სამოთხისათვის, სადაც ადამი და ევა მოავლინა, რომ ეს არის მაცხოვრის მოვლინების მიწა, მაგრამ თქვენო უწმინდესობავ, ნუთუ ამ მიწაზე სუფევს ნეტარი სამება, რათა ის სამყაროს ცენტრად მივიჩნიოთ?! - ამბობდა გალილეო და უნდოდა, რომ კიდევ უფრო ღრმად, კიდევ უფრო არგუმენტირებულად დაენახვებინა უწმინდესისთვის სამყაროს სახე. - ნიკოლო კოპერნიკის თხზულება, რომელიც აკრძალა წმინდა კარდინალმა ბელარმინმა, უდავოდ მტკიცე ცნობებს შეიცავს იმის შესახებ, რომ დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს. და, თუ ეს ასეა, მაშინ, თქვენო უწმინდესობავ, სამყარო შეიძლება უფრო [illegible] ცოდნით, დიდი რუდუნებითაა მოწყობილი და [illegible] ეს უნდა დავინახოთ ღვთის ჭეშმარიტად სადიდებლად! თქვენო უწმინდესობავ, გააუქმეთ კანონი დედამიწის მზის გარშემო ბრუნვის თეორიის აკრძალვის შესახებ და ჩვენ შეგვეძლება სამყაროს ჭეშმარიტებას უფრო მივუახლოვდეთ! - ამბობდა გალილეო და გულანთებული ელოდა პაპის პასუხს.

- ჭეშმარიტება მხოლოდ ისაა, რაც ღვთის რწმენისთვისაა სასარგებლო! ის, რაც არ აძლიერებს რწმენას, ეშმაკისეულია! - ეუბნებოდა პაპი საპასუხოდ, - სამყარო როგორც უნდა იყოს მოწყობილი, მან ამ პეტრეს ბაზილიკის გარშემო უნდა იმოძრაოს! ეს სჭირდება ჭეშმარიტებას და შენ ეს უნდა დაამტკიცო! გაძლევ კურთხევას, რომ კარდინალ ბელარმინის მიერ აკრძალული კოპერნიკის თხზულება დედამიწის მზის გარშემო ბრუნვის შესახებ არათუ მხოლოდ უარყო, არამედ, სასტიკად გააცამტვერო!

- როცა ღვთის შემოქმედებას სწორად ვერ ხედავს ადამიანი, ღვთის მიერ ჩამოყალიბებულ წესრიგს საფრთხე ვერ შეექმნება, მაგრამ ღმერთს ვერასოდეს მივაგნებთ, თუ მისი ქმნილების საწინააღმდეგოდ ვიმოქმედებთ, - ფიქრობდა გალილეო, თვალებში უცქეროდა პაპს და ასე ფიქრობდა:

- მე შევქმნი თხზულებას იმისთვის, რომ დავინახოთ და არა იმისთვის, რომ ვერ დავინახოთ...

* * *

- სენიორე გალილეი, თქვენ ერესში ხართ ბრალდებული, - ეუბნებოდა წლების შემდეგ გალილეო გალილეის ინკვიზიტორი სასამართლო დარბაზში. - თქვენი თეორია ეწინააღმდეგება ეკლესიის სწავლებას! თქვენ როგორც სწავლულმა, ამპარტავნებით ეჭვი შეიტანეთ წმინდა ეკლესიის მიერ დადგენილი სწავლებების ჭეშმარიტებაში! - ამბობდა ინკვიზიტორი. - ეს შეუწყნარებელი ცოდვაა ღვთისა და ეკლესიის წინაშე, რაც სიკვდილით ისჯება!

- არასოდეს განვდგომივარ უფალს უპატივცემულესო ინკვიზიტორო, - პასუხობდა გალილეო, - როგორ შეიძლება განუდგე უფალს, როცა მისი შემოქმედების არსში ჩაწვდომის სურვილით ხარ აღვსილი?! როგორ შეიძლება განუდგე ეკლესიის სწავლებებს, როცა მისი სწავლებებით აგვეხილა თვალი და ღვთაებრივი სამყაროს სიღრმეებში ჩავიხედეთ?! დიდებულო ინკვიზიტორო, მე მხოლოდ სამყაროს - ღვთის მიერ შექმნილი სამყაროს წესრიგის აღწერა მსურდა.

- შენ არ აღასრულე პაპის მოწოდება და არ დაადგინე, რომ პტოლემეს თეორია დედამიწის სამყაროს ცენტრად ცნობის შესახებ ღვთაებრივ და საეკლესიო ჭეშმარიტებათა საყრდენია, რადგან თავად მზეც დაბნელდა, როცა დედამიწაზე ქრისტე ჯვარს აცვეს! სწორედ ამ წესრიგს, ამ ჭეშმარიტებას დაეფუძნა პეტრეს ეკლესია. - არ ცხრებოდა ინკვიზიტორი, - ამიტომ თქვენი ცოდვილი სიცოცხლის შესანარჩუნებლად უნდა აღიაროთ ერესის ცოდვა და უარყოთ თქვენი ამპარტავანი შეხედულებები ციური სხეულების მოძრაობის და წესების შესახებ, რომლებიც შეურაცხჰყოფს ეკლესიის სწავლებებს

და აბრკოლებს ადამიანთა რწმენას. თუ თქვენ ალიარებთ ერესს, შეინარჩუნებთ სიცოცხლეს!

* * *

- მე გალილეო გალილეი, ინკვიზიციის, პირადად უპატივცემულესი და უკეთილშობილესი კარდინალების ფერხთა წინაშე მუხლმოდრეკილი, წმინდა სახარების შემყურე, რომელსაც ხელით ვეხები, ვფიცავ, მე უარვყოფ ცრუ შეხედულებას, თითქოს მზე არის სამყაროს ცენტრი და არა დედამიწა და აღარასდროს არც წერილობით, არც სიტყვიერად აღარ ვილაპარაკებ და განვიხილავ, თუ როგორ არის მოწყობილი სამყარო ღვთისმიერი, - ამბობდა ღვთის, ეკლესიის და ადამიანთა წინაშე დაჩოქებული გალილეო.

- რომ არ დაგვესაჯა და კოცონზე არ დაგვეწვა თავის დროზე ბრუნო, დღეს სენიორე გალილეის ვერ დავიმორჩილებდით, - ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა პატივცემულმა კარდინალმა გალილეო გალილეის სიტყვების შემდეგ.

- რა თქმა უნდა, დღეს სენიორე გალილეის ოქროსმოყვარული პაპიც ვერ იხსნიდა - გადაულაპარაკა მას კოლეგა მსაჯულმა.

- გალილეო გალილეი! ამიერიდან გეკრძალება ადამიანებთან მსჯელობა!!! - ისმოდა სასამართლო დარბაზში.

* * *

- სინიორე გალილეი, როგორც მსმენია, მაფეო ბარბერინი მეგობრობდა თქვენთან, სანამ პაპად აირჩევდნენ, - ჰკითხა ერთხელ ვიჩენცო ვივიანიმ გალილეის - რატომ იქცა იგი თქვენი მოღვაწეობის მთავარ მოწინააღმდეგედ?

- მაფეო ბარბერინი ჩემი მეგობარი და გულშემატკივარი იყო ყოველთვის, ჩემს კვლევებს და ექსპერიმენტებს გულმოდგინედ აკვირდებოდა. მაგრამ როცა იგი პაპი გახდა, უამრავი სიკეთე და უამრავი ფული შემომთავაზა კოპერნიკის ჰელიოცენტრული თეორიის გასანადგურებლად. ჯორდანო ბრუნო დომენიკელთა ორდენის წევრი იყო, იგი მთელი არსებით ემსახურებოდა ეკლესიას, მაგრამ ეკლესიას უფრო მეტი უნდოდა მისგან. ეკლესიას უნდოდა უარეყო ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება მხოლოდ მის სამსახურში დაენახა. დაწვა არ ნიშნავს უარყოფას, თქვა ბრუნომ, მან იცოდა რომ მისი დაწვით მას ვერ უარჰყოფდნენ. მისთვის თავისუფლება უმიშარობა იყო. მე არ მეშინია, უბრალოდ, მინდა რომ სიცოცხლე კვლევას მივუძღვნა და არა ბრძოლას უსამართლობასთან. - ჩაილაპარაკა გალილეომ. - უსამართლობას ადამიანები აუცილებლად დაძლევენ, როცა ამის ძალა ექნებათ, მე ამის საკმარისი ძალა არ მაქვს, მაგრამ მე მაქვს კვლევის უნარი. ამიტომ არ ვიბრძოლებ ჭეშმარიტებისთვის, მე უბრალოდ, ვეცდები ჩემი წვლილი შევიტანო ჭეშმარიტების დადგენაში. - ეუბნებოდა მოსწავლეს გალილეო. - სამყაროს აქვს წესრიგი, ამ წესრიგს თუ ამოვხსნით, ჩვენ ვიპოვით პასუხს, ვინ ვართ ჩვენ. მე ამიტომ ვიდექი მუხლებზე და უარვყოფდი ჩემს თავს, რომ გამეგრძელებინა მუშაობა. მზეს აქვს ლაქები და როცა მათ ვაკვირდებოდი, ვხედავდი, რომ ისინი გადაადგილდებოდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არა მხოლოდ დედამიწა მოძრაობს მზის გარშემო, არამედ, მზეც მოძრაობს თავისი ცენტრის გარშემო. ეს რწმენას ალემატება! ეს ბევრად დიდი სამყაროს დასაწყისია. მეცნიერებაა ჭეშმარიტება! ამისთვის ღირდა მუხლებზე დგომა ინკვიზიციის წინაშე.

- რა არის ნეტავ ის, რაც რწმენას და ფულს აუფასურებს?! - ფიქრობდა ვიჩენცო ვივიანი, - ნუთუ ეს ჭეშმარიტებაა?!

## იხვებზე ნადირობა ჯეკილზე, ანუ ფულია ჭეშმარიტება

- ჩვენ, ნაციონალური ფინანსური სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლები აქ კუნძულ ჯეკილზე მისტერ მორგანის საზაფხულო აგარაკზე ოფიციალურად იხვებზე სანადიროდ შევიკრებეთ, - ბრძანა მისტერ როკფელერმა. - სინამდვილეში კი, სამწუხაროდ, იხვებზე ნადირობით ვერ დავტკბებით. ჩვენი მისია ბევრად ალემატება იხვებზე ნადირობის სიამოვნებას. ბატონებო, თქვენ ისტორია ფულის ღმერთებს გიწოდებთ! - ამბობდა როკფელერი და თან აკვირდებოდა თითოეული ბანკირის მზერას, თითქოს მათ მზერაში ახალი მსოფლიო ფინანსური წესრიგისათვის მზადყოფნის სულისკვეთებას ეძებდა...

- ფულის ღმერთები ახალი მსოფლიო ფინანსური ნესრიგისათვის! - ტუჩებში უხმოდ გამოსცრა მისტერ ფრენკ ვანდერლიპმა - როკფელერის ნეშენელ სითი ბანკის პრეზიდენტმა", რომელმაც მთელი ნინა სალამო გაატარა მისტერ როკფელერთან იმ სიტყვის მოსამზადებლად, რომელსაც ახლა დამსნრე საზოგადოება უსმენდა. თუმცა, ულვაშებით შენიღბული მისი ტუჩების მოძრაობა არავის შეუნიშნავს, რადგან ზუსტად იმავე დროს მისტერ როკფელერმა წარმოთქვა:

- ფულის ღმერთები ახალი მსოფლიო ფინანსური ნესრიგისთვის! აი, რა არის ჩვენი შეკრების მიზანი! ყველამ იცის რომ, ფულის გარეშე არაფერი შეიქმნება. მაგალითად, მრეწველობას აუცილებლად სჭირდება ფული. ფული სჭირდება ფარმაცევტიკას. ფული სჭირდება ომსაც. თუ კიდევ ღრმად ჩავხედავთ, ომს სჭირდება მრეწველობა და ფარმაცევტიკა, რომლებსაც სჭირდება ფული. თავის მხრივ, ამ ყველაფერს სჭირდება მეცნიერება, მეცნიერება ვერ განვითარდება განათლების გარეშე. ადამიანებს, ქალაქებს, სახელმწიფოებს სჭირდებათ ფული... ჩვენ კი გვინდა, რომ ფულის მართვა ჩვენ გვეკუთვნოდეს! აი, ესაა ჩვენი ამოცანა!

იმავე საკითხზე სალაპარაკოდ იყვნენ მომზადებული მისტერ მორგანი და მის გვედით მყოფი მისტერ ჩარლზ ნორტონი, რომელიც მოუთმენლად ელოდა თავისი სიტყვით გამოსვლის დროის დადგომას ამ უამაღლებულეს საზოგადოებაში.

- როგორ უნდა ვმართოთ ის ფული, რომელიც ყველას სჭირდება? რა თქმა უნდა, აი, ამ საკითხზე შევიკრიბეთ და არა იხვებზე სანადიროდ, - ამბობდა მისტერ ვანდერლიპი - მაგრამ თუ კანონმდებლებმა შეიტყვეს, რომ ჩვენ აქ იხვებზე არ ვნადი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობთ და სამყაროს ფულის მართვაზე ვმსჯელობთ, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი არასოდეს დაამტკიცებს კანონპროექტს ფედერალური სარეზერვო სისტემის შესახებ, რომელიც ახლა უნდა დავაფუძნოთ! - თქვა მისტერ ფრენკ ვანდერლიპმა და ჩიბუხის მილაკი ძახილის ნიშანივით აღმართა ყველას წინაშე.

- ბატონებო, ერთხელ ჰაინეს უთქვამს, ფული ჩვენი დროის ღმერთია, როტშილდი კი მისი მოციქული. მე კი, თავად როტშილდი, გეტყვით, რომ მხოლოდ ღმერთია ერთადერთი, რომელიც ძალაუფლებას არავის უნაწილებს, ყველა დანარჩენმა კი, ვინც ფულის მიმოქცევის საქმეში ჩაერთვება, უარი უნდა თქვას კერძო გამოხდომებზე! ფულის ძალას მხოლოდ ფინანსური სისტემა უზრუნველყოფს, ამიტომ ჩვენ, რეალურად, ფინანსური სისტემის მხოლოდ თანამონაწილე მოციქულები უნდა გავხდეთ, რადგან ამ სისტემაში ერესი და მასკარადი არ დაიშვება! - ამბობდა მისტერ როტშილდი.

- დიახ, ზუსტად ასეა ბატონებო, წამოიძახა მოთმინებით გათანგულმა მიტერ ჩარლზ ნორტონმა. - მე ახლა დაგანახებთ შეერთებული შტატების სარეზერვო ფონდის მუშაობის ფინანსურ მოდელს. როგორც მისტერ ვანდერლიპმა აღწერა, ფული ყველას რომ სჭირდება, ეს შეიძლება ისეთივე მარტივ ეკონომიკურ მოცემულობად აღიქვათ, როგორც მოთხოვნილება საყოფაცხოვრებო პროდუქტებზე ანუ ურისათზე, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ ვაფუძნებთ საერთო სისტემას, რომელსაც ეკუთვნის თითქმის ყველა ფულზე კონტროლი, რაზეც ხელი მიგვიწვდება და ვიწყებთ კეთილდღეობის დაკრედიტებას. ის, რასაც წინასწარმეტყველები სამოთხის სახით ჰპირდებოდნენ ადამიანებს, ჩვენ შეგვიძლია ამ ქვეყნად დავაკრედიტოთ. მაგალითად, მივცეთ ფული ყველას თავიანთი საჭიროებებისთვის, ოღონდ იმ პირობით, რომ უზრუნველჰყონ ამ ფულის დაბრუნება მათ საკუთრებაში არსებული ქონებით. და ამ სიკეთის სანაცვლოდ მოვითხოვოთ პროცენტება, უბრალოდ, ჩვენი სერვისის ინტერესი. მცირე ინტერესი, ფორმალურად, ძალიან მცირე. მაგალითად ჩვენს ფინანსურ სისტემას აქვს ასი დოლარი და ადამიანებს მივეცით ეს ასი დოლარი იმ დათქმით, რომ ყოველწლიურად მათ უნდა დაგვიბრუნონ თანხის ნაწილი და სარგებელი დაახლოებით ერთი პროცენტი. წლების განმავლობაში ისინი ჩვენს თანხას დააბრუნებენ, მაგრამ საიდან უნდა დააბრუნონ მათ ჩვენი ინტერესისთვის დაწესებული ის ერთი დოლარი, როცა ჩვენს ფინანსურ სისტემას მხოლოდ ასი დოლარი ჰქონდა?

- რა თქმა უნდა დავაბრუნებინებთ იმ ქონებით, რომელიც უზრუნველყოფის სახით იქნა ჩადებული - წამოიძახა გაბრწყინებულმა ვიზიტორმა.

- რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია მათ ქონებას დავეუფლოთ სრულიად კანონიერად, მაგრამ მოდი, ჯერ ჩვენ ჩვენი ინტერესი მოვითხოვოთ - ჩვენი დოლარიანი, რომელიც ბუნებაში არ იარსებებს, თუ ჩვენ არ დავბეჭდავთ ამ ერთდოლარიანს, - განმარტა მისტერ ნორტონმა. როცა კრედიტორი ვერ იშოვის იმ ერთ დოლარს რომელიც ბუნებაში არ არსებობს, ეს ერთი დოლარი გახდება ძალიან ძვირი! რა თქმა უნდა, დავალიანების დასაფარად ჩვენ მას შევთავაზებთ ახალ ერთ დოლარს კრედიტად, ოღონდ ახალი ინტერესით. მაგრამ საიდან უნდა გაჩნდეს ბუნებაში არარსებული დოლარიანები? აი, ესაა ჩვენი პროექტის საიდუმლო! ჩვენ გვექნება უფლება დავბეჭდოთ ის საჭირო დოლარები და გავცეთ ახალი სარგებელის ფასად არა მხოლოდ ნიუ-იორკში, ლუიზიანაში, და სანფრანცისკოში, არამედ პეკინში, მოსკოვში და როცა ჩვენი დოლარის ფორმულა ამოქმედდება, ჩვენ კი არ გამოვისყიდით, არამედ ვიყიდით ყველაფერს იმით, რაც ჩვენ მხოლოდ დოლარის დაბეჭდვის უფლებით გვექნება მონიჭებული. საბოლოოდ, გაზრდილი პროცენტებით სუსტები დაკარგავენ ქონებას და ამ ქონებას მივყიდით ძლიერებს. და სამყაროს ძლიერები განავითარებენ! ასეთია ჩვენი კანონპროექტი.

- მოციქული ახლა ნამდვილად ნორტონია, როტშილდი უკვე ღმერთია, გაიცინა როკფელერმა. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ კანონს გავიტანთ კონგრესში. ღმერთებს ალბათ, უკეთ შეუძლიათ გააკეთონ ეს კონგრესში, ვიდრე ინკოგნიტო ფინანსურ ჩინოვნიკებს. ჩვენ უბრალოდ, ერთობა გვჭირდება და გვჭირდება რწმენა! ის რწმენა, რომელიც ექნებათ ადამიანებს ღვთისა და ფულის წინაშე!

- და როგორ შეიძლება ადამიანმა ერთდროულად ირწმუნოს ღმერთისაც და ფულისაც, რომელიც მას სულს ამოხდის და ქონებას დააკარგვინებს?

- ამაზე ჩვენ უკვე ვიზრუნეთ ბატონებო! ამიტომ აწერია დოლარის ბანკნოტებს - ჩვენ გვწამს ღმერთის! ფულისთვის, რომლის მოპოვების შესაძლებლობაც გაგიჩნდება, აუცილებლად იწამებ ღმერთს, ხოლო მას, ვინც ამ ფულის წყარო და მწყალობელი იქნება, გააღმერთებენ! ეს უკვე რელიგიაა! ფული კი - ჭეშმარიტება!

## სერობა პრემიერ-მინისტრთან - ძალაუფლება და ჭეშმარიტება

- ქალბატონებო და ბატონებო, მოგესალმებით! მოხარული ვარ, რომ დღეს ვხვდები და ვმასპინძლობ ადამიანებს, რომლებიც მომდევნო წლებში ყველაზე საპასუხისმგებლო როლს შეასრულებენ ქვეყნის მართვაში, - საზეიმოდ წარმოთქვა პრემიერ-მინისტრმა, ქვეყნის უმდიდრესმა ადამიანმა, ქვეყნის ყველა საქველმოქმედო ფონდის დამფუძნებელმა, რომელმაც სულ მცირე ხნის წინათ გამართულ საარჩევნო პროცესში მოქალაქეებს განვითარების და კეთილდღეობის მიღწევის მომხიბლავი ფორმულა შესთავაზა. სწორედ ამ შეთავაზებით მან საყოველთაო აღიარება და ქვეყნის პირველი პოსტი მოიპოვა. - ჩვენ ყველას გვსურს, რომ ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი როლი კაცობრიობის განვითარების იმ ეტაპზე და იმ ადგილზე, რომელიც განგებამ მოგვიჩინა. დღეს ჩვენ შევიკრიბეთ, რათა ვიმსჯელოთ, როგორ ვმართოთ ქვეყანა და ერთმანეთს კიდევ ერთხელ აღვუთქვათ მზადყოფნა, რომ საერთო საქმეში ძალებს არ დავიშურებთ და, რომ ჩვენი წარმატების საიდუმლო ჩვენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე რწმენა და ერთგულება იქნება, - ამბობდა პრემიერ-მინისტრი...

პრემიერ-მინისტრთან მიღებაზე მიწვეული სტუმრები ხვდებოდნენ, რომ გამოსვლის ტექსტში ჩართულ სიტყვა ერთგულებაში მათი პრემიერ-მინისტრისადმი ერთგულება იგულისხმებოდა, სიტყვა რწმენაში კი - ღვთისა და პრემიერ-მინისტრის რწმენა. მისი სიტყვა ემოციურადაც აღიქმებოდა და წარმატებათა მოლოდინის აღმძვრელადაც. პრემიერ-მინისტრი დამაიმედებლად ლაპარაკობდა პოლიტიკურ გამოწვევებზე, სოციალურ პროგრამებზე და როგორც ქვეყნის პირველ პირს შეეფერებოდა, ღიმილსა და თბილ მზერას არ იშურებდა შეკრებილი ბატონებისა და ქალბატონებისთვის. მისი სიტყვის დამამთავრებელ ფრაზას კი ფეხზე ადგომით და ტაშით შეხვდნენ შეხვედრის აშკარად მონუსხული მონაწილენი.

სასახლის ღია ვერანდაზე, რომელსაც გარს ერტყა მარადმწვანე მაგნოლიები, გიგანტური ხეტიტები და ევკალიპტები, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მიერ მოწვეული გავლენიანი მოქალაქეები იმყოფებოდნენ, მათ შორის:

1. პრემიერ-მინისტრის ბანკის მმართველი და მისი ყველა საქმიანი ჩანაფიქრის ორაკულად წოდებული ფინანსისტი, მისი განუყრელი თანამგზავრი;

2. სასულიერო იერარქი, პრემიერ-მინისტრის მიერ დაფუძნებული მონასტრების აღდგენა-მშენებლობების საქველმოქმედო ფონდის საპატიო პრეზიდენტი;

3. სამართლიანობის მინისტრი;

4. უშიშროების მინისტრი, კიდევ ერთი ორაკული პოლიტიკური თუ სოციალური საფრთხეების გაუვნებელყოფის საკითხებში;

5. მეცნიერებათა საქველმოქმედო ფონდის პრეზიდენტი;

6. პრემიერ-მინისტრის სტიპენდიების საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელი;

7. ინფრასტრუქტურის საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელი;

8. პირი, რომელიც პრემიერ-მინისტრთან უბრალოდ ვისკის სვამდა ხოლმე.

9. საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, საინფორმაციო განვითარების საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელი;

10. მეცნიერი ნევროლოგი, რომელიც პრემიერ-მინისტრს მუდმივად უზიარებდა იდეებს ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემის შესაძლებლობების შესახებ.

11. მიუსაფართა საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელი;

12. მოსამართლე, რომელმაც პრემიერ-მინისტრს ოდითგანვე შთააგონებდა, რომ მხოლოდ მის მმართველობას შეეძლო ქვეყნად სამართლიანობის დამკვიდრება.

- ბატონო პრემიერ-მინისტრო, - წამოიწყო სიტყვა წმინდა სინოდის წევრმა. - უფალი ყველაფერს ხედავს და რადგან მან თქვენი თავი მოუვლინა ჩვენს ქვეყანას, ესე იგი, დაადგინა, რომ ამ ქვეყანას თქვენ ესაჭიროებოდით. თქვენ ხართ მისი რჩეული და, თუ ადამიანები თქვენგან მოელიან, რომ კეთილდღეობას და ბედნიერებას მიანიჭებთ, თუ ისინი თქვენს კარზე დააკაკუნებენ, მათ აუცილებლად გაეღებათ თქვენი კარი და მიიღებენ თქვენგან ბოძებულ კეთილდღეობას და ბედნიერებას. და, თუ ადამიანები თქვენგან სასწაულს მოითხოვენ, უფალი მოგანიჭებთ ამის ძალას და თქვენ ადამიანებთან აუცილებლად მიიტანთ სასწაულსაც. თქვენ შექმნით სამოთხეს ამქვეყნად, რამეთუ თქვენ ხართ ნათელი და იმედი ხვალინდელი დღის, - ამაღელვებლად წარმოთქვამდა ფრაზებს წმინდა სინოდის წევრი და ყოველი ამაღლებული ფრაზა ვერანდაზე მსხდომთა სახეებს იმედად ეფინებოდა, თითქოს მათ წინ ახლა არა მხოლოდ მათი პოლიტიკური წინამძღოლი, არამედ განსხეულებული მფარველი ანგელოზი იმყოფებოდა...

- რატომ ჰგონიათ ადამიანებს, რომ ფული ყოველი მათგანის გამდიდრებისთვის გამოიგონეს?! - გადაულაპარაკა პრემიერ-მინისტრმა გვერდით მჯდომ თავის განუყრელ ფინანსისტს და წამოდგა, რათა მოწვეული სტუმრებისთვის მიემართა.

- უდიდესი პატივია, როცა ბედნიერების წყაროდ მიგიჩნევენ, - თქვა პრემიერ-მინისტრმა, მერე წამით შეჩერდა, აპირებდა ეთქვა, რომ არასოდეს არაფერს დაიშურებდა ადამიანთა მოლოდინის გასამართლებლად... მაგრამ მოულოდნელად წარმატების მწვერვალზე მყოფს მოუნდა რაღაც უფრო მარტივი, ეგზისტენციალური რამ ეთქვა:

- ახლა მინდა იმის შესახებ გიამბოთ, რა შეიძლება იყოს ბედნიერების ფორმულა, - წარმოთქვა მან. - ყოველთვის მომიწოდებდნენ ჩემი მშობლები, რომ ხელობა შემეთვისებინა - რამე ისეთი ხელობა, რომლის წყალობითაც დამსახურებული ჯამაგირი მექნებოდა და ამ გასამრჯელოთი მშვიდად ვიცხოვრებდი, მარტივ ბედნიერებას შევიგრძნობდი. ვერ შევითვისე ბედნიერების ეს მარტივი ფორმულა და ხანდახან ვნანობ კიდეც... არ მავიწყდება, დილაობით სკოლაში წასვლამდე როგორ მხვდებოდა ხანოლთან ათკაპიკიანი. მადლობასაც არ ვამბობდი ხოლმე, რადგან მეგონა, რომ იგი კანონზომიერებით მეკუთვნოდა, რომ მას ჩემს ღარიბ მშობლებს ჩემთვის გადმოსაცემად განგება უგზავნიდა... იმ ათკაპიკიანების ფასს ხანდახან მილიონების ფასი გადაუწონავს. ათკაპიკიანებითა და მრავალმილიონიანი საბანკო ანგარიშებით აღძრული ბედნიერების შეგრძნებები კი საერთოდ ქრება, როცა ძალაუფლების წესრიგი იწყება. იქ სადაც ძალაუფლებაა, ფული ბედნიერების ფუნქციას კარგავს და წესრიგის ინსტრუმენტად იქცევა, - თქვა პრემიერ-მინისტრმა, რომელმაც გადაწყვიტა საზოგადოებისთვის ფულის ეგზისტენციალური არსის გარდა სერობის პრაგმატული მნიშვნელობაც დაენახვებინა...

- დიახ, ფული მართვის ინსტრუმენტიცაა, - წარმოთქვა წმინდა სინოდის წევრმა პრემიერ-მინისტრის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრების განსამტკიცებლად, - ადამიანს ბედნიერებას ღმერთი ანიჭებს, ბედნიერება რწმენაშია, ფული კი წესრიგის ინსტრუმენტია, რათა იცხოვრო და ალიცსო რწმენით...

ეროვნული ბიბლიოთეკა



- როგორ ფიქრობ, სულიერება მაშინაც უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ფული, როცა სასულიერო იერარქი ფულზე უფრო მეტად ლაპარაკობს, ვიდრე სულზე, - ირონიულად გადაულაპარაკა პრემიერ-მინისტრმა თავის ერთგულ ფინანსისტს.

- არა, იგი ფულზე არ ლაპარაკობს ბატონო პრემიერ-მინსტრო, - უპასუხა ერთგულმა ფინანსისტმა პრემიერ-მინისტრს და სასულერო იერარქზე მიანიშნა, რომელსაც წითელი ღვინით სავსე სასმისი ეპყრა და ფრესკაზე გამოსახული წმინდანივით მიმართავდა პრემიერ-მინისტრის სტუმრებს. - დააკვირდით ბატონო პრემიერ-მინისტრო, ნუთუ იგი ახლა მათ ფულზე ელაპარაკება?! იგი ახლა წითელი ღვინით სავსე ბარძიმით იმას ამბობს, რომ პრემიერ-მინისტრის სისხლს ვეზიარებითო, აი, ამაზე ლაპარაკობს პატივცემული სინოდის წევრი.

- მოძღვარო, იქნებ აგვიხსნათ, გონიერება უფრო გამოადგება ჩვენს მმართველ გუნდს, რწმენა თუ ფული? - ეკითხებოდა მეორე მხრიდან სასულიერო იერარქს პრემიერ-მინისტრის სტიპენდიათა ფონდის ხელმძღვანელი.

- გონიერების გარეშე ფული არ მოიპოვება, ფულის გარეშე ღირსეული არსებობაა შეუძლებელი და ულირს ყოფაში რწმენაც გაქრება, - დაიწყო მოვლენათა ჯაჭვური ბმების ახსნა სასულიერო იერარქმა, - ურწმუნოებით, მოგეხსენებათ, გონიერება უგუნურებად გარდაიქმნება, ამიტომ, ჩვენ რწმენა გვესაჭიროება, რწმენა ასაზრდოებს ყოველივე გონიერს და გონიერებას მოაქვს ფული! ჩვენ შევძლებთ რწმენით მოვიპოვოთ ფული, თუ ჩვენთან ჩვენი პრემიერ-მინისტრი იქნება!

- დიახ, - დაეთანხმა მას ინფრასტრუქტურის საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელი, - დიახ, ჩვენ გვყავს პრემიერ-მინისტრი, რომელსაც შეუძლია სამოთხე ააშენოს ამქვეყნად!

- გონიერება და უგუნურება, რწმენა და ურწმუნოება მხოლოდ პოლიტიკური ტექნოლოგიების ნაწილებია, - ჩაერთო განხილვაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი - სინამდვილეში, რასაც საინფორმაციო საშუალებები ხშირად გამოაქვეყნებენ, საზოგადოება იმას დაიჯერებს! მთავარია, საინფორმაციო საშუალებებმა ის თქვან, რაც ჩვენს მმართველ გუნდს ესაჭიროება. თუ ჩვენი მმართველი გუნდი შესაბამის საფასურს გადაიხდის, მაშინ, როგორც სპეციალისტი, გარწმუნებთ, რომ საინფორმაციო საშუალებები მხოლოდ ჩვენთვის სასარგებლო წინადადებებს გამოაქვეყნებენ.

მიღებაზე მყოფი სტუმრები ყურადღებით ისმენდნენ საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის მოსაზრებებს, თითქმის ყველაფერი ყველასთვის მისაღები იყო, მაგრამ მოულოდნელად განხილვაში სამართლიანობის მინისტრი ჩაერთო:

- ეს ხომ მოსყიდვაა, როგორ დავიხსნით ამის შემდეგ თავს ბრალდებისგან, რომ ჩვენ საინფორმაციო საშუალებებს მოვისყიდით? - თქვა სამართლიანობის მინისტრმა.

ეროვნული

- ქალბატონო მინისტრო, როცა ადამიანებს ეუბნებიან, სამოთხეს მიიღებ მორჩილებისათვისო, ნუთუ ეს არ ნიშნავს მოსყიდვას, მით უმეტეს, რომ სამოთხის მომხიბლაობებში ადამიანების დარწმუნება შეიძლება თაღლითობის ნიშნებსაც შეიცავდეს, რადგან დაპირებული სამოთხე შეიძლება სულაც ვერ მიიღონ ადამიანებმა! - უპასუხა სამართლიანობის მინისტრს საზოგადოებასთან ურთიერთობების სპეციალისტმა, - საერთოდ, როგორ ფიქრობთ, რატომ არ იწყებს კაცობრიობა გამოძიებას იმ ძალადობაზე, რომელიც ფსიქოლოგიური მუქარის სახით მიმდინარეობს ჯოჯოხეთის მითის გამოყენებით! რომ საღვთო მოძღვრებების უარმყოფელი პირები ჯოჯოხეთის კუპრში მოიხარშებიან საუკუნოდ! მაგრამ კაცთა მოდგმის გონიერებამ გვიკარნახა, რომ ფულის ემისია და ამ ფულით ადამიანების დაშოშმინება უფრო მარტივია, ვიდრე სისხლის სამართლის საქმეების წარმოება ან გონიერების სტანდარტების ამაღლება!

- პატივცემულო საზოგადოებავ, - წარმოთქვა ქალბატონმა მინისტრმა, - ზოგჯერ ჩვენ სამართლიანობის დაცვის მოთხოვნით მოგვმართავენ, რომ ჯოჯოხეთი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სარწმუნოებათა დასამკვიდრებლად გამოიყენებოდა, ძალადობის გამოვლინებად შევაფასოთ! ზოგჯერ ჯოჯოხეთის წამების დანაშაულებათა სავარაუდო ადგილსამყოფელად ცნობას გვთხოვენ და მოგვიწოდებენ გამოვიკვლიოთ ჯოჯოხეთში ადამიანების კუპრში მოხარშვის შესაძლებლობები! რა თქმა უნდა, ხანდახან თაღლითობის ნიშნების დანახვასაც გვაიძულებენ ჯოჯოხეთისა და სამოთხის შესახებ შეთხზულ მოძღვრებებში, მაგრამ ვეთანხმები საზოგადოებასთან ურთიერთობის სეციალისტს, რომ ფულის ბეჭდვა და მისი საშუალებით გავლენების მოპოვება უფრო კეთილშობილური პოლიტიკური არჩევანი იქნება ყოველთვის. - თქვა სამართლიანობის მინისტრმა...

- ისინი, ვინც ფულზე ოცნებობენ, ალბათ ჰგონიათ, რომ როცა ბანკნოტებს ბეჭდავენ, ფულის სტამბა მათ ოცნებებსაც ითვალისწინებს, - წამოიძახა საზოგადოებასთან ურთიერთობის გაცხარებულმა სპეციალისტმა. სულაც არ არის აუცილებელი, რომ ფული ყველას გადავუხადოთ! ფულს თუ ყველას გადავუხდით, ფული გაუფასურდება! ფული თუ ძალას დაკარგავს, მას ჩვენი ძალაუფლებაც თან მიჰყვება! ფული ყველას კი არ უნდა გადავუხადოთ, არამედ ისეთი რეალობა უნდა შევქმნათ, ყველა იღვწოდეს, რომ ფული მას გადავუხადოთ! - ამბობდა იგი.

- საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი უდავოდ მჭევრმეტყველია - გადაულაპარაკა პრემიერ-მინისტრს ერთგულმა ფინანსისტმა, - მაგრამ სამართლიანობის მინისტრმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ბატონო პრემიერ-მინისტრო!

- თქვენ არ გეხსომებათ ამ ქალბატონის მამა. ის ცნობილი მოსამართლე იყო, - უთხრა ერთგულ ფინანსისტს პრემიერ-მინისტრმა, - განსასჯელებს სასამართლო დარბაზში შესვლამდე ატყობინებდა, რამდენი უნდა გადაეხადათ გათავისუფლებისთვის. თანხის თუნდაც ნახევარის გადახდის შემთხვევაში, სასჯელს უნახევრებდა, მაგრამ, იმ განსასჯელს, რომელიც არაფერს გადაიხდიდა, მაქსიმალურ სასჯელს უსჯიდა. მერე, თავისი ქალიშვილი საფრანგეთში L'École Nationale d'Administration-ში გაგზავნა სასწავლად. გოგონა კარგად სწავლობდა და მამის განაჩენების ხარჯზე ფუნთუშებსაც მიირთმევდა. მამამისის რეალური როლი სასამართლო სისტემაში კი ის იყო, რომ ქვეყნისთვის საჭირო საქმეებზე დახვრეტის გადაწყვეტილებები მიეღო. ამის გამო მასთან ვალში მყოფი სახელმწიფო სისტემა მას რიგითი განსასჯელების გატყავების პრივილეგიით ანებივრებდა. ამიტომ, აუღელვებლად იღებდა ქრთამს ქალიშვილის განათლებისა და ფუნთუშებისთვის. თუმცა, ადამიანების უმრავლესობა ნიჭით და ცოდნით მინისტრობას ვერასოდეს მოიპოვებს. მინისტრად ეს ქალბატონი ჩემს კაბინეტში იმიტომ მოვიწვიე, რომ მის ადგილზე ვინმე ადამიანური გრძნობებით დასნებოვნებული არსება არ შემომპარვოდა. აი, ასე გახდა იგი მინისტრი. ის მხოლოდ წესრიგის ნაწილია...

- ბატონო პრემიერ-მინისტრო, წესრიგი სამყაროში უსამართლობის გარეშე არ არსებობს! - აჰყვა რიტორიკაში ერთგული ფინანსისტი, - და, თუ უსამართლობის შემცირება აუცილებელი გახდება, იგი მხოლოდ იმ დოზით უნდა შევამციროთ, რომ წესრიგი არ დაზარალდეს! წესრიგი საყოველთაო სიკეთეა, საყოველთაო ბედნიერება! - უთხრა მან პრემიერ-მინისტრს მისთვის გაზიარებული მოსაზრებების გასამყარებლად.

- ბატონო პრერ-მიერმინისტრო, - გაბედულების ზღვარზე ამოთქვა პრემიერ-მინისტრის მეორე გვერდით მჯდომმა მოსამართლემ, რომელიც დისკუსიის განმავლობაში მუდმივად აყურადებდა პრემიერ-მინისტრის აზრებს, - გავბედავ და გეტყვით, როცა განსასჯელთა საქმეებს განვიხილავ, ვხედავ, რომ რწმენა, გონიერება და ფული ასაზრდოებენ დანაშაულსაც და სამართლიანობასაც. ეპოქებს ხანდახან ის დამნაშავეები ქმნიდნენ, რომლებსაც ძეგლებსაც უგებდნენ მაშინ, როცა უამრავი ალალმართალი და უდანაშაულო ადამიანის სახელსაც კი არ ახსენებენ არასოდეს. ბატონო პრემიერ-მინისტრო, მეც წესრიგის მხარდამჭერი ვარ! შეიძლება უნდა მრცხვენოდეს, რომ ხანდახან უდანაშაულო ადამიანის მსჯავრდება მიხდება, შეიძლება იმის გამოც უნდა მრცხვენოდეს, რომ ისეთ დამნაშავებს ვათავისუფლებ, რომელთა გათავისუფლებაც კანონით დაუშვებელია; უნდა მრცხვენოდეს, რომ კარიერისტი საბჭოთა პარტიული მუშაკების მორალურ ყოველდღიურობაში გავიზარდე და მათი ცხოვრების წესი საგულდაგულოდ შევითვისე, მაგრამ წესრიგისთვის, პოლიტიკური და სახელისუფლებო წესრიგისთვის სრულფასოვანი უნარები მაქვს! ალბათ ეს ყველაფერი იცით და ამიტომ არ მაშინებს თქვენს გვერდით ყოფნა! ანუ, ალბათ ყველაფერი უკვე იცით ჩემი პირადი ცხოვრების შესახებ და, თუ რამ კიდევ არის, რაც არ იცით ჩემი პირადი ცხოვრებიდან, ყველაფერი შემიძლია მოგითხროთ სრული გულწრფელობით, - უთხრა მოსამართლემ პრემიერ-მინისტრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- პოლიტიკურ ცხოვრებაში ბევრი სევდიანი ეპიზოდია, - უპასუხა პრემიერ-მინისტრმა მოსამართლეს! - ნუ ღელავთ, იმედია, ყველაფერი ვიცი! - თქვა და თავაზიანად მიანიშნა, რომ ახლა საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტისთვის უნდა მოესმინათ, რომელიც თავის აზრს აგრძელებდა პოლიტიკურ ტექნოლოგიებზე.

- ისინი, ვისაც ფული უნდა გადავუხადოთ, თითქმის არაფრით განსხვავდებიან იმათგან, ვისაც ფული არ უნდა გადავუხადოთ. ვისაც გადავუხდით, მუდმივად იფიქრებენ, რომ, თუ მორჩილებაში არ იქნებიან, ველარ მიიღებენ წყალობას და ვისაც არ გადავუხდით, მორჩილებაში იქნებიან იმის გამო, რომ მორჩილებაზე ხელის აღებით საერთოდ დაკარგავენ წყალობის პერსპექტივას. რა თქმა უნდა, მათი მორჩილება წყალობის მოლოდინში ზოგჯერ შეიძლება უსასრულო არ იყოს! შეიძლება ცდუნდნენ და სხვა მოლოდინები გაუღვივდეთ. ამიტომ ზოგ შემთხვევაში მორჩილებაში მყოფ ადამიანებს ადგილებიც უნდა შევუცვალოთ - გადავუხადოთ, ვისაც არ ვუხდიდით და აღარ გადავუხადოთ, ვისაც ვუხდიდით, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ფულის გადახდის მიზანი თუ ადამიანების მორჩილებაა, ფულის არგადახდის მიზანიც მათი მორჩილება უნდა იყოს! - ამბობდა საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციალისტი.

უშიშროების მინისტრი არ უსმენდა გამომსვლელთა მოსაზრებებს. იგი მუდმივად პრემიერ-მინისტრს აკვირდებოდა. იმდენად ახლოს შეერჩია მასთან ადგილი, რომ სრულფასოვნად ჩასწვდომოდა იმ საკითხებს, რომლებზეც პრემიერ-მინისტრი ჩხუელობდა მის გვერდით მყოფებთან ერთად. და მაშინ, როცა პრემიერ-მინისტრმა თავის ერთგულ ფინანსისტთან სამართლიანობის მინისტრის პირად ცხოვრებაზე დაიწყო ლაპარაკი, გულმა ველარ მოუთმინა და გვერდით მყოფ მეცნიერებათა საქველმოქმედო ფონდის პრეზიდენტს მიუბრუნდა:

- იცით, საიდუმლოდ მინდა გითხრათ! სრულიად საიდუმლოდ! რომ უდიდესი შრომისმოყვარეობის უნარი აქვს პრემიერ-მინისტრს. სანამ ადამიანს პოლიტიკურ გუნდში მოიწვევს, პირადად სწავლობს ყველა მათგანის ცხოვრებას. ყველაფერს იკვლევს, ფარული ვიდეო და სატელეფონო ჩანაწერების ჩათვლით. იცით, უამრავ კითხვას სვამს, უამრავ დავალებას გვაძლევს მათზე დაკვირვებისთვის. იმისთვის, რომ უკეთესად გაგრძნობინოთ მისი დამოკიდებულება ადამიანებისადმი, ერთ კითხვას დაგისვამთ! მაგალითად, მიპასუხეთ, დიდი სხვაობაა ავაზაკსა და კანონმორჩილ ადამიანს შორის?

- ალბათ საკმაოდ დიდი სხვაობაა, - უპასუხა მეცნიერებათა ფონდის პრეზიდენტმა, რომელიც ჯერ კიდევ იმით იყო კმაყოფილი, პრემიერ-მინისტრთან მიპატიჟებულ შეხვედრაზე ბედმა ადგილი უშიშროების მინისტრის გვერდით რომ არგუნა, თუმცა, ახლა სხეული ბედნიერებისგანაც უთრთოდა და შიშნარევი გაურკვევლობისგანაც, რომ ერთი მხრივ, საიდუმლო საკითხებზე უშიშროების მინისტრთან დისკუსის შესაძლებლობა მიეცა და მეორე მხრივ, ეს საიდუმლო საკითხები უშუალოდ პრემიერ-მინისტრს უკავშირდებოდა.

- აი, პრემიერ-მინისტრი კი მათ ერთმანეთისგან არ ასხვავებს, - ეუბნებოდა მას ამ დროს უშიშროების მინისტრი, - დააკვირდით, კანონმორჩილებიც და ავაზაკებიც, ორივენი გულმოდგინედ ეუფლებიან კანონებს და წესებს, კანონმორჩილები ამას იმიტომ აკეთებენ, რომ კანონების გამოყენებით მოიპოვონ ცხოვრებაში თავიანთი ადგილი, ავაზაკები კი ცდილობენ, იმავე კანონების და წესების გვერდით ავლით მიაღწიონ თავიანთ სანადელს. თითქოს ძნელია ხომ განსხვავებებსა და მსგავსებებს შორის ზღვარის გავლება. დიახ, ერთი შეხედვით ძნელია, მაგრამ აი, როცა მათ პირად ცხოვრებებს ჩახედავ, როცა შეისწავლი მათ ფარულ ვიდეო და სატელეფონო ჩანაწერებს, დაინახავ, რომ ისინი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს და ორივე მხრიდან საუკეთესოების გამორჩევაა საჭირო, რომ პოლიტიკური გუნდი შექმნა. - თქვა უშიშროების მინისტრმა და ამაყი, მშვიდი მზერით პრემიერ-მინისტრს გახედა. თუმცა, ამ დროს საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციალისტმა პოლიტიკაში ფულის როლზე საუბარი დაასრულა და აპლოდისმენტების ხმაურმა მათი მშვიდი ლაპარაკი გადაფარა.

- ბედნიერებაა პრემიერ-მინისტრის გარემოცვაში მოხვედრა, - ფიქრობდა მეცნიერებათა საქველმოქმედო ფონდის პრეზიდენტი, - იგი ყველას აძლევს შანსს, როგორც უფალი! დიახ, წუმპიდანაც შეიძლება უფალთან მოხვდე, ისეთი წუმპიდან, სადაც აყროლებულები სახლობენ, რადგან თავად უფალმა შექმნა ყველა ეს წუმპე! - თითქმის უნდა ამოეთქვა ეს სიტყვები, მაგრამ თავს უფლება ვერ მისცა, რომ ეს აზრი ხმამაღლა გამოეთქვა უშიშროების მინისტრის თანდასწრებით, თუმცა, მის ფიქრებს გაბედულება არ აკლდა.

- სრული სიმართლეა, დიახ, სრული სიმართლეა - ამბობდა სასულიერო იერარქი ჯერ კიდევ ჩაუმქრალი აპლოდისმენტების ფონზე. - დიახ, ფული და უფულობა მმართველობის უმნიშვნელოვანესი იარაღებია, უფრო მეტიც, ზუსტად ფული და უფულობაა ადამიანთა მოდგმის უდიდესი საცდურები. ჩვენთანაც, სულიერების მაღალ სამსჯავროზე, სწორედ ფულით და უფულობით დაცემული ადამიანები ითხოვენ შენდობას და ღმერთიც ვერ შეაფასებდა ადამიანს სრულფასოვნად ამ ორი დიდი საცდურის გარეშე - ამბობდა სინოდის წევრი.

- სიმართლე გითხრათ, ძალიან დამაჯერებლად ლაპარაკობს და მისი ცხოვრების ფარული ვიდეოჩანაწერები რომ არ მქონდეს ნანახი, ვიფიქრებდი, რომ ის ახლა ღმერთს ემსახურება და არა მე. - გადაულაპარაკა ერთგულ ფინანსისტს პრემიერ-მინისტრმა.

- ბატონო პრემიერ-მინისტრო, - წამოთქვა ამ დროს ნევროლოგმა, - მე მინდა, მეცნიერული მოსაზრებები მოგახსენოთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა იყოს პოლიტიკური მმართველობისთვის. ადამიანის ტვინი ევოლუციის პროდუქტი არ არის. მე დაგისაბუთებთ, რატომ არ არის ადამიანის ტვინი ევოლუციის შედეგი. მაგალითისთვის ავიღოთ

ორი ახალშობილი, რომელთაგან პირველი დაიბადა ცივილიზებულ სამყაროში, საუკეთესო ტრადიციების მქონე განვითარებულ ოჯახში, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ გარემოში და მეორე კი სრულიად საწინააღმდეგო, სრულიად განუვითარებელ, პირველყოფილ გარემოში, ტომის ყველაზე დაკნინებული ადამიანების სადგომში და, თუ ჩვენ მათ ადგილებს შევუცვლით, ისინი თავიანთი ახალი გარემოს შესაბამისად აღიზრდებიან.

რომ შეიძლებოდეს, ჩვენი ეპოქიდან ახალშობილის პირველყოფილი ადამიანების გარემოში გადანერგვა, იგი პირველყოფილად გადაიქცეოდა, პირველყოფილთა ჩვილი რომ თანამედროვეობაში გადმოვნერგოთ, სრულიად თანამედროვე ადამიანად ჩამოყალიბდებოდა. ევოლუცია არაფერ შუაშია. ადამიანის ტვინი ბიოლოგიური მექანიზმია, რომელიც იმ საწყისი ადგილიდან ვითარდება, სადაც იგი სიცოცხლის დასაწყისში აღმოჩნდება. უფრო მეტიც, ადამიანის ტვინი იმაზე მეტ უნარებს ფლობს, ვიდრე ეს ევოლუციამ მოსთხოვა კაცობრიობას! ანუ, ადამიანის ტვინი უსწრებს ევოლუციას! ამიტომ, თუ ჩვენ შევქმნით სისტემას, სადაც ადამიანებს სასიცოცხლოდ დასჭირდებათ ჩვენი პოლიტიკური სისტემის მხარდაჭერა, ისინი დაგვასწრებენ მხარდაჭერის ფორმულის გამოგონებას ჩვენი პოლიტიკური მმართველობის მოთხოვნების შესაბამისად! არა ევოლუციურად, არამედ წინსწრებით! და არავისთვის ფულის გადახდა აღარ დაგვჭირდება, ისინი თვითონ გახდებიან მხარდამჭერები - თქვა მეცნიერ-ნევროლოგმა.

მიღებაზე მყოფმა სტუმრებმა ამ იდეას აპლოდისმენტები შეაგებეს.

- მე, როგორც მეცნიერი, გიდასტურებთ, რომ ადამიანის ტვინი მზადაა შეეგუოს ნებისმიერ პოლიტიკურ მოთხოვნას, მე თუ მკითხავთ, მას ფული არ სჭირდება იმისთვის, რო მორჩილებას შეეგუოს. ნევროლოგიურად, ადამიანის ტვინი მზადაა მორჩილებისთვის. მას გამოზრდა სჭირდება. - იმეორებდა აპლოდისმენტების ფონზე მეცნიერი.

- არა პატივცემულო საზოგადოებავ, - გაიძახოდა საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციალისტი, - ბატონი მეცნიერი შეიძლება მეცნიერულად საინტერესო იდეას გვთავაზობს, მაგრამ გარწმუნებთ, ასეთი აღმზრდელობითი სისტემის შექმნა გაცილებით ძვირი დაგვიჯდება, ვიდრე პოლიტიკური გემოვნებით ადამიანებისთვის შემწეობების დარიგება...

- ჭკვიანმა ადამიანებმა, რომლებმაც ფული მოიგონეს, რატომ დაუშვეს, რომ ასეთ ხეპრეებსაც მოეპოვებინათ იგი?! - ფიქრობდა მიუსაფართა საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელი, - გამდიდრება მხოლოდ სხვის ტყავზეა შესაძლებელი, თორემ საკუთარი ტყავი გამდიდრებისთვის საჭირო შრომას ვერ უძლებს! - ფიქრობდა იგი.

სამართლიანობის მინისტრი გრძნობდა, რომ როგორც ქვეყნის სამართლებრივი სისტემის ხელმძღვანელს ახლა რამდენიმე ძლიერი აზრი უნდა გამოეთქვა. მაგალითად ის, რომ წარმატებული მმართველობისთვის საჭირო იყო ჭეშარიტი ძალაუფლების დამცველი კანონების შექმნა, მაგრამ საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციალისტი არ ცხრებოდა:

- თუ ადამიანებს შთავაგონებთ, რომ რწმენით უნდა ისაზრდოონ, ისაზრდოებენ რწმენით, თუ ადამიანებს ვეტყვით, რომ ფულია მათი პური არსობისა, პური გადაიქცევა ფულად! - მეცნიერება ისეთი იქნება, როგორშიც ფულს გადავიხდით, ჭეშმარიტებაც ზუსტად ისეთი იქნება, როგორიც იქნება დაკვეთა! - ამბობდა იგი.

- რატომ უნდა იყვნენ ჩემს გვერდით ასეთი ნაძირლები?! - ფიქრობდა პრემიერ-მინისტრი და შეპყურებდა სერობის მონაწილეებს, რომლებიც სასმისებით ხელში ერთმანეთს ძალაუფლების შესახებ აზრების გამოთქმაში ეცილებოდნენ, - იმიტომ, რომ ძალაუფლების შენარჩუნების სხვა გზა არ არსებობს! ხშირად მსაყვედურობენ, რატომ არ აფიწანსებ ნესიერ ადამიანებს, ისინი ხომ უკეთესობისკენ შეცვლიან ცხოვრებასო. არ იციან, როგორც კი მათ დავაფინანსებ, ისინიც ჩემს ნაძირლებად გადაიქცევიან და ამ ნაძირლებთან ერთად მიღალატებენ, როგორც კი ახალი პატრონი გამოუჩნდებათ! და საერთოდ, რისთვის უნდა მინდოდეს ასეთი ძალაუფლების შენარჩუნება?!

რა გაუძლებს ძალაუფლების გარეშე ამდენ მოღალატეს?! ისეთი განცდა მაქვს, რომ ოდესღაც ერთ სერობაზე ვიმყოფებოდი, სათნოებით და სიყვარულით აღსავსე სერობაზე, სადაც მოძღვარმა უდიდეს საიდუმლოს გვაზიარა! საოცარი დრო იყო, მხოლოდ ერთმა ჩვენთაგანმა გასცა, დიახ, მხოლოდ ერთად-ერთმა ჩვენთაგანმა გასცა მაშინ მოძღვარი - გაიფიქრა პრემიერ-მინისტრმა. ახლა კი ყოველი ამათგანი გამცემს, ყოველი ამათგანი...

- ძალაუფლებაა ჭეშმარიტება! - ამბობდა სერობის ერთ-ერთი წევრი ღვინით სავსე ბარძიმით ხელში .

- და თავისუფლება სადღაა, - ეკითხებოდა გუნებაში მას წვეულების მეორე მონაწილე.

- ყველგან, სადაც გაქცევას შეძლებ, - პასუხობდა მას პირველი...

- ეჰ, რა სულგრძელი იყო იესო, რომ თვითონ ჯვარს ეცვა და ამათ ნეტარებაში ამყოფებს - ფიქრობდა სერობის კიდევ ერთი წევრი.

- შეუძლებელია იმდენი ფულის მოპოვება, რომ ჩვენს პრემიერ-მინისტრს გაუთანაბრდე! დიახ, შეუძლებელია! თუმცა, სრულიად შესაძლებელია, თვითონ გაგვითანაბრდეს! - ფიქრობდა სერობის წევრი, რომელიც პრემიერ-მინისტრთან ვისკის სვამდა ხოლმე, - ამისთვის ის უბრალოდ უნდა გაკოტრდეს, დაკარგოს თავისი ფული და, აი, მაშინ შესაძლებელი იქნება, რომ თვითონვე გაგვითანაბრდეს... - მაგრამ სწორედ ამ დროს მოჰკრა თვალი პრემიერ-მინისტრის მზერას და მგონი, მე ფისი მინდაო, თავისთვის გაიფიქრა მან, - კაცმა, რომელიც პრემიერ-მინისტრთან ვისკის სვამდა ხოლმე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა დუმბაძე

# ჩემი ქართულ-ებრაული საუკუნის გარიგება“






ეროვნული ბიბლიოთეკა

უხსოვარ დროს, ხუთ აბიტურიენტთან ერთად ფიზიკაში ვემზადებოდი. სამედიცინოზე მინდოდა ჩაბარება, მაგრამ ზუსტად გამოცდების წინ ჩუტყვავილა შემეყარა და თვენახევარი მოვწყდი სამყაროს. ბედი დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ვცადე. ის იყო, სემესტრი დავხურე და ამხანაგებთან ერთად კომკავშირული საგზურით პოლონეთს უნდა გავმგზავრებულიყავი, რომ წინა დღეს იმ ხუთი აბიტურიენტიდან, ვისთან ერთადაც ფიზიკაში ვემზადებოდი, ერთმა დამირეკა.

- გამარჯობა, ეკა, მიშა ვარ წიწუაშვილი. ძალიან სერიოზული საქმე მაქვს შენთან, დღესვე უნდა შევხვდეთ, - სულმოუთქმელად მომახალა.

- ვაიმე, მიშა, ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ხვალ დილით მოსკოვში მივფრინავ, იქიდან პოლონეთში, ძალიან დაკავებული ვარ, ეგებ ტელეფონით მითხრა რა საქმე გაქვს? - ბოდიშის მოხდით ვუპასუხე.

- ტელეფონით მიძნელდება, მნიშვნელოვანი საქმე მაქვს, ეგებ როგორმე მოიცალო, გთხოვ! - შემეხვეწა მიშა. ისეთი ხმა ჰქონდა, სინდისმა შემაწუხა. ვიფიქრე, ალბათ ოჯახური პრობლემა აქვს და მამაჩემის დახმარება სჭირდება-მეთქი. ვიცოდი, მისი ოჯახი უკვე კარგა ხანია, ისრაელში წასასვლელად ემზადებოდა და ალბათ კაგებეში თუ გაურთულდათ რამე-მეთქი. არ მომეწონა ეს ვარიანტი და უფრო დამაჯერებლად დავიხიე უკან.

- ვერა, მიშა, ხომ ვერ მოგატყუებ, არ მინდა დაგპირდე და ვერ შევასრულო. ვერაფერს ვასწრებ, იმდენი საქმე მაქვს. ბოდიში, რა, ტელეფონით მითხარი, რა გინდა, - გავძალიანდი.

- ტელეფონით ვერ გეტყვი, არ არის სატელეფონო საუბარი, - დაუსევდიანდა ხმა მიშას.

- მაშინ, ორი კვირის შემდეგ დავბრუნდები და სადაც გინდა, რამდენი ხნითაც გინდა, შევხვდეთ და მითხარი. ძალიან ხომ არ იწვის ეგ შენი საქმე?

- ორ კვირაში გვიან იქნება, ისრაელში მივდივარ, - მოშიჭრა.

- თვის ბოლოს აქ ვიქნები, რა პრობლემაა!

ეჭვი არაა, მამაჩემის დახმარება უნდა ეთხოვა და ამიტომ, კიდევ უფრო გავუძალიანდი. ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ვხვდებოდი, რა უნდა ნდომოდა მამაჩემისგან, რომელიც მაშინ, დეპუტატობის გარდა, კაგებეს სათადარიგო გენერალიც იყო. ეს მიშა კი არც ისეთ ახლობლად მიმაჩნდა, რომ მამაჩემთან თავდებში ჩავდგომოდი.

- არ შემიძლია, მიშა, მაპატიე, რომ ჩამოვალ, მერე ვილაპარაკოთ, ბოდიში, რა...

- კარგი, დღეს რვა საათზე კიროვის პარკის წინ დაგელოდები. ცხრამდე თუ არ მოხვალ, წავალ და ველარასოდეს შეგხვდები. ეგებ გამონახო დრო და მოხვიდე, ძალიან გთხოვ. თუ მოხვალ - კარგი, თუ არადა - არ მეწყინება. სამუდამოდ მივდივარ და მინდა დაგემშვიდობო, დათოც მოვა...

დათოს ხსენებაზე ამოვისუნთქე. ის ჩვენი თანაჯგუფელი იყო, მასთან დღესაც ვმეგობრობ. მივხვდი, მამაჩემი არ სჭირდებოდა, უბრალოდ, გამოსამშვიდობებელ საღამოს აწყობდა და ამაზე უარი კიდევ უფრო გამიადვილდა.

- მისმინე, ახლა უჩემოდ იქნება და როგორც კი დავბრუნდები, თავად დაგირეკავ, აუცილებლად გნახავ, უნახავად არ გაგიშვებ, დაგირეკავ, შევთანხმდით? ახლა მაპატიე.

- კარგი, ადგილი და დრო იცი, ცხრამდე გელოდებით. მოინდომე. თუ ვერ მოხვალ, ბედნიერ მგზავრობას გისურვებ. მშვიდობით, - აშკარად დამემშვიდობა მიშა.

- გმადლობ, მიშა, ნახვამდის, ორ კვირაში აუცილებლად დაგირეკავ, - ვთქვი და ყურმილი დავკიდე.

ძალიან რომ მომენდომებინა, ალბათ მივიდოდი იმ გამოსამშვიდობებელ საღამოზე ცოტა ხნით მაინც, მაგრამ მართლა ბევრი საქმე მქონდა: ჩემოდანი ჩასალაგებელი, დილით ადრე აეროპორტში გასასვლელი... თან მომეჩვენა, რომ ეს მიშა მეარშიყებოდა და მასთან შეხვედრის ყველა სურვილი გამიქრა - ერთი დონდლო ბიჭი იყო, მე მგონი, ნაყვავილარი სახით, და ჩაფართხუნებული შარვლით... ფიზიკიდან სახინკლეში რომ მივდიოდით ხოლმე, იშვიათად მოგვყვებოდა. სულ მეგონა, ან ფული არ აქვს ან ენანება-მეთქი. ამიტომ, ზრდილობის გულისთვის ვეპატიჟებოდით ხოლმე. ისიც, ზრდილობის გულისთვის ხანდახან მოგვყვებოდა. არ ჭამდა, არ სვამდა, ბევრს არ ლაპარაკობდა. რაც ფიზიკაზე სიარული შევწყვიტე, იმის მერე თვალით აღარ მინახავს. იმ ხუთიდან მხოლოდ ტატასთან და დათოსთან გამიგრძელდა მეგობრობა. დანარჩენი სამის შესახებ აღარაფერი გამიგია, სანამ იმ „საბედისწერო“ დღეს მიშამ თავად არ დამირეკა და თავი არ გამახსენა. ერთხელ დამირეკა და ისიც პაემანზე მექაჩებოდა. მე პოლონეთში მივდიოდი და არ მეცალა, ის კარგ გზაზე იდგა - ისტორიულ სამშობლოში მიდიოდა ოჯახთან ერთად .... „გზა მშვიდობისა, მიშიკო“ - გავიფიქრე, საჰაერო კოცნაც გავუგზავნე და მშვიდად შევუდექი ჩემოდნის ჩალაგებას. პოლონეთიდან ისეთი შეყვარებული და გზააბნეული დავბრუნდი, მიშა კი არა, საკუთარი დედ-მამა აღარ მახსოვდა.

გავიდა 30 წელი. ჩემს თავზე, როგორც იტყვიან, წისქვილის ბორბალი არ დატრიალებულა, თორემ ქვეყნის ყველა კატაკლიზმი და კრიზისი - კი. ყველა ქარბორბალამ მათრია, ყველა ძაბრმა ჩამითრია, ვიპოვნე, დავკარგე, კიდევ დავკარგე, ისევ დავკარგე, იქ დავაგვიანე, აქ - ვერ მივასწარი ... და ამ წანწალ-წანწალში მთელი ქვეყნის ვალი დამედო: ბანკის, სახლის მეპატრონის, მერე შუამავლის 9 ათასი დოლარი... ირგვლივ ყველა მევალე გადაგდებული... და მე ისრაელში 16-საათიანი სამუშაო განრიგით, ექვს ჩემნაირ „მენაკასთან“ ერთად სამოთახიან კომუნალურ ბინაში, ერთი საწოლითა და ტუმბოთი. შუამავლისთვის გადახდილი 9 ათასი დოლარის წყალობით, მაქვს ე.წ. „ცისფერი საბუთი", რომელსაც სამ თვეში გასდის ვადა. ამიტომ, „არალეგალი“ რომ არ გავხდე, ან სამშობლოში უნდა დავბრუნდე, სრულიად უპერსპექტივო მომავლით, ან ერთი კარგი მაკლერი უნდა ვიშოვო, მაგარი ადვოკატით და ვინმე ისრაელელთან ხაერუ-

თი" გავჩარხო, რომ ამ ქვეყნიდან, სადაც 9 ათას დოლარად ძლივს შემოვეტენე, უკან გასაბუნძულებელი არ გავხდე.

აქ, როგორც ყველა განვითარებულ ქვეყანაში, ფიქტიური ქორწინების ბიზნესი რა ხანია ისე დაიხვეწა, რომ იურისტებმა თუ მოინდომეს, ქვეყნის პირველ პირთანაც გაგიჩალიჩებენ ხავერუთს" თვეში სულ რაღაც 1500 დოლარად სავალდებულო 3 წლით. მთელი ამ აფიორისთვის სულ სამი თვეღა დამრჩა, რადგან ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკვე ორმა იურისტმა ნახევარი ჰონორარის გადახდისთანავე გადამაგდო. ახლა მესამე, „სანდოესი" იურისტი, სახელად ზეზვა (ზეეე) მეჩალიჩება ჰონორარის ნახევარზე, მაგრამ ვერ მივართვი, მეყო, ცოცხალი თავით არ ვნებდები! სნაჩალა სტულია - პატომ დენგი-მეთქი" , მაქვს დაჩემებული. სანამ ნაღდ კანდიდატს არ დამანახებ, არც დამირეკოთქო.

ერთ დღესაც მირეკავს შუამავალი დოდო, ნაღდი კანდიდატი გიშოვე და ხვალისთვის მოემზადე, ტამ-ტამში" მივდივართ შეხვედრაზეო.

- იცოდე, ლამაზად ჩაიცვი, დაიხატე და დასვენებული მოდი, - მაფრთხილებს დოდო.

- ვააა, და მართლა გასათხოვრად ხომ არ მამზადებ, რატომ უნდა გავიპრანჭო ასე საგულდაგულოდ? - უნდობლად ვეკითხები.

- იმ კაცს ზეზვასთვის უთქვამს, შესახედად თუ არ ივარგა, ხელს არ მოვუწეროო.

- რაღაც არ მომწონს ეგ ამბავი. რა ხნისაა სასიძო?

- ასე 60 წლამდე იქნება, მაგრამ ასაკთან შედარებით კარგად გამოიყურება. და შენთვის სულერთი არაა?

- და მაგისთვის არაა სულერთი?

- გოგო, ახლა მუსიკას ეგ უკვეთავს, შენ გინდა იცეკვე მის დაკრულზე, გინდა იმღერე. მადლობა თქვი, თუ მოეწონე და ხელი მოგიწერა .

- ჰო, ვიცეკვებ, აბა, რას ვიზამ, მეტი რა გზა მაქვს, მაგრამ მაინც არ მომწონს პირობების წამოყენება... რამე არ გამიჩალიჩოს.

- მაინც რა უნდა გაგიჩალიჩოს? დიდი-დიდი, მართლა ცოლობა გთხოვოს, თუ გაგიმართლა, - სიცილი აუტყდა დოდოს.

- რა ცოლად, რის ცოლად, შენ ხომ არ გაგიჟდი?! მე მინდა ფიქტიური ქორწინება და სრული თავისუფლება ამის შემდეგ. კარგად გაარკვიე ეგ ამბავი, თორემ მე იქ მიმსვლელი არა ვარ. ვინმე სხვა მოძებნეთ, - არ დავნებდი.

- ყველაფერი გარკვეულია, თავმოყვარე კაცია და იძახის მისრადში მახინჯ ქალს ვერ შევიყვანო. ცოლობაზე გეხუმრე, ისე, ილოცე, რომ არ დაგიწუნოს, - გამაფრთხილა დოდომ.

- სად ვილოცო, ეკლესიაში თუ სინაგოგაში, ეგ არ დაუბარებია? - ჩემებურად ვუკბინე.

- სადაც გინდა, იქ ილოცე, ოღონდ ეგ საქმე მიმაყვანინე ბოლომდე, - ნება დამრთო დოდომ.

- კარგი, ისეთი გამოპრანჭული მივიდე, ნეთანიაჰუ გაშორდეს სარას, - დავპირდი დოდოს.

იმ დღე მარტო ერთი ცვლა ვიმუშავე, საღამოს დაპუდრულ-დაპომადებული და ღრმა დეკოლტ[illegible] ან პატარა შავ კაბაში" გამოწყობილი დოდოს და ზეზვას ზარს ველოდი. მანქანით გამომიარეს.

- ვაააააუ, შესძახა დოდომ ჩემს დანახვაზე, - შენ არ ხუმრობ, მიშა არ ვიცი, მაგრამ ბიბის ნაღდად არ ასცდება სარასთან სასამართლო, შესძახა დოდომ. ზეზვას სიცილი აუტყდა.

ტამ-ტამი" ტურისტებით და ქართველი ემიგრანტებით იყო სავსე. კუთხის მაგიდასთან ორი კაცი იჯდა. მივხვდი, ისინი იყვნენ, ვისაც უნდა შევხვედროდით. მაგიდასთან მივედით. ერთი კაცი ადგა და შემოგვეგება.

- მიშა ორენი, - წარმოთქვა სუფთა თბილისური ქართულით. მერე მისმა მეგობარმა ჩამომართვა ხელი. იოსი ბრიკმანი, გამეცნო რუსულად და ხუთივენი მაგიდას შემოვუსხედით. ორივე საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი გახლდათ. ორივე ჭაღარა, ინტელიგენტური გარეგნობის, არცერთი არ ჰგავდა ხავერუთის" ბიზნესის კლიენტს. ჩემი გამოთვლით, ამ ორიდან სასიძო, მიშა რომელსაც ერქვა, ის იყო და იმასაც ეტყობოდა, რომ შეხვედრის წინ კარგად მომზადებულა.

მე ჩუმად ვიჯექი, ის ოთხი ენას არ აჩერებდა, მიშაც ბევრს ლაქლაქებდა და დროდადრო თვალს ჩემკენ აპარებდა. სრულიად განყენებულ თემებზე ლაპარაკობდნენ. ველოდი, როდის გადავიდოდნენ საქმეზე. დოდოს ერთი-ორჯერ წავკარი ფეხი მაგიდის ქვეშ, მაგრამ არ შეიმჩნია. მერე ვთხოვე, ცოტა ხნით გამომყევი-მეთქი და ასე ძალით გავათრიე ტუალეტში.

- კი, მაგრამ, როდემდე უნდა ვისხდეთ ასე უაზროდ? ხო იცი, კაპიკს ვერ მიიღებთ, სანამ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანთ! - შევუღრინე დოდოს.

- რა გინდა, რესტორანში ხომ არ მოაწერ ხელს?! ეს კაცი კარგ ხასიათზეა, მგონი მოეწონე და პასუხს ან დღესვე გვეტყვის, ან ხვალ. დანარჩენი დეტალები დროის ამბავია, ხელი მოაწეროს კონტრაქტს და მერე ყველაფერი კარაქივით წავა!

- ჰოდა, რას იტყლარჭება ქუთაისელი პატარძალივით?! თქვას, რას აპირებს და მერე თუ უნდა, თავში ქვა უხლია. ტამ-ტამში" ქეიფის არც დრო მაქვს და არც სურვილი.

- ცოტაც მაცადე, რა, ყველაფერი კარგად იქნება! ზეზვამ მითხრა, ამ კაცზე პასუხს ვაგებო.

- რაღაც არ მჯერა, არ ჰგავს ხავერუთის" კანდიდატს. ამ საქმისთვის ძალიან სიმპათიური და მოვლილია.

- შენ გინდა, მაინცდამაინც ბომჟი იყოს? ზეზვა ამბობს, ნაღდიაო. მთავარია შენი საქმე გაკეთდეს და რას დარდობ, როგორ გამოიყურება?! - მოთმინებას კარგავდა დოდო.

- დავიღალე უკვე ამდენი ლაქლაქით, ესეც რომ არ გამოვიდეს, დაგხოცავთ ორივეს!

- გამოვა, გამოვა! გული მიგრძნობს, რომ ეს ყველაფერზე თანახმაა უკვე. მე არ შემეშლება, ჭიპი მაქვს ასეთ საქმეებზე მოჭრილი. ნახე, ყველაფერი ხუთიანზე თუ არ დამთავრდეს.

- მიდით, მიაწექით! თქვენი პროფესიონალიზმის იმედზე ვარ, ხომ იცი, - ნამუსზე ავაგდე დოდო.

მაგიდასთან დავბრუნდით. მიშა, მისი ძმაკაცი და ზეზვა ისევ ტკბილად ჭუკჭუკებდნენ.

- აი, ჩვენი ლამაზი ქალებიც დაგვიბრუნდნენ, - მხიარულად შეგვეგება მიშა ორენი. გამიკვირდა, მაგრამ არ შევიმჩნიე. - მოდით, ყავა „აბრაგში" დავლიოთ, იქ ნამდვილ თურქულ ყავას ხარშავენ, - შემოგვთავაზა.

- უი, არა, ხვალ ძალიან ადრე უნდა ავდგე, მე ვერ წამოვალ, უჩემოდ წადით. ეკა თქვენ გააცილეთ, მე ზეზვა წამიყვანს, - გადაჭრით გამოაცხადა დოდომ და ზეზვაც ძალაუნებურად დაეთანხმა.

- რას იტყვით, ეკა? ნამდვილ თურქულ ყავას მარტო იქ ხარშავენ, მონატრებული გექნებათ, - გაიმეორა მიშამ.

- დიახ, მართლა მენატრება, რატომაც არა, სიამოვნებით წამოვალ, - მოვიკატუნე თავი, თითქოს არასდროს ვყოფილიყავი იმ „აბრაგში".

„აბრაგში" მაგიდა უკვე გაწყობილი დაგვხვდა: ვაშლის შტრუდელი და სანგრია.

- ყავას ახლავე მიირთმევთ, თუ მოიცადოთ? - იკითხა მიმტანმა.

- ცოტა მერე, - უპასუხა მიშამ. იოსი ბრიკმანი ოფიციანტს გაჰყვა. მაგიდასთან მე და მიშა დავრჩით. უხერხულად კი ვგრძნობდი თავს, მაგრამ მყუდროდ, მომწონდა კიდეც ეს გაურკვევლობა. წუთით დამავიწყდა კიდეც, რომ ამ კაცთან ძალიან საქმიან გარიგებაზე ვიყავი მოსული.

- მომიყევი რამე შენზე, ეკა, - უცებ შენობით მომმართა მიშამ და ამან გამომაფხიზლა.

- ჩემზე? და რა გაინტერესებთ ჩემზე? - ხაზგასმით თქვენობით შევუბრუნე კითხვა ორენს.

- მე ყველაფერი მაინტერესებს, შენ რაც გინდა, ის მომიყევი, - ნება დამრთო მიშამ - მისრადში იმდენ კითხვას დამისვამენ შენზე...

- აბა, თანახმა ხართ? - აღარ ვაცალე წინადადების დასრულება.

- კი, თანახმა ვარ, ხვალ დავიბარებ ზეზვას და ხელშეკრულებას გავაფორმებ. დანარჩენს ცოტა მეტი დრო დაჭირდება, სამაგიეროდ, ქვეყნიდან აღარ გაგაძევებენ.

- სამი თვე კიდევ მაქვს.

- სამი თვე „ჩაეერუთს" არ ეყოფა, მაგრამ განაცხადს თუ შევიტანთ, ხელს არ გახლებენ.

- ჰო, ეგ ვიცი, მიხარია, თანახმა რომ ხართ.

- ვიცი, რაც გჭირდება.

- დიახ, ძალიან მჭირდება.

ყავა მოგვიტანეს. მიშამ ყავის სქელი „პენკა" მოსვა და სიამოვნებისგან თვალები აატრიალა.

- კარგი ყავაა, თბილისს მაგონებს, - თქვა მიშამ.

- რამდენი ხანია, თბილისში არ ყოფილხართ?

- ექვსი თვეა.

- რამდენი? ექვსი? სულ ახლახან ყოფილხართ...

- ჰო, ხშირად დავდივარ თბილისში, ბათუმში ოროთახიანი ბინა ვიყიდე, ხედით ზღვაზე.

- კარგია, იოსი ვინაა?

- იოსი? ჩემი მძღოლია.

- ისრაელში როდის ჩამოხვედით?

- სამოცდაათიანებში, მეორე ალიის დროს, მაშინ თსუ-ში ვსწავლობდი პირველ კურსზე.

- სამოცდაათიანებში მეც უნივერსიტეტში ვსწავლობდი, დასავლეთ ევროპაზე.

- ინგლისური იცი?

- ჰო, ინგლისური მაქვს დამთავრებული.

- ოჯახი? - მკითხა მან და პირველად ჩამხედა თვალებში.

- ქმარს გაშორებული ვარ, მყავს ზრდასრული შვილი, მოხუცი დედა, ნარკომანი ძმა, ბანკში ჩადებული ბინა და 50 ათასი დოლარი ვალი. ამისთვის მჭირდება ისრაელში ცხოვრების უფლება. ამ ფულს ვშოულობ და ბანკის პროცენტებს ვიხდი, ნაწილს ოჯახში ვაგზავნი...

- შვილი რას აკეთებს?

- უმუშევარია, საცოლე ჰყავს და იმასაც ვეხმარები, დედაჩემსაც რომ მიხედონ.

- და შენ თბილისში სამსახური ვერ იშოვე?

- სამსახური როგორ ვერ ვიშოვე, მაგრამ ამხელა ვალს ჩემი სამსახურის ხელფასით ასი წელიც ვერ გადავიხდი.

- მესმის, ამდენი ვალები როგორ დააგროვე?

- „ოთხმოცდაათიანები" გაგიგია ალბათ. მამაჩემი ოთხმოცდაათიანებში გარდაიცვალა და ისეთი ნებიერები დაგვტოვა მე და დედაჩემი, მთელ მის დანატოვარს სამ წელიწადში წირვა გამოვიყენეთ. მერე შემნახველი სალაროს ანგარიშზე რაც გვქონდა, ერთ დღეში მილიონ კუპონად იქცა და იმ ფულით სამი „ბუხანკა" პური მოგვივიდა. მერე გავყიდეთ ბინები, აგარაკები, ქურქები და ყველაფერი რომ ამოვწურეთ, ვალების აღება დავიწყეთ. მერე დედაჩემი სოფელში გადავიდა, დედულეთში, ერთ პატარა სახლში. ის არავინ იყიდა, არა, ცუდი სახლი არაა, მაგრამ მომგებიან ადგილას არაა და მე მოგვრჩა. ახლა იქ ცხოვრობს. სოფელმა ჯანზე მოიყვანა, ფიზიკურად მშვენივრადაა, თან აქედან ფულს ვუგზავნი და გააქვს თავი. ჩემს ბიჭზე მეუბნება, ყურადღებას არ მაკლებს, დამიფასდა ბებობაო. ხელს თუ მოვაწერთ, წელიწადში ერთხელ საქართველოში წასვლას შევძლებ. ოჯახს ასე უკეთ მივხედავ.

- მესმის, და შენ?

- რა მე?

- შენ ვინ მოგხედავს?

- მე? ... შენ! - სიცილი ამიტყდა - ჩემი ქმარი გახდები და მომხედავ. ასე არ არის? - ვეღარ ვიკავებდი სიცილს. იმასაც სიცილი აუტყდა.

- და რა გაცინებს, ასე არაა? - ნამდვილად არ ველოდი მიშასაგან ამ კითხვას.

- ასე მაშინ იქნებოდა, 30 წლის წინ ჭკუა რომ გეხმარა და კიროვის პარკში მოსულიყავი 8 საათზე. ახლა მოგიწერ ხელს და რამდენიც გინდა ალაგე სახლები და ოფისები ისრაელში, - ძალიან დაბალ ხმაზე, მაგრამ საოცრად გარკვევით ჩამიმარცვლა ჩემ პირდაპირ მჯდომმა უცხო კაცმა.

- რა? რა კიროვის პარკი, რა 8 საათი, რას ლაპარაკობთ!

- შენი სურათი რომ ვნახე, მაშინათვე გიცანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ არ გამოცვლილხარ, ცოტა უკეთესიც გამხდარხარ, მაშინ დიდი არაფერი გოგო არ იყავი, - განაგრძობს ეს ვიღაც მიშა და მისი ყოველი სიტყვა ტვინს მიხვრეტს -ახლაც ვერა მცნობ, ისე გაქვს გონება ათასი სისულელით გამოტენილი. მიშა წინწუაშვილი ვარ, ფიზიკაზე ერთად დავდიოდით ვაჟა ინწკირველთან, კიროვის პარკთან, თეთრ სახლში. ახლაც ვერ მიხსენებ?

ამ მონოლოგს დასრულებამდეც ცხადად გამახსენდა ის 30 წლის წინანდელი სატელეფონო საუბარი: როგორ მეხვეწებოდა, კიროვის პარკთან გამოდი, ძალიან სერიოზული საქმე მაქვს შენთანო და რა ხრიკს არ მივმართე, არასასურველი პაემნისგან თავი უმტკივნეულოდ რომ დამეძვრინა.

- მიშა წინწუაშვილი? მიშა ხარ? არ მჯერა, ვერასდროს გიცნობდი, ძალიან გამოცვლილხარ...

- ასე გამოვიცვალე?

- მიშა, მიშა, არ მჯერა, მართლა ძალიან სხვანაირი ხარ, - ვიმეორებდი და თან თვალწინ ის დონდლო, მსუქანი, მუწუკებიანი ბიჭი მედგა, სახინკლეში ხათრით რომ დაგვყვებოდა ხოლმე, - არა, ვერ ვიჯერებ, საიდან, ღმერთო! რა პატარაა ეს სამყარო...

- კი, ასეა, - უხაროდა მიშას.

- და ეს დოდო, ზეზვა, საიდან შენთან... რაში დაგჭირდა ასეთი გარიგება? არ მითხრა, მეც გამიჭირდაო, - ნიშნისმოგებით ჩავეკითხე მიშას.

- დოდოს ყველა ქართველი ებრაელი იცნობს, ნაგას დაჰყავს ყველასთან დამლაგებლები, ძიძები, მეტაბელეტები, მშენებლები, გათხოვილი და გასათხოვარი ქალები, ბოზები... შენ რა, პირველად გესმის? ზეზვა ამხანაგია, ერთად ვცხოვრობდით ჰოლოლაკში, მომიყვა შენი ამბავი და შემახვედრე-მეთქი, ვუთხარი.

- ოჯახი არ გყავს?

- რომ ჩამოვედი, მაშინათვე ცოლი შემთეს, მაგრამ სამი წლის შემდეგ გავშორდი. ბავშვი არ გაგვიჩნდა. მერე ბავშვიანი ქალი შევირთე, შვილი არც იმან გამიჩინა. მერე ის ბავშვიც გაიზარდა, სახლიდან წავიდა, ჩვენ მოგვბეზრდა ერთმანეთი და გავშორდით. იმის მერე ცოლი აღარ მომიყვანია. ახლა გადავწყვიტე ამ საქმეში ფული გავაკეთო და ფიქტიური ცოლი მოვიყვანო. მშვენიერი ბიზნესია, ძველი სიყვარულის ნიშნად, შენც დაგეხმარები და მეც ვიხეირებ. როგორ არის? - ნასინგ პერსონალ - ჯასტ ბიზნეს! - სიცილ-სიცილით ჩამირაკრაკა მიშამ.

- და ეს იოსი მართლა შენი მძღოლია?

- ეს იოსიც ბავშვობიდან მყავს მოკედლებული. მძღოლიცაა, შვილიც და სხეულის ნაწილიც. აღარც მახსოვს უჩემოდ თუ უცხოვრია ოდესმე. იოსიმ მასწავლა ეს საქმე. ერთი წლის წინ ხელი მოაწერა ერთ ბებერ ქართველ ქალთან. ზის არხეინად და ყოველ თვე 2000 დოლარი ერიცხება ბანკში. მე მახინჯი და ბებერი არ მეკადრება. ოფისში უშნო ქალთან ერთად ვერ შევალ, რეპუტაციას ვუფრთხილდები, - გამაღიზიანებლად ეცინება მიშას.

- და ჩემთან ერთად შეხვალ?

- შენთან ერთად, უშნოც რომ იყო, მაინც შევალ, ისე მისწორდება შენთან ხელის მოწერათან მიშა ძველ მეგობარს გაჭირვებაში არასდროს დატოვებს.

- აბა, მქონდეს შენი იმედი? თუ ასეა, ცოტა თანხასაც ხომ არ დაუკლებ? - დავიწყე მიშასთან ვაჭრობა.

- ვერა, დაიკო, 1 500 შენთვის, თორემ, ისე, ბევრად მეტი ღირს, თან პირველი ხელი დოდოს და ზეზვას მიაქვთ.

- ეგებ მაინც?...

- არა-მეთქი, დამიჯერე, კარგ ფასს გთავაზობ. ვიცი, რამდენსაც შოულობთ. ამაზე ეკონომიის გაკეთებას არ გირჩევ. გავშორდებით სამ წელიწადში და მორჩება კიდეც შენი ვალი. შენ შენსას მიიღებ, მე - ჩემსას. - დაალაგა ჩვენი გარიგება მიშამ.

- კარგი მიქნია, იმ დღეს კიროვის პარკთან რომ არ შეგხვდი, - ძალიან კმაყოფილმა გამოვუცხადე.

- არავინ იცის... ეგებ მაშინ ერთად რამე უკეთესი გამოგვსვლოდა, ვიდრე ახლა გამოგვივიდა, - მომიგო მიშამ.

- მოკლედ, მქონდეს შენი იმედი?

- ჩემი იმედი სულ უნდა გქონდეს. ჩვენი მეგობრობა აქ მაწერია, გულის ფიცარზე, - გაეცინა მიშას. - ხვალვე ზეზვას ხელით ხელმოწერილ ხელშეკრულებას გამოგიგზავნი. მშვიდად დაამთავრე ეს ვაშლის შტრუდელი და მითხარი როდის წაგიყვანო სახლში.

- ახლა, თუ შეიძლება, ხვალ დილის ცვლაში ვმუშაობ.

- კი, ბატონო, იოსკა მანქანაში გველოდება. წავედით.

მიშამ მაგიდაზე ფული დადო და ჩვენ წამოვედით. იოსკას მანქანაში ეძინა, მიშა ბუგრაშოვის და ბენიაჰუდას ქუჩის კუთხეში ჩამოვიდა. იოსიმ მე ბათიამში წამიყვანა ჩემს კომუნალურ, ერთსაწოლიან ბინაში.

გასაღები ჩუმად შევაცურე საკეტში, ორჯერ გადავატრიალე და სიბნელეში ფეხაკრეფით შევაბიჯე. მობილურის ფარნით გავიკაფე გზა ჩემი ოთახისაკენ. გოგოებს უკვე ეძინათ, დილის 5 საათზე უნდა ადგნენ, მეც, მაგრამ ხვალ მე სამუშაოს გვიან დავიწყებ, დავიმსახურე. მე ამ საღამოს, ქართულ-ებრაულ საუკუნის გარიგებას" მივაღწიე, რასაც პალესტინა და ისრაელი კიდევ მრავალი საუკუნის მანძილზე ან მიაღწევენ და ან - ვერა, რამდენი ტრამპიც არ უნდა წავიდეს და წამოვიდეს.

დოდომ შესვენებაზე, ერთ იაფფასიან კაფეში მართლა მომიტანა მიშას ხელმოწერილი კონტრაქტი. ნობელის პრემიასავით დააბრძანა მაგიდაზე და ზედ საკუთარი თავისადმი ოდაც დაურთო: რა მაგარია, ყველაფერი როგორ გამოსდის, ქვიდან რძეს ადენს, კოღოს აწყავებს, ხელის გულზე ოქროს ადნობს და ა.შ. მე პირში წყალჩაგუბებული ვისმენდი დოდოს თვითტკბობის სიმფონიას. აბა, იმას ხომ ვერ ვიტყოდი, ხავერად" 30 წლის წინ უარით გასტუმრებულ კაცს მივყვები და თან ამაში ყოველთვე 1500 დოლარი უნდა გადავიხადო-მეთქი. ასეა ეს, - ზეუ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ოთხი ლექსი ინგლისურენოვანი პოეზიიდან

*ინგლისურიდან თარგმნა ლელა სამნიაშვილმა*

## რობერტ ფროსტი

### თავისდამღწევი

დევნილს არა ჰგავს - თავს კი აღწევს, თავისდამღწევი.
ვერ დაინახავ, მოიბრიცოს უკან კისერი.
შიში ზურგსუკან კი არ მისდევს, გვერდით მიყვება
რომ მხარზე ხელი დაჰკრას, მისი გზა და მიზანი
ოდნავ შეირყეს, მაინც სწორი, როგორც ისარი.
პირი გზისკენ აქვს. და თვითონვე არის მდევარი.
მაძებარია, თავის გზაზე რომელიც ისევ
მაძებარს ეძებს, გადაკარგულს სადღაც შორეთში.
და სხვაც, ვინც ეძებს, ისევ ეძებს იმ მეორეში
მაძებარს. დევნის დევნაშია მთელი ცხოვრება.
მომავალია, ხელუკუღმა მის აწმყოს რაც წერს.
სწრაფვის ჯაჭვია უსასრულოდ გადაჭიმული.



## ადრიანა რიჩი

### მამიდა ჯენიფერის ვეფხვები

მამიდა ჯენიფერის ვეფხვები ჩარჩოს ნახტომით ავსებენ.
მწვანე სამყაროში უბრწყინავთ თვალები ტოპაზის არსებებს.
მათ შიში არ აქვთ ხეებთან ჩასაფრებული კაცების.
მინასაც არ ეხებიან მედიდურობის ასლები.
მამიდას მფრთხალი თითები ტანჯვით დართული მატყლიდან
სპილოს ძვლის ნემსში უყრიან ძაფს და ძაფივით განვრილდა
გულიც. ბიძიას ნიშნობის ბეჭედი მსხვილი კარატით
სიმძიმედ აწევს ზემოდან მამიდა ჯენის არათითს.
როცა მამიდა მოკვდება, გულხელს დაიკრეფს წარსული,
ჩამოცვივდება ხელები, თმენისგან ბეჭედდასმული.
ტილოდან გააგრძელებენ მისი ნაქარგი ვეფხვები
თვალებში თვალების გაყრას უშიშრად, პირგამეხებით.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დილან ტომასი

## ნუ წახვალ მშვიდად იმ გრძელ ღამემშვიდობისაში



ნუ წახვალ მშვიდად იმ გრძელ ღამემშვიდობისაში.
ასაკსაც წვა და ღელვა მართებს დაღამებამდე.
ხმა აიმაღლე მომაკვდავი სხივის წინაშე.

თუმც ყველა ბრძენი ხედავს, ბოლოს ბნელი იმარჯვებს,
რადგან ბასრ სიტყვას ძალუძს მხოლოდ წამით ელავდეს,
მშვიდად არ წავლენ იმ გრძელ ღამემშვიდობისაში.

კეთილ ხალხს, ბოლოს გულდაფლეთილს იმის ხილვაში,
როგორ ფარავენ სათნოებას სარეველები,
ბრძოლა სწყურიათ მომაკვდავი სხივის წინაშეც.

მმაგნი, ფრენით რომ მზესაც შეწვდნენ და მის ბრწყინვაში
იმღერეს, თუმცა გლოვად ექცათ ეს გაგელვება,
მშვიდად ვერ წავლენ იმ გრძელ ღამემშვიდობისაში.

პირმოქუფრულნი, სიკვდილის წინ ცრემლის სიმლაშით
სტირიან ჩავლილ, დაუნახავ ბედნიერებას,
ვერ ნებდებიან მომაკვდავი სხივის წინაშე.

შენც, მამაჩემო, გთხოვ, ამ მაღალ მწუხარებაში,
დამწყევლე, მლოცე, გადმოღვარე, რაც გემეტება.
ნუ წახვალ მშვიდად იმ გრძელ ღამემშვიდობისაში,
ხმა აიმაღლე მომაკვდავი სხივის წინაშე.

# სილვია პლათი

## შემაწუხებელი მუზები

დედა, დედა, რომელ უზნეო დეიდას,
ნეტავ რომელ დაბრეცილ, გონჯ ბიძაშვილს
დაუდევრობით არ გაუგზავნე მოსაწვევი
ჩემს ნათლობაზე, რომ მან სანაცვლოდ
აი, ასეთი ქალბატონები გამომიგზავნა -
თავებს საკემსი კვერცხებივით რომ აქნევენ
და აქნევენ და აქნევენ ჩემს პაწია ფეხებთან, თავთან,
სარწეველას მარცხენა მხარეს დამდგარან აქვე.

დედა, ნეტავ ვინ შეუკვეთა ძველი ამბები
მიქსი ბლექმორტის, გმირული დათვის,
დედა, ვისი ალქაჯებიც სულმუდამ, მუდამ
ჯანჯაფილის თაფლაკვერებში ცხვებოდნენ, ნეტავ
თვალი თუ მაინც მოგიკრავს მათთვის, თუ ბუტბუტებდი
სიტყვებს, რომ სამი ქალბატონი ამრიდებოდა
ჩემი საწოლის გარშემო რომ ყოველღამ თავებს
აქნევენ უთმოს, ამოკემსილს, თვალების და პირის გარეშე.

ქარიშხალისას, როცა მამის კაბინეტის
თორმეტივე ფანჯარა შიგნით იზნიქებოდა,
როგორც ბუშტები გასკდომის წინ, გვკვებავდი ტკბილი
ორცხობილებით, ხორბლის წვენით მე და ძამიკოს
და შენს ხმას ჩვენსას აყოლებდი მხიარულ ქოროდ:
 თორი გაბრაზდა: ბუხ ბუხ ბუხ
თორის ქუხილზე აბა ვინ წუხს!"
მაგრამ ამ სამმა ქალმა მინები შემოამსხვრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



როცა სკოლაში გოგონები ბზრიალებდნენ ფეხისწვერებზე,
აციმციმებდნენ თვალებს, ფარნებს,
უმღეროდნენ ციცინათელებს, მე არ შემეძლო
ფეხის განძრევა და ჩემს მბზინავ ქვედაბოლოში,
ასე, ტერფებდამძიმებული, განზე ვიდექი,
ჩემი დალვრემილთავებიანი ნათლიებისგან
დაცემულ ჩრდილში. და შენ ყვიროდი და ყვიროდი:
მაგრამ ჩრდილი იწელებოდა და ფარავდა ყველა სინათლეს.

დედა, შენ მე ფორტეპიანოს გაკვეთილები ამაღებინე,
ჩემს ორნამენტებს, წკრიალა ხმას ასხამდი ხოტბას,
თუმცა ყველა მასწავლებელი იმავეს გრძნობდა -
რაღაც უცნაურ გახევებას, მთელი სპექტრის მიუხედავად
და თუმცა მრავალ გაკვეთილზე ყური ვაწვალე,
ბგერისთვის ისევ ყრუ ვიყავი, უსწავლებელი.
და მე მასწავლეს, მე მასწავლეს, სხვაგან მასწავლეს
მუზებმა, შენ რომ არასოდეს გიქირავია შვილისთვის, დედა.

ერთ დღესაც ასე გავიღვიძე, შენ დაგინახე,
დედა, თავსზემოთ ტივტივებდი ცისფერ ჰაერში,
ხასხასა ბუშტი მილიონი ყვავილით ენთო,
ლურჯი ჩიტები შემორტყმოდნენ, რომლებიც არსად,
არასდროს, არსად, არასოდეს არ არსებულან.
ციცქნა პლანეტა მიცურავდა საპნის ბუშტივით,
ვიდრე იდექი ზედ და მიხმობდი.
მე კი აქ დავრჩი, მარადიულ თანამგზავრებთან.

ახლა დღისითაც და ღამითაც, თავთან, მხართან, ფეხებთან დგანან
მარად ფხიზელნი, ძველებურად, ქვის მანტიებში,
ცარიელი აქვთ სახეები როგორც იმ დღეს, როცა მე გავჩნდი,
დაგრძელებიათ ჩრდილები და ამ ჩრდილში გაჩრილ
მზეს ვხედავ, რომ ვერც ამოდის და ვერც დაბლა ჩადის.
აი, ეს არის ის სამეფო, რომლისთვისაც ამქვეყნად მშობე,
დედა. ასეა. მაგრამ ჩემმა შუბლმა, თვალებმა
იციან, როგორ არ უნდა გასცენ სამუდამო თანამგზავრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიუზენ ზონტაგი

# მომნუსხველი ფაშიზმი[1]

## ლენი რიფენშტალის უკანასკნელი ნუბიელები“

*ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ*



I

პირველი ექსპონატი. ეს შესანიშნავი ფოტოალბომი უკანასკნელ ხანებში გამოცემულ ამგვარ წიგნთა შორის საუკეთესოა. ალბომში იხილავთ ლენი რიფენშტალის მიერ გადაღებულ 126 ფოტოსურათს. სამხრეთ სუდანის მიუვალ მთიანეთში ცხოვრობს დაახლოებით რვა ათასი ღვთაებრივად ლამაზი, ფიზიკურად სრულყოფილი ნუბიელი. მათ უზადო ფორმის, ნაწილობრივ გაპარსული თავები და მეტყველი სახეები აქვთ. ნაჭრევებით დასერილ დაკუნთულ სხეულებზე მორუხო ფერის ნაცარს იფრქვევენ. ფოტოგრაფს ისინი სხვადასხვა პოზაში და სხვადასხვა საქმიანობის დროს გადაუღია. უკანასკნელი ნუბიელების" გარეკანზე ნახავთ თვით ფოტოგრაფის არანაკლებ მომხიბვლელ პორტრეტებს, რომლებზეც ასახულია რიფენშტალის ცხოვრების გზა (გულჩათხრობილი ნორჩი გოგონა; საფარიზე მყოფი მომღიმარი ხანდაზმული ქალბატონი) და დროის ულმობელი ზეგავლენა მის გარეგნობაზე.

პირველი ფოტოსურათი გადაღებულია 1927 წელს, როდესაც 25 წლის რიფენშტალი უკვე კინოვარსკვლავი იყო, ბოლო ფოტოსურათები კი დათარიღებულია 1969 (აქ რიფენშტალი გულში იხუტებს შიშველ აფრიკელ ბავშვს) და 1972 წლებით (რიფენშტალს ფოტოაპარატი უჭირავს). თითოეულ ფოტოსურათზე აღბეჭდილია უჭკნობი, იდეალური სილამაზე, რომელიც ასაკთან ერთად სულ უფრო დახვეწილი ხდება. აქვეა ბიოგრაფიული ნარკვევი და ანონიმური შესავალი წერილი, რომლის სათაურია: როგორ შეისწავლა ლენი რიფენშტალმა კორდოფანელ ნუბიელ-მესაკინების ცხოვრება“. ეს ტექსტი თავიდან ბოლომდე, სიცრუეა.

შესავალი, რომელიც დეტალურად აღწერს რიფენშტალის მოგზაურობას სუდანში (როგორც ამბობენ, ამ მოგზაურობისკენ კინორეჟისორს უბიძგა 1950-იანი წლების შუა ხანებში ჰემინგუეის აფრიკის მწვანე ბორცვების" წაკითხვამ), მას ლაკონიურად ახასიათებს, როგორც ნახევრად მითურ ფიგურას - ომამდელი პერიოდის რეჟისორს. ის თითქმის დავიწყებულია თავის სამშობლოში, რომელმაც ამჯობინა, მეხსიერებიდან ამოეშალა საკუთარი ისტორიის მთელი ეპოქა“. თვით რიფენშტალის გარდა, ვინ შეძლებდა (ვიმედოვნებთ, რომ ასეა) გამოეგონა არაკი ბუნდოვნად მინიშნებული სამშობლოს“ შესახებ, რომელმაც, დაუსახელებელი მიზეზის გამო, ამჯობინა, ლაჩრულად დაევიწყებინა საკუთარი ისტორიის მთელი ეპოქა“? ვფიქრობთ, ზოგიერთ მკითხველს ეჩოთირება ეს ფარული ალუზია გერმანიასა და მესამე რაიხზე (ამასთან, ეს შესავალი უფრო გაბედულია, ვიდრე - უკანასკნელი ნუ-

1 რეცენზია წიგნებზე: The Last of the Nuba by Leni Riefenstahl, SS Regalia by Jack Pia.

ბიელებისადმი" მიძღვნილი" Harper & Row-ს მოკლე სარეკლამო ტექსტი, სადაც რიფენშტალს, უბრალოდ, ცნობილ რეჟისორად" მოიხსენიებენ). შესავლისგან განსხვავებით, წიგნში შესული ბიოგრაფიული ნარკვევი გაცილებით უფრო დეტალურად გვაცნობს რიფენშტალის კარიერის ფაქტებს და იმეორებს იმ სიცრუეს, რომელსაც თვით რეჟისორი ავრცელებდა თავისი თავის შესახებ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში.

ლენი რიფენშტალმა, როგორც კინორეჟისორმა, 1930-იან წლებში - გერმანიისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე და რთულ პერიოდში, მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი. ის დაიბადა 1902 წელს. ბავშვობიდანვე უყვარდა და ეხერხებოდა ცეკვა. ამის წყალობით რიფენშტალმა მონაწილეობა მიიღო მუნჯ ფილმებში, მალე კი დაიწყო ხმოვანი ფილმების, მაგალითად, მთის" (1929) გადაღება, რომლებშიც თვითონვე ასრულებდა როლებს. რომანტიკით გაჟღენთილმა მისმა ფილმებმა ფართო აღიარება მოიპოვა. რიფენშტალის შემოქმედების ერთ-ერთი თაყვანისმცემელი იყო ადოლფ ჰიტლერი, რომელმაც (მას შემდეგ, რაც 1933 წელს გერმანიის რაიხსკანცლერი გახდა) რიფენშტალს დაავალა, გადაეღო დოკუმენტური ფილმი 1934 წელს ნიურნბერგში გამართულ პარტიის ყრილობის შესახებ".

საკმაოდ ორიგინალური აზროვნებაა საჭირო იმისთვის, რათა ნაციზმის ეპოქას გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე და რთული პერიოდი" უწოდო და ამტკიცო, რომ რიფენშტალმა (რომლის მიერ ამ ათწლეულის განმავლობაში გადაღებული ფილმების უმრავლესობა სამართლიანად მიიჩნევა ნაციზმის პროპაგანდად), როგორც კინორეჟისორმა, მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი 1930-იან წლებში", რის გამოც ის, როგორც ჩანს, ისეთ თანამედროვეებს უნდა ამოვუყენოთ გვერდში, როგორებიც იყვნენ რენუარი, ლუბიჩი და ფლაერტი (ნუთუ ამ წიგნის გამომცემლებმა თვით რიფენშტალს დააწერინეს ეს ტექსტი? არა მგონია, თუმცა ფრაზას - her first devotion was to dancing - არ დაწერდა ადამიანი, რომლისთვისაც ინგლისური მშობლიური ენაა).

ეჭვგარეშეა, რომ ან თავად ფაქტებია დაუზუსტებელი, ან ისინი საგანგებოდაა შეთითხნილი. რიფენშტალს არათუ არ გადაუღია ხმოვანი ფილმი სახელწოდებით მთა" და არც მონაწილეობა არ მიუღია მასში - ასეთი ფილმი, უბრალოდ, არ არსებობს. საერთოდაც, რიფენშტალის კარიერა, სულაც არ გახლდათ ისეთი, როგორადაც აქაა წარმოდგენილი ჯერ მუნჯ ფილმებში მისი მონაწილეობის, ხოლო ხმოვან კინოზე გადასვლის შემდეგ, საკუთარი ფილმების გადაღების თაობაზე. ცხრა ფილმში, რომლებშიც რიფენშტალი გადაიღეს, მან მთავარი როლები შეასრულა; მათგან შვიდის რეჟისორი ის არ ყოფილა.

შვიდი ფილმიდან: წმინდა მთა" ( Der heilige Berg", 1926), დიდი ნახტომი" ( Der grosse Sprung", 1927), ჰაბსბურგთა სამეფო სახლის ბედი" ( Das Schicksal derer von Habsburg", 1929), პიც პალიუს თეთრი ჯოჯოხეთი" ( Die weisse Holle vom Piz Palu", 1929) - ეს ოთხი მუნჯი ფილმია, რომელთაც მოჰყვა ქარიშხლები მონბლანის თავზე" ( Sturme uber dem Monblanc", 1930), თეთრი მთვრალობა" ( Der weisse Rausch", 1931) და S.O.S. აისბერგი"( S.O.S. Eisberg", 1932-1933). ყველა ამ ფილმის (ერთის გარდა) რეჟისორი იყო არნოლდ ფანკი, რომელმაც ჯერ კიდევ 1919 წლიდან გაითქვა სახელი ალპური ეპიკური ფილმებით. მას შემდეგ, რაც 1932 წელს რიფენშტალმა მიატოვა ფანკი, იმ მიზეზით, რომ რეჟისორი გამხდარიყო, ფანკმა მხოლოდ ორი ფილმი გადაიღო და ორივე მცდელობა უიღბლო აღმოჩნდა (ფანკს ავსტრიაში არ გადაუღია მხოლოდ ფილმი ჰაბსბურგთა სამეფო სახლი". ეს გახლდათ როიალისტური სულისკვეთებით გამსჭვალული მელოდრამა, რომელშიც რიფენშტალმა კრონპრინც რუდოლფის სატრფოს, მარია ფონ ვეჩერას როლი შეასრულა. მგონი, ამ ფილმის არცერთი ეგზემპლარი არ შემოგვრჩა).

ფანკის ფილმების ვულგარულ-ვაგნერიანული დეკორაციები, რომლებშიც რიფენშტალი თამაშობდა, უბრალოდ, ამაღლებული რომანტიზმით" როდი იყო ნაკარნახევი. ეს ფილმები, რომელთა ჩანაფიქრი სრულიად აპოლიტიკური იყო, დღევანდელი გადასახედიდან, ზიგფრიდ კრაკაუერის შენიშვნით, სხვა არაფერია, თუ არა პროტონაცისტური მგრძნობელობის ანთოლოგია. მწვერვალების დაპყრობა ფანკის ფილმებში ამაღლებული მისტიკური (ერთდროულად მშვენიერი და საშიშარი) მიზნისკენ უსაზღვრო სწრაფვის ვიზუალური მეტაფორაა. ამ მიზანმა მოგვიანებით კონკრეტული ფორმა - ფიურერის კულტის ფორმა - მიიღო. რიფენშტალს ყოველ ფილმში ერთი და იგივე ამპლუა ჰქონდა - ის განასახიერებდა ბუნების ლაღ ასულს, რომელიც ისწრაფვოდა მწვერვალისკენ, მის დაპყრობას ლამობდა, მაშინ, როდესაც დაბლობიდან მოსული ლოთები" ამას ვერ ბედავდნენ. ამ სახეთა რიგში პირველია ახალგაზრდა მოცეკვავე ქალი დიოტიმა, რომელსაც ჯანსაღი ალპინიზმის სიამეთ აზიარებს მისი სატრფო, გაწაფული მთამსვლელი (მუნჯი ფილმი წმინდა მთა", 1926). შემდგომ ეს ხატი განვითარდა და გამდიდრდა. თავის პირველ ხმოვან ფილმში ქარიშხლები მონბლანის თავზე", რიფენშტალი უკვე განასახიერებს მთლიანად მთების ტყვეობაში მოქცეულ ქალიშვილს. ის გადალახავს სასიკვდილო საფრთხეს და გადაარჩენს თავის შეყვარებულს - მეტეოროლოგს, რომლის სადგურს ქარიშხალი დანგრევით ემუქრება. თვით რიფენშტალის მიერ გადაღებული ექვსი ფილმიდან პირველი - ცისფერი შუქი" (1932) - მთის ფილმების" ჟანრისაა. მთავარი პერსონაჟი წააგავს ფანკის ფილმების გმირ ქალიშვილებს, რომლებმაც ფართო აღიარება მოიპოვა და ... რომელთა თაყვანისმცემელი იყო ადოლფ ჰიტლერი". ეს როლი თვით რეჟისორმა შეასრულა. მიზნისკენ სწრაფვის, სიწმინდისა და სიკვდილის თემები, რომლებიც ფანკთან ზედაპირულად იჩენს თავს, რიფენშტალთან ალეგორიულადაა გააზრებული. მთა მშვენიერია და სახიფათო. მას შეუძლია გაუღვივოს ადამიანს თვითდამკვიდრებისკენ სწრაფვა და, ამასთან ერთად - სურვილი, შეუერთდეს მამაცი ადამიანების საძმოს. მთის მწვერვალზე ასვლა სიკვდილისკენ ლტოლვასაც განასახიერებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ ღამეს, სავსემთვარეობისას, კრისტალის მთის მწვერვალიდან გადმოიფრქვევა ცისფერი შუქი, რომელიც აცდუნებს სოფლის ახალგაზრდა მცხოვრებთ, ავიდნენ ამ მწვერვალზე. მშობლები ცდილობენ ჩაკეტონ შვილები თავიანთ სახლებში, მაგრამ ახალგაზრდები მთვარეულებივით მიისწრაფვიან მთისკენ და იღუპებიან).

რიფენშტალი ამ ფილმში ასრულებს მომხიბვლელი ქალიშვილის, იუნტას როლს. სწორედ ამ დაფლეთილ ტანსაცმელში გამოწყობილ გოგონას ძალუძს მიაღწიოს ცისფერი შუქის წყარომდე, კრისტალის მთის მწვერვალამდე. ცისფერი შუქით მოხუსხული სოფლელი ახალგაზრდები ვერ ახერხებენ მთაზე ასვლას და იღუპებიან. ქალიშვილის დაღუპვის მიზეზს კი წარმოადგენს არა მიუწვდომელი მიზანი, რომლის სიმბოლოც მთა გახლავთ, არამედ გარემომცველთა შური და სატრფოს რაციონალიზმი - სწორედ ეს უბიძგებს ქალიშვილს უფსკრულისკენ (იუნტამ იცის, რომ ცისფერ შუქს ასხივებენ ძვირფასი თვლები; ქალიშვილი სულიერების განსახიერებაა, ტკბება ძვირფასი თვლების სილამაზით და არ აინტერესებს მათი მატერიალური ღირებულება, მაგრამ იუნტას შეუყვარდება სოფელში დასასვენებლად ჩამოსული მხატვარი და გულუბრყვილოდ გაანდობს მას თავის საიდუმლოს. მხატვარი ამ საიდუმლოს გაუმხელს სოფლელებს, რომლებიც ადიან მთაზე, წამოიღებენ ძვირფას თვლებს და ყიდიან მათ; როდესაც მომდევნო სავსემთვარეობისას იუნტა მთაზე ასვლას დააპირებს, ცისფერი შუქი მას გზას აღარ გაუნათებს. იუნტა უფსკრულში გადაიჩეხება და კვდება).

დოკუმენტური ფილმი1934 წელს ნიურნბერგში გამართულ პარტიის ყრილობის შესახებ", რიფენშტალს ცისფერი შუქის" შემდეგ არ გადაუღია.

მან გადაიღო ოთხი (და არა ორი, როგორც ამას თავისმართლების მიზნით ამტკიცებდა 1950-იანი წლების დასაწყისში და შემდგომაც) დოკუმენტური ფილმი. პირველი მათგანი იყო რწმენის გამარჯვება" ( Der Sieg des Glaubens", 1933). ის ეძღვნებოდა ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის პირველ ყრილობას, რომელიც ჩატარდა ჰიტლერის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ. რწმენის გამარჯვებას" მოჰყვა ორი ფილმი, რომლებმაც რიფენშტალს მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი: 1. ნაცისტური პარტიის ახალი ყრილობის შესახებ - ნების ტრიუმფი"( Triumph des Willens", 1935), რომელიც, სხვათა შორის, მოხსენიებული არაა ამ ფოტოალბომში და არმიისთვის გადაღებული 18-წუთიანი მოკლემეტრაჟიანი ფილმი - თავისუფლების დღე: ჩვენი არმია" ( Tag der Freiheit: Unsere Wehrmacht", 1935), რომელიც ხოტბას ასხამს ჯარისკაცთა ერთგულებას ფიურერისადმი (გასაკვირი არაა, რომ ალბომში არც ეს ფილმი არ მოიხსენიება, რომლის ეგზემპლარიც 1971 წელს იპოვეს; 1950-60-იანი წლების განმავლობაში, როდესაც რიფენშტალიც და სხვებიც ფიქრობდნენ, რომ თავისუფლების დღე" დაიკარგა, რეჟისორმა ის თავისი ფილმოგრაფიიდან ამოშალა და ინტერვიუერებთან მასზე ლაპარაკს თავს არიდებდა).

წერილში შემდგომ ვკითხულობთ:

იმან, რომ რიფენშტალმა უგულებელყო გებელსის მოთხოვნა და არ დაუქვემდებარა კინოსურა-



თის ვიზუალური პლანი მკაცრ პროპაგანდისტულ მიზნებს, მათი კონფრონტაცია გამოიწვია. კონფრონტაცია გამწვავდა მას შემდეგ, რაც რიფენშტალმა გადაიღო ფილმი 1936 წლის ოლიმპიური თამაშების შესახებ, სახელწოდებით ოლიმპიადა". გებელსმა მისი აკრძალვა სცადა, მაგრამ ჰიტლერის პირადი ჩარევის წყალობით, ფილმი გადარჩა. ორ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტურ ფილმთან ერთად, რომლებმაც რიფენშტალს სახელი მოუხვეჭეს 1930-იან წლებში, მან 1941 წლამდე გადაიღო კინოსურათები, რომლებსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა ნაცისტური მოძრაობის აღმავლობასთან. ნაციზმის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ნაცნობობის გამო, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ რიფენშტალი დააპატიმრეს. რიფენშტალი ორჯერ წარდგა სასამართლოს წინაშე და ის ორივეჯერ გაამართლეს, მაგრამ ამან გარკვეული ჩრდილი მიაყენა მის რეპუტაციას. თუ უწინ რიფენშტალის სახელი გერმანელების მთელ თაობას პირზე ეკერა, ახლა კინორეჟისორი თითქმის ყველამ დაივიწყა".

გარდა იმ შენიშვნისა, რომ რიფენშტალის სახელი ოდესღაც განთქმული იყო ნაცისტურ გერმანიაში, ყველაფერი დანარჩენი სიცრუეა. რიფენშტალის წარმოჩენის მცდელობა დამოუკიდებელ ხელოვანად, რომელიც ყურადღებას არ აქცევდა არც ობივატელურ გემოვნებას და არც სახელმწიფო ცენზურის რესტრიქციებს ( გებელსის მოთხოვნა"), აბსურდულად უნდა ჩათვალოს ყველამ, ვისაც ნანახი აქვს ნების ტრიუმფი". ამ ფილმის ჩანაფიქრი ადასტურებს, რომ რეჟისორი, გარკვეულწილად მაინც, პროპაგანდისტულ მიზნებს ისახავდა.

როგორც უნდა უგულებელეყო ეს მიზნები მოგვიანებით რიფენშტალს, ფაქტები მოწმობს, რომ ნების ტრიუმფზე" მუშაობისას ის სარგებლობდა უსაზღვრო შესაძლებლობებით და ოფიციალური ინსტიტუტების მხარდაჭერით (არავითარი კონფრონტაცია რეჟისორსა და გერმანიის პროპაგანდის მინისტრს შორის არ ყოფილა. სინამდვილეში ნების ტრიუმფი" - მესამე ფილმი ნაცისტების შესახებ - გადაიღეს რეჟისორისა და მთავრობის სრული თანხმობის პირობებში. რიფენშტალს ჰქონდა შეუზღუდავი ბიუჯეტი, უამრავი კინოკამერა (ოცდაათიდან ორმოცდაათამდე) და ჰყავდა 120-კაციანი პერსონალი. 1935 წელს გამოქვეყნებულ წიგნში ნების ტრიუმფის" შესახებ ის გვამცნობს[2], რომ კინოფილმის გადაღება იმთავითვე გათვალისწინებული იყო ყრილობის ღონისძიებათა ნუსხაში.

ოლიმპიადა" - ფილმი, რომლის ხანგრძლივობაც სამსაათ-ნახევარია და ორი ნაწილისგან შედგება - სახალხო დღესასწაული" ( Fest der Volker") და სილამაზის დღესასწაული"( Fest der Schonheit") - ნების ტრიუმფის" მსგავსად, ოფიციალური პროპაგანდის პროდუქტი გახლდათ. 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, რიფენშტალი ყველა ინტერვიუში ამტკიცებდა, რომ ეს ფილმი, რომელიც გებელსის პროტესტის მიუხედავად გამოუშვა რიფენშტალის კერძო სტუდიამ, გადაღებულ იქნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივით. სინამდვილეში ოლიმპიადა" მთლიანად დაფინანსდა ნაცისტური მთავრობის მიერ (ტიტრებში მითითებული იყო არარსებული კომპანიის სახელწოდება, რადგან მთავრობის მოხსენიება პროდიუსერის სახით მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს, ხოლო გებელსის უწყება რეჟისორს ეხმარებოდა მუშაობის ყველა ეტაპზე[3]). თითქოსდა დამაჯერებელი ლეგენდაც იმის შესახებ, რომ გებელსმა აკრძალა აფრიკელი მორბენლის, ჯესი ოუენსის მიერ გერმანელ მეტოქეზე გამარჯვების ეპიზოდი - გამონაგონია.

რიფენშტალი ორი წლის განმავლობაში მუშაობდა ფილმის მონტაჟზე, რათა პრემიერა დამთხვეოდა 1938 წლის 29 აპრილს, როდესაც ბერლინში საზეიმოდ უნდა აღენიშნათ ჰიტლერის დაბადებიდან 49 წლისთავი. ერთი წლის შემდეგ ოლიმპიადა" იქცა გერმანული პროგრამის მთავარ პუნქტად ვენეციის კინოფესტივალზე, სადაც ეს ფილმი ოქროს მედლით დააჯილდოვეს.

სიცრუეა ისიც, რომ რიფენშტალმა 1941 წლამდე გადაიღო კინოსურათები, რომლებსაც არავითარ კავშირი არ ჰქონდა ნაცისტური მოძრაობის აღმავლობასთან". 1939 წელს ჰოლივუდიდან (სადაც ის უოლტ დისნეიმ მიიწვია) დაბრუნებული, სამხედრო კორესპონდენტის ფორმაში გამოწყობილი რიფენშტალი თავის გადამღებ ჯგუფთან ერთად გაჰყვა პოლონეთში შეჭრილ ვერმახტის ნაწილებს. თუმცა ამ მარშის ვერავითარი დამადასტურებელი მასალები ომის შემდეგ ვერ აღმოაჩინეს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ოლიმპიადის" შემდეგ რიფენშტალმა გადაიღო კიდევ ერთი ფილმი - დაბლობი" ( Tiefland"), რომელზე მუშაობაც დაიწყო 1941 წელს, შესვენების შემდეგ გააგრძელა 1944 წელს, კინოსტუდია ბარანდოვში, (გერმანელთა მიერ ოკუპირებულ პრაღაში) და დაამთავრა 1954 წელს. ცისფერი შუქის" მსგავსად, დაბლობი" ერთმანეთს უპირისპირებს დაბლობის, ბარის მცხოვრებთ და მთიელთა სიწმინდეს. რიფენშტალი ამტკიცებდა, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში იღებდა ფილმებს და მხოლოდ ორი დოკუმენტური კინოსურათი გადაიღო, მაგრამ სინამდვილეში მის მიერ გადაღებული ექვსი ფილმიდან ოთხი - დოკუმენტურია, და გადაღებულია ნაცისტური მთავრობის დაკვეთითა და ხარჯებით.

არ იქნება სიმართლე, თუ რიფენშტალის პროფესიულ და პირად დამოკიდებულებას ჰიტლერისა და გებელსისადმი მხოლოდ ნაცნობობას" ვუწოდებთ. რიფენშტალი ჰიტლერის ახლო მეგობარი და

2 Leni Riefenstahl, Hinter den Kulissen des Reichsparteitag Films (Munich, 1935).

3 იხ. Hans Barkhausen, Footnote to the History of Riefenstahl"s Olympia," Film Quarterly, Fall, 1974 - იშვიათი მაგალითი გავრცელებული თვალსაზრისებისადმი შეგნებული დაპირისპირებისა რიფენშტალის საქებარი სტატიების საერთო ფონზე, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე ქვეყნდებოდა ამერიკისა და დასავლეთ ევროპის კინოჟურნალებში.

თანამოსაგრე იყო ჯერ კიდევ 1932 წლამდე; ის მეგობრობდა გებელსთანაც. არ არსებობს არავითარი დამადასტურებელი საბუთი იმისა, თითქოს (როგორც რიფენშტალი ომის შემდეგ ამტკიცებდა) გებელსს კინორეჟისორი სძულდა და, საერთოდ, საკმარისი უფლებამოსილება ჰქონდა, რათა რიფენშტალის საქმიანობაში ჩარეულიყო. ფიურერთან სიახლოვე რიფენშტალს საშუალებას აძლევდა, ყოფილიყო ერთადერთი გერმანელი კინორეჟისორი, რომელიც არ ექვემდებარებოდა გებელსისეული პროპაგანდის სამინისტროს კინოს განყოფილებას (Reichsfilmkammer). მცდარია ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ რიფენშტალი ორჯერ დააპატიმრეს და ორივეჯერ გაამართლეს. მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენლებმა ის მოკლე ხნით მხოლოდ ერთხელ, 1945 წელს, დააპატიმრეს და ჩამოართვეს ორი სახლი ბერლინსა და მიუნხენში. თუმცა, 1948 წელს ის კვლავ დაკითხეს და სასამართლოში გამოძახებები გრძელდებოდა 1952 წლამდე, როდესაც მოხდა რიფენშტალის საბოლოო დენაციფიკაცია“ განაჩენით: არ იყო ჩართული არავითარ პოლიტიკურ საქმიანობაში რეჟიმის მხარდასაჭერად“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საკითხი მოსალოდნელი დაპატიმრების შესახებ არ უკავშირდებოდა მისი ნაცნობების წრეს ნაცისტურ მთავრობაში. ის განიხილებოდა მხოლოდ და მხოლოდ რიფენშტალის, როგორც მესამე რაიხის ნამყვარი პროპაგანდისტის, საქმიანობა.

უკანასკნელი ნუბიელების“ გარეყდაზე დაუფარავადაა გადმოცემული თავის მართლების ძირითადი ხაზი, რომელიც რიფენშტალმა 1950-იან წლებში შეთხზა. თავის მართლების მცდელობებს ვხვდებით აგრეთვე ინტერვიუში, რომელიც კინორეჟისორმა 1965 წლის სექტემბერში მისცა პრესტიჟულ ფრანგულ ჟურნალს - Cahiers du Cinema. ამ ინტერვიუში რიფენშტალი უარყოფდა თავისი ფილმების პროპაგანდისტულ ხასიათს და ამტკიცებდა, რომ ეს იყო მარტოოდენ კინო, მარტოოდენ ხელოვნება. არცერთი სცენა არაა დადგმულიო, ამბობდა რიფენშტალი ნების ტრიუმფის“ შესახებ: ყველაფერი ობიექტურადაა ასახული. არც ფილმების კომენტარებია ტენდენციური იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ კომენტარები საერთოდ არ ახლავს. ესაა ისტორია - წმინდა წყლის ისტორია, და სხვა არაფერი“.

თუმცა ნების ტრიუმფში“ მართლაც არ გვესმის მთხრობლის ხმა, მაგრამ ის იწყება წერილობითი ტექსტით, რომელიც ყრილობას გერმანიის ისტორიის კულმინაციურ მომენტად ასახელებს. ფილმის ტენდენციურობა მარტოოდენ შესავალი ტექსტით როდი ცნაურდება. ნების ტრიუმფში“ ნაჩვენებია რეალობის რადიკალური ტრანსფორმაცია: რეალობა იქცა თეატრად. 1935 წელს გამოქვეყნებულ წიგნში რიფენშტალი სიმართლეს გვიმხელს: ნიურნბერგის ყრილობა დაგეგმილი იყო არა მხოლოდ როგორც შთამბეჭდავი სახალხო თავყრილობა, არამედ როგორც შთამბეჭდავი პროპაგანდისტული ფილმიც... აღლუმები, სამხედრო მარშები, მსვლელობები, დარბაზებისა და სტადიონის არქიტექტურა განკუთვნილი იყო ნების ტრიუმფის ილუსტრირებისთვის. ყრილობა, იმის ნაცვლად, რომ თვითმიზნური აქცია ყოფილიყო, ფილმის სიუჟეტად იქცა. ნებისმიერი, ვინც იცავს რიფენშტალის ფილმებს და ამბობს, რომ ისინი მარტოოდენ დოკუმენტური ფილმებია (თუ დავუშვებთ, რომ დოკუმენტური ფილმები განსხვავდება პროპაგანდისტული ფილმებისგან) თვალთმაქცობს. ნების ტრიუმფი“ არ წარმოადგენს, უბრალოდ, რეალობის ასახვას; რეალობა“ იმგვარად იქნა კონსტრუირებული, რომ ესთეტიკურ ობიექტად ქცეულიყო.

ლიბერალურ საზოგადოებებში აკრძალული ფიგურების რეაბილიტაცია არ ხდება ისეთი ბიუროკრატიული სრულყოფილებით, როგორც - საბჭოთა ენციკლოპედიაში, რომლის ყოველი ახალი გამოცემა წარმოგვიდგენს რამდენიმე აქამდე აკრძალულ ფიგურას, ხოლო ამავე ან უფრო მეტი რაოდენობის ფიგურებს არარსებობის უფსკრულში გადაისვრის. ჩვენში რეაბილიტაცია უფრო რბილად, უფრო ფარულად მიმდინარეობს. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ რიფენშტალის ნაცისტური წარსული უეცრად გახდა მისაღები. უბრალოდ, კულტურის პარადიგმის შეცვლასთან ერთად გარკვეულ მოვლენებს მნიშვნელობას აღარ ანიჭებენ. ლენი რიფენშტალის რეპუტაციას დიდხანს ათავისუფლებდნენ ნაცისტური საბურველისგან. ამ პროცესმა კულმინაციას მიაღწია გასულ წელს, როდესაც რიფენშტალი საპატიო სტუმრად მიიწვიეს კინომანების მიერ ჩატარებულ კინოფესტივალზე, რომელიც ზაფხულობით ტარდება კოლორადოში, შემდეგ მას ორნაწილიანი ინტერვიუ ჩამოართვა CBS-მა, ახლა კი გამოქვეყნდა წიგნი უკანასკნელი ნუბიელები“.

ერთგვარ მიზეზს იმისა, რომ რიფენშტალი კულტურის ძეგლის სტატუსით აღიჭურვა, უდავოდ, წარმოადგენს ის, რომ რიფენშტალი ქალია. კინორეჟისორ ქალთა შორის, ჟერმენ დილაკით და დოროთი არზნერით დაწყებული და ვერა ხიტილოვათი, ანიეს ვარდათი, მაი ზეტერლინგით და შირლი კლარკით დასრულებული, რიფენშტალი გამოირჩევა იმით, რომ ის ერთადერთი ქალი-რეჟისორია, რომლის ფილმები შეიძლება შევიტანოთ ყველა დროის საუკეთესო ოცი ფილმის ჩამონათვალში. 1973 წელს, ნიუ-იორკის კინოფესტივალის პლაკატზე, რომელიც ცნობილმა მხატვარმა დახატა, გამოსახული იყო ქერათმიანი თოჯინა, რომლის მარჯვენა ძუძუს ირგვლივ ეწერა: ანიეს ლენი შირლი. ფემინისტები აღშფოთდებოდნენ იმ ქალის დამსახურების უგულებელყოფის შემთხვევაში, რომლის ფილმები, საყოველთაო აღიარებით, საუკეთესოა.

მაგრამ რიფენშტალისადმი დამოკიდებულების შეცვლის უფრო არსებითი მიზეზია გემოვნების ცვლილება, რის გამოც ჩვენს დროში შეუძლებელია ლამაზი“ ხელოვნების უგულებელყოფა. რიფენშტალის დამცველები, რომელთა თვალსაზრისი ამჟამად ყველაზე გავლენიანია კინოს ავანგარდში, აცხადებენ, რომ მას ყოველთვის იზიდავდა სილამაზე, მშვენიერება. ამასვე ამტკიცებდა რიფენშტალი რამდენიმე წლის განმავლობაში. Cahiers du Cinema-ს ინტერვიუერმა შენიშნა, რომ ნების ტრიუმფსა“ და ოლიმპიადას“ აერთიანებს ის, რომ ორივე მათგანი ფორმას, სილამაზეს ანიჭებს გარკვე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ულ რეალობას, რომელიც თავად ემყარება ფორმის გარკვეულ იდეას". შეიმჩნევა თუ არა რალაც სპეციფიკურად გერმანული ამ ზრუნვაში ფორმის შესახებ?" იკითხა მან. რიფენშტალმა უპასუხა:

შემიძლია, უბრალოდ, ვთქვა, რომ სპონტანურად მიზიდავს ყოველივე, რაც ლამაზია. დიახ, სილამაზე! დიახ, ჰარმონია! და, ალბათ, ზრუნვა კომპოზიციასა თუ ფორმაზე მართლაც გერმანელებისთვისაა დამახასიათებელი. თუმცა ზუსტად ვერ გეტყვით. ეს არაცნობიერიდან მომდინარეობს... რა დავამატო? ის, რაც წმინდა რეალისტური ხასიათისაა, რაც საშუალოსტატისტიკური და ბანალურია, არ მაინტერესებს... მხიბლავს მხოლოდ ის, რაც მშვენიერია, ძლიერია, ჯანსაღია, ცხოველმოქმედია. ჰარმონიას ვეძიებ. როდესაც ჰარმონიას ვქმნი, ბედნიერი ვარ. მგონი, თქვენს კითხვას პასუხი გავეცი".

ამიტომაა, რომ "უკანასკნელი ნუბიელები" საბოლოო, აუცილებელი საფეხურია რიფენშტალის რეაბილიტაციის პროცესში. ესაა წარსულის უკანასკნელი გადაწერა; ან, რიფენშტალის მომხრეების აზრით, საბოლოო დადასტურება იმისა, რომ რიფენშტალი ყოველთვის სილამაზის თაყვანისმცემელი იყო და არა - ამაზრზენი პროპაგანდისტი[4]. ეს თავს იჩენს საუცხოოდ გამოცემულ წიგნში, სრულყოფილი, კეთილშობილი ტომის ფოტოსურათებში. და აისახება "ჩემი იდეალური გერმანელი ქალის" (როგორც ჰიტლერი უწოდებდა რიფენშტალს) მომღიმარ სახეზე, რომელიც იმარჯვებს ისტორიაზე.

საყოველთაო აღიარებით, "უკანასკნელი ნუბიელები" ლენი რიფენშტალის მიერ რომ არ ყოფილიყო ხელმოწერილი, ვერც კი მივხვდებოდით, რომ ეს ფოტოსურათები გადაღებულია ნაცისტური რეჟიმის ყველაზე საინტერესო, ნიჭიერი და აქტიური ხელოვანის მიერ. იმ ადამიანთა უმრავლესობა, ვინც, უბრალოდ, გადაათვალიერებს "უკანასკნელ ნუბიელებს", ალბათ, მიიჩნევს, რომ ამ ფოტოსურათებში ასახულია სინანული განადგურების პირას მდგარ პირველყოფილ ადამიანთა მდგომარეობის გამო, ისევე, როგორც - ლევი-სტროსის "სევდიან ტროპიკებში" (ბოროროს ტომის ინდიელთა მდგომარეობასთან დაკავშირებით). მაგრამ თუ ფოტოსურათებს ყურადღებით დავათვალიერებთ და გავითვალისწინებთ რიფენშტალის მიერ დაწერილ ვრცელ ტექსტს, აშკარა გახდება, რომ ეს ფოტოალბომი აგრძელებს რიფენშტალის ნაცისტური პერიოდის ქმნილებათა ტენდენციებს.

რიფენშტალის მიერ სწორედ ამ კონკრეტული ტომის შერჩევა მის ძალზე სპეციფიკურ მსოფლხედვას ადასტურებს. ნუბიელებს ის წარმოგვიდგენს როგორც იდუმალ ტომს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძალზე განვითარებული ესთეტიკური გრძნობა (ყოველი ნუბიელის მცირერიცხოვან ნივთებს შორის, აუცილებლად იპოვით ლირას). ნუბიელი მამაკაცები, რიფენშტალის შენიშვნით, "ათლეტური აღნაგობისა არიან, რაც იშვიათია სხვა აფრიკულ ტომებში"; უდაბნოში თავის გადასარჩენად,

4 აი, როგორ მიესალმება ჯონ მეკასი ("Village Voice", October 31, 1974) "უკანასკნელი ნუბიელების" გამოქვეყნებას: "[ლენი რიფენშტალი] კვლავ ხოტბას ასხამს - თუ ეძიებს? - ადამიანის სხეულის კლასიკურ სილამაზეს, რაც მან თავის ფილმებში დაიწყო. რიფენშტალს იზიდავს იდეალი, მონუმენტურობა". იმავე გაზეთში 1974 წლის 7 ნოემბერს მეკასი წერს: "ესაა ჩემი საბოლოო დასკვნა რიფენშტალის ფილმების შესახებ: თუ იდეალისტი ხართ, მის ფილმებში იდეალიზმს იპოვით; თუ კლასიცისტი ხართ, იქ იპოვით ოდას კლასიციზმისადმი; ხოლო თუ ნაცისტი ხართ, ნაციზმს იპოვით".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ მძიმე სამუშაოების შესრულება უწევთ, (ნუბიელები მესაქონლეობას და ნადირობას მისდევენ), მაგრამ რიფენშტალი ამტკიცებს, რომ ნუბიელთა ძირითადი საქმიანობა ცერემონიალური ხასიათისაა. უკანასკნელი ნუბიელები" პრიმიტივისტულ იდეალს გვიხატავს: ხალხს, რომელსაც ცივილიზაცია არ შეჰხებია და რომელიც ჰარმონიულ დამოკიდებულებაშია თავის გარემოსთან.

რიფენშტალის მიერ გადაღებული ოთხივე ნაცისტური ფილმი - პარტიის ყრილობების, ვერმახტის ან სპორტსმენების შესახებ - ხოტბას ასხამენ სხეულისა და, მასთან ერთად, საზოგადოების ერთობის აღორძინებას, რაც ხორციელდება ძლევამოსილი ლიდერისადმი თაყვანისცემის მეშვეობით. ისინი უშუალოდ ენათესავებიან ფანკის ფილმებს, რომლებშიც რიფენშტალი თამაშობდა, და თვით რიფენშტალის ცისფერ შუქს". მთის ფილმებში" ასახულია სწრაფვა სიმაღლეთა დაპყრობისკენ, ასევე - უბრალო ადამიანების სტიქიური, განსაცდელებით აღსავსე ცხოვრება; ნაცისტური ფილმები - ესაა ეპოპეა ახალი საზოგადოების შესახებ, რომლისთვისაც ყოველდღიურ რეალობაზე გამარჯვება მიიღწევა ექსტაზური თვითკონტროლისა და მორჩილების მეშვეობით. უკანასკნელი ნუბიელები" - ელეგია წარმავალი მშვენიერებისა და პირველყოფილი ადამიანების მისტიკური უნარების შესახებ - შეიძლება განვიხილოთ, როგორც მესამე ნაწილი რიფენშტალისეული ტრიპტიქისა ფაშიზმის შესახებ.

პირველ ნაწილს შეადგენს მთის ფილმები", რომლებშიც ადამიანები მიისწრაფვიან მწვერვალებისკენ, რათა ყინვაში გამოსცადონ თავიანთი თავი. სიცოცხლისუნარიანობა აქ ფიზიკურ განსაცდელთანაა გაიგივებული. შუა ნაწილი არის ნაცისტური მთავრობისთვის გადაღებული ფილმები: ნების ტრიუმფში" ხალხის მასების შორ პერსპექტივას ენაცვლება მსხვილი პლანები, რომლებიც გამოხატავენ ერთადერთ განცდას - სრულ მორჩილებას; უნიფორმებში გამოწყობილი ადამიანების ჯგუფები ისე მოძრაობენ, თითქოს თავიანთი ექსტაზური ერთგულების გამოსახატავად ქორეოგრაფიულ ხერხებს ეძებენო. ოლიმპიადაში", რომელიც, ვიზუალური თვალსაზრისით, ყველაზე უფრო მრავალფეროვანია რიფენშტალის ფილმებს შორის, დაძაბული, ნახევრად შიშველი ფიგურები ისწრაფვიან გამარჯვების ექსტაზური განცდისკენ, ესალმებიან ტრიბუნებზე მსხდარ თანამემამულეებს, და ყოველივე ეს ხდება კეთილი სუპერმაყურებლის, ჰიტლერის თვალწინ, რომელიც თითქოს აკურთხებს სპორტსმენებს (ოლიმპიადა, რომლისთვისაც შეიძლებოდა გვეწოდებინა ნების ტრიუმფი", ხაზს უსვამს, რომ არ არსებობს ადვილი გამარჯვებები). მესამე ნაწილია უკანასკნელი ნუბიელები" - პირველყოფილი ადამიანები, რომლებიც ელოდებიან თავიანთი ამაყი ტომის საბოლოო განსაცდელს - გარდაუვალ განადგურებას, მხიარულობენ ცხელ სუფთა უდაბნოში.

ეს არის ღმერთების დაისი (Gotterdammerung). ნუბიელთა ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენებს წარმოადგენს ჭიდაობა და დაკრძალვა: მამაკაცთა ლამაზი სხეულების ცოცხალი კონტაქტი და სიკვდილი. რიფენშტალის აზრით, ნუბიელები ესთეტთა ტომია. ისევე, როგორც მასაის ტომის მამაკაცები და ახალი გვინეის მკვიდრი პაპუასები, ნუბიელები იფერადებენ სხეულებს ყველა მნიშვნელოვანი სოციალური და რელიგიური მოვლენის აღსანიშნავად და იფრქვევენ თეთრ-მორუხო ფერფლს, რომელიც სიკვდილის სიმბოლოა. რიფენშტალი აცხადებს, რომ სწორედ დროულად გადაიღო თავისი ფოტოსურათები, რადგან ნუბიელთა იდილიური სამყარო მალე შერყვნეს ფულით, მუშაობით, ტანსაცმლით, და, შესაძლოა, ომითაც, რომელსაც რიფენშტალი არასოდეს ახსენებს, რადგან მას აინტერესებს მხოლოდ მითი და არა ისტორია. სამოქალაქო ომმა, რომელიც ათი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სუდანის ამ ნაწილში, თან მოიტანა ახალი ტექნიკა და უამრავი ნამუსრევი.

თუმცა ნუბიელები შავკანიანები არიან, მაგრამ მათი რიფენშტალისეული აღწერა შეესაბამება ნაცისტური იდეოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვან თემებს: კონტრასტს წმინდასა და არაწმინდას, ფიზიკურსა და გონებრივს, კეთილგანწყობასა და კრიტიკას შორის. ნაცისტურ გერმანიაში ძირითადი ბრალდება ებრაელთა წინააღმდეგ იყო ის, რომ ისინი ურბანული, ინტელექტუალური, გამანადგურებელი, გამრყვნელი, კრიტიკული სულისკვეთების" მატარებლები არიან (1933 წელს წიგნების დაწვა დაიწყო გებელსის მოწოდებით: უკიდურესი ებრაული ინტელექტუალიზმის ეპოქა დამთავრდა. გერმანული რევოლუციის წარმატებამ კვლავ გზა გაუხსნა გერმანულ სულს". და როდესაც 1936 წლის ნოემბერში გებელსმა ოფიციალურად აკრძალა ხელოვნების კრიტიკა, ეს უკავშირდებოდა ტიპურად ებრაულ ნიშან-თვისებებს", რაც გულისხმობს უპირატესობის მინიჭებას გულთან შედარებით, თავისთვის, საზოგადოებასთან შედარებით - ინდივიდისთვის , გრძნობასთან შედარებით - გონებისთვის). ახლა თვით სიტყვა ცივილიზაციაც" სალანძღავ სიტყვად იქცა.

კეთილშობილი ველურის" შესახებ ძველი წარმოდგენის ფაშისტური ვერსიის დამახასიათებელია სიძულვილი რეფლექსიის, კრიტიკისა და პლურალიზმის მიმართ. რიფენშტალი თავის ჩანაწერებში პირველყოფილი ადამიანების შესახებ ხოტბას არ ასხამს პირველყოფილ ადამიანთა მითოლოგიის, სოციალური ორგანიზაციის ან აზროვნების სირთულესა და დახვეწილობას, მას განსაკუთრებით აღაფრთოვანებს ჭიდაობა, როდესაც აქოშინებული" დაკუნთული ნუბიელი მამაკაცები ერთმანეთს მიწაზე აგდებენ - და იბრძვიან არა მატერიალური ჯილდოების მისაღებად, არამედ ტომის წმინდათა წმინდა სიცოცხლისუნარიანობის გასაძლიერებლად".

ჭიდაობა და მასთან დაკავშირებული რიტუალები, რიფენშტალის აზრით, აერთიანებს ნუბიელთა ტომს:

ჭიდაობა ნუბიელისთვის იგივეა, რაც სიმდიდრე, ძალაუფლება და საზოგადოებრივი მდგომარეობა დასავლელი ადამიანისთვის. ჭიდაობა ბიძგს აძლევს გუნდის გულშემატკივრების, ანუ ფაქტობრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად, სოფლის მოსახლეობის მთელი არამოთამაშე" ნაწილის მგზნებარე, ემოციურ თანაგრძნობას...".

[ჭიდაობა] ნუბიელთა ტომის ძირითადი კონცეპტია, მესაკინისა და კორონგოს საერთო მსოფლმხედველობის გამოხატულება. ამდენად, მისი მნიშვნელობის გაზვიადება ძნელია; ესაა ხილულ სამყაროში უხილავი სამყაროს სულისა და სულისკვეთების გამოხატულება".

როდესაც რიფენშტალი ხოტბას ასხამს საზოგადოებას, სადაც ფიზიკური ძალისა და სიმამაცის გამოვლენა და ძლიერის გამარჯვება სუსტზე იქცა (ყოველ შემთხვევაში, რიფენშტალის აზრით) თემური კულტურის გამაერთიანებელ სიმბოლოდ; სადაც წარმატება ბრძოლაში არის ადამიანის სიცოცხლის ძირითადი მამოძრავებელი მიზანი" - კინორეჟისორი მხოლოდ სახეცვლილი ფორმით წარმოგვიდგენს თავისი ნაცისტური ფილმების იდეებს. მან ძალზე მარჯვედ შეარჩია ფოტოგრაფიული ობიექტის სახით საზოგადოება, სადაც ყველაზე უფრო მიმზიდველი და ბუნებრივი ცერემონია არის დაკრძალვა. Viva la muerte.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ დაუშვებელია უკანასკნელი ნუბიელების" დაკავშირება რიფენშტალის წარსულთან, მაგრამ გასათვალისწინებელია მისი შემოქმედების მემკვიდრეობითობა, ისევე, როგორც - მისი რეაბილიტაცია. სხვა ხელოვანები, რომლებიც მიემხრნენ ფაშიზმს, მაგალითად, სელინი, ბენი, მარინეტი და პაუნდი (თუ არაფერს ვიტყვით პაბსტზე, პირანდელოსა და ჰამსუნზე, რომლებიც ფაშისტებად იქცნენ), იმდენად საინტერესო არაა, როგორც რიფენშტალი. რადგან რიფენშტალი არის ხელოვნების ერთადერთი მნიშვნელოვანი მოღვაწე, რომელიც სრულად ასოცირდება ნაციზმის ეპოქასთან და რომლის ქმნილებები - არა მარტო მესამე რაიხის დროს, არამედ მესამე რაიხის დაცემიდან ოცდაათი წლის შემდეგაც - გამუდმებით ასახავდა ფაშისტური ესთეტიკის ზოგიერთ თემას.

ფაშისტურ ესთეტიკას ბევრი საერო ნიშან-თვისება ანათესავებს ნუბიელთა დღესასწაულებთან. ორივე შემთხვევაში გვხვდება კონტროლის, მორჩილებისა და ზღვარგადასულ ძალისხმევათა სიტუაციები; ბატონობისა და დამონების დამოკიდებულებები ორივე შემთხვევაში იღებს თეატრალური წარმოდგენის ფორმას: ადამიანთა გაერთიანება ჯგუფებად; ადამიანების დაყვანა საგნების დონეზე; ადამიანების/საგნების გაერთიანება ყოვლისშემძლე, ჰიპნოზური ლიდერის ან ძალის ირგვლივ. ფაშისტური დრამატურგია კონცენტრირდება ორგიასტულ შეთანხმებაზე მძლავრ ძალებსა და მათ მარიონეტებს შორის. მის ქორეოგრაფიაში ერთმანეთს ენაცვლება უწყვეტი მოძრაობა და სტატიკური ვაჟკაცური" პოზები. ფაშისტური ხელოვნება ხოტბას ასხამს კაპიტულაციას; ის მომხიბვლელობას ანიჭებს აბსურდს, აიდეალებს სიკვდილს.

ამგვარი ხელოვნება არ იზღუდება იმ ნაწარმოებებით, რომლებიც აშკარად ფაშისტურია ან შექმნილია ფაშისტური ხელისუფლების პირობებში (თუკი მხოლოდ კინოფილმების შესახებ ვილაპარაკებთ, უოლტ დისნეის ფანტაზია", ბასბი ბერკლის მთელი ბანდა აქაა" და კუბრიკის 2001" შეიძლება ასევე განვიხილოთ, როგორც ფაშისტური ხელოვნების გარკვეული ფორმალური სტრუქტურებისა და თემების ილუსტრაციები). და, რა თქმა უნდა, ფაშისტური ხელოვნების ნიშან-თვისებები შეიმჩნევა კომუნისტური ქვეყნების ოფიციალურ ხელოვნებაშიც. მონუმენტალიზმი და გმირის მასობრივი თაყვანისცემა ახასიათებს როგორც ფაშისტურ, ისე კომუნისტურ ხელოვნებას და ასახავს ყველა ტოტალიტარული რეჟიმის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ხელოვნება უნდა ასრულებდეს ლიდერებისა და დოქტრინების უკვდავყოფის" ფუნქციას. გარდა ამისა, ტოტალიტარული ქვეყნები მიდრეკილნი არიან მასობრივი სპორტული დემონსტრაციებისა და სხეულების დემონსტრირებისადმი - ეს გრანდიოზული ქორეოგრაფია გამოხატავს თვით ამ სახელმწიფოებრივ წყობის არსს.

მაგრამ ფაშისტურ ხელოვნებას აქვს სპეციფიკური ნიშან-თვისებებიც, რომლებიც მოწმობს, რომ ესაა ტოტალიტარული ხელოვნების განსაკუთრებული სახეობა. საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ოფიციალური ხელოვნება ემყარება უტოპიურ მორალს. ფაშისტური ხელოვნება ახდენს უტოპიური ესთეტიკის - ფიზიკური სრულყოფილების დემონსტრირებას. ნაციზმის დროს მხატვრები და მოქანდაკეები ხშირად ასახავდნენ შიშველ სხეულებს, მაგრამ ერიდებოდნენ ფიზიკური ხარვეზების დემონსტრირებას. მათ მიერ ასახული შიშველი სხეულები წააგავს მამაკაცთა ფიზიკური ჯანმრთელობისადმი მიძღვნილი ჟურნალების ილუსტრაციებს: ეს გამოსახულებები ერთდროულად ასექსუალურიცაა და (ტექნიკური თვალსაზრისით) პორნოგრაფიულიც - მათში ფანტაზიას სრული გასაქანი ეძლევა.

უნდა ითქვას, რომ რიფენშტალის წარმოდგენა სილამაზის შესახებ გაცილებით უფრო დახვეწილია. მან წარმოგვიდგინა სხეულის განსხვავებული ტიპები; სილამაზის საკითხებში რიფენშტალი რასისტი როდი გახლავთ. ოლიმპიადაში" ის გვიჩვენებს, რომ უფრო გულუბრყვილო ნაცისტური სტანდარტები არასრულყოფილია.

ოფიციალური კომუნისტური ხელოვნების ასექსუალური უვნებობისგან განსხვავებით, ნაცისტური ხელოვნება ერთდროულად ვნებიანიცაა და იდეალისტურიც. უტოპიური ესთეტიკა (იდენტობა, როგორც ბიოლოგიური მოცემულობა) გულისხმობს იდეალურ ეროტიზმს (სექსუალობა თავს იჩენს ლიდერთა მაგნეტიზმში და თაყვანისმცემელთა ბრბოს ექსტაზში). ფაშისტური იდეალი არის სექსუალური ენერგიის ტრანსფორმირება სულიერ" ძალად, საზოგადოების საკეთილდღეოდ. ეროტიკა ყოველთვის არსებობს, როგორც ცდუნება, მაგრამ ოპტიმალური რეაქციაა სექსუალური იმპულსის დათრგუნვა. რიფენშტალი განმარტავს, რატომაა, რომ ნუბიელთა ქორწინებები, დიდებული დაკრძალვებისგან განსხვავებით, არ გულისხმობს არავითარ ცერემონიებს ან ზეიმებს: ნუბიელი მამაკაცის ყველაზე მგზნებარე სურვილია არა ქალთან შეუღლება, არამედ - ჭიდაობაში გაწაფვა, რაც ემყარება თავშეკავების, მოთმენის პრინციპს. ნუბიელთა საცეკვაო ცერემონიები ვნებიანი სულაც არაა - ესაა უვნებობის დღესასწაულები", რომლებიც სასი-

ცოცხლო ძალების შეკავებას საჭიროებს".

კომუნისტური ქვეყნების ოფიციალურ ხელოვნებაში არსებობს ნების ერთგვარი დემოკრატია: მუშებსა და გლეხებს ზოგჯერ ჩააგონებენ, რომ ისინი დამოუკიდებლად მოქმედებენ. ფაშისტურ ხელოვნებაში კი ნება ყოველთვის ასახავს კონტაქტს ლიდერებსა და მიმდევრებს შორის. როგორც ფაშისტურ, ისე კომუნისტურ პოლიტიკაში ხდება ნების გათამაშება ლიდერისა და ქოროს დრამაში. ნაციონალ-სოციალიზმის რეჟიმში პოლიტიკისა და ხელოვნების ურთიერთმიმართება საინტერესოა არა იმით, რომ ხელოვნება ემორჩილება პოლიტიკურ მოთხოვნებს (რადგან ეს დამახასიათებელია ყველა დიქტატურისთვის), არამედ იმით, რომ პოლიტიკა ითვისებს ხელოვნების რიტორიკას - ხელოვნებას მის გვიანდელ რომანტიკულ ფაზაში. პოლიტიკა არის უზენაესი და ყოვლისმომცველი ხელოვნება, - თქვა გებელსმა 1933 წელს, - და ჩვენ, ვინც ვქმნით თანამედროვე გერმანულ პოლიტიკას, თავს მსახიობებად ვგრძნობთ... ხელოვნების და ხელოვანის ამოცანაა... ფორმირება, ძერწვა, ავადმყოფთა მკურნალობა და ჯანმრთელთათვის თავისუფლების მინიჭება".

ნაცისტური ხელოვნება ყოველთვის ითვლებოდა რეაქციულ ხელოვნებად, რომელიც უპირისპირდება ხელოვნების საუკუნეობრივ ტრადიციებს, მაგრამ მან სწორედ ამის გამო მოიპოვა პოპულარობა თანამედროვე პირობებში. ნაცისტური ფერწერისა და ქანდაკების (ომის შემდეგ პირველი) გამოფენის მემარცხენე ორგანიზატორები ფრანკფურტში შეშინდნენ, როდესაც აღმოაჩინეს, რომ, დამთვალიერებელთა დიდი რაოდენობა ამ გამოფენას ისე სერიოზულად არ ეკიდებოდა, როგორც თვით ეს ორგანიზატორები იმედოვნებდნენ. ბრეხტის დიდაქტიკური შეგონებებისა და საკონცენტრაციო ბანაკების ფოტოსურათების მიუხედავად, ნაცისტურ ხელოვნებას ეს ბრბო მაინც ხელოვნებად აღიქვამდა. ახლა ის მოძველებულია და წააგავს 1930-იანი წლების სხვა მხატვრულ სტილებს, განსაკუთრებით - არტ დეკოს". ასეთია არნო ბრეკერის - ჰიტლერის (და კოქტოს) საყვარელი მოქანდაკის - ბრინჯაოს კოლოსები და ჯოზეფ ტორაკის ქანდაკებები. ამ უკანასკნელის ცნობილ სკულპტურულ გამოსახულებათა შორის შეიძლება დავასახელოთ დაკუნთული ატლასი მანჰეტენზე, როკფელერის ცენტრის ფასადზე და - ფილადელფიის რკინიგზის სადგურზე - პირველ მსოფლიო ომში დაღუპულ ჯარისკაცთა რამდენადმე უხამსი ძეგლი.

გერმანელი გაუწაფავი მაყურებლებისთვის ნაცისტური ხელოვნების მიმზიდველობის მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო ის, რომ ეს ხელოვნება მარტივი, ხატოვანი, ემოციური, არაინტელექტუალური იყო და არ ახასიათებდა მოდერნისტული ხელოვნების სირთულე. ამჟამად, უფრო დახვეწილი საზოგადოებისთვის, ამ ხელოვნების მიმზიდველობა გამოწვეულია მძაფრი ინტერესით წარსულის ყველა სტილისადმი, მაგრამ ნაცისტური ხელოვნების აღორძინება, რომელიც მოჰყვა არტ ნუვოს", პრერაფაელიტური ფერწერისა და არტ დეკოს" აღორძინებას, მაინც გასაოცარია. ნაცისტური ფერწერა და სკულპტურა საოცრად უბადრუკია, მაგრამ დამთვალიერებლები მას განიხილავენ, როგორც პოპ-არტის ერთგვარ ფორმას.

რიფენშტალის შემოქმედებაში არ შეიმჩნევა დილეტანტიზმი და სიმარტივე, რომელიც სჩვევია ნაცისტურ ეპოქაში შექმნილ სხვა მხატვრულ ნაწარმოებებს, მაგრამ მათში იმავე ფასეულობების პროპაგანდირება ხდება. პოპ-ხელოვნების ადეპტებმა, შესაძლოა, ირონიულად აღნიშნონ, რომ რიფენშტალის ქმნილებების ფორმალური სილამაზეც და პოლიტიკური პათოსიც, ესთეტიკური თვალსაზრისით, ჭარბია. მაგრამ რიფენშტალის ამგვარი შეფასება არის რეაქცია - ცნობიერი ან არაცნობიერი - თვით კინორეჟისორის პიროვნებაზე, რომელიც მის შემოქმედებას ძალმოსილებას ანიჭებს.

ნების ტრიუმფი" და ოლიმპიადა" ჭეშმარიტად შესანიშნავი ფილმებია (შესაძლოა, ესაა ორი საუკეთესო დოკუმენტური ფილმი მსოფლიო კინოხელოვნებაში), მაგრამ ისინი არც ისე მნიშვნელოვანია კინოს, როგორც ხელოვნების დარგის ისტორიაში. ამჟამად არავინ განიცდის რიფენშტალის ფილმების ზეგავლენას. მრავალი რეჟისორისთვის (მათ შორის, ჩემთვისაც) ადრეული საბჭოთა კინოს წარმომადგენელი, რეჟისორი ძიგა ვერტოვი კინოს ენის განვითარების მძლავრი სტიმული და უშრეტი წყაროა. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერტოვს - დოკუმენტური კინოს ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურას - არასოდეს გადაუღია ისეთი ეფექტური ფილმები, როგორებიცაა ნების ტრიუმფი" და ოლიმპიადა" (რა თქმა უნდა, ვერტოვს არასოდეს ჰქონია ისეთი მატერიალური საშუალებები, როგორებიც ჰქონდა რიფენშტალს. საბჭოთა მთავრობა საკმაოდ მწირად აფინანსებდა პროპაგანდისტულ ფილმებს). ზუსტად ასევე, უკანასკნელი ნუბიელები" საუცხოო ფოტოალბომია, მაგრამ მისი მნიშვნელობა სხვა ფოტოგრაფებისთვის მინიმალურია, ის ზეგავლენას ვერ მოახდენს ადამიანების მსოფლაღქმაზე (ისე, როგორც ეს ხდება ედვარდ უესტონის, უოკერ ევანსის და დაიან ერბუსის შემთხვევაში).

ამასთან, მემარცხენე და მემარჯვენე პროპაგანდისტული ხელოვნების შეფასებისას ორმაგი სტანდარტი გამოიყენება. არავინ აღიარებს, რომ ვერტოვის გვიანდელი ფილმები და რიფენშტალის შემოქმედება ერთნაირად შთამბეჭდავია. ადამიანების უმრავლესობა დადებითად აფასებს ვერტოვის ფილმებს და არაგულწრფელია - რიფენშტალის შემოქმედების შეფასებისას. საქმე ისაა, რომ ვერტოვის შემოქმედება ეთიკური თვალსაზრისით, მისაღებია მისი მაყურებლებისთვის მთელ მსოფლიოში; რიფენშტალის ფილმები კი, ამ მაყურებელთა აზრით, უნდა განიწმინდოს მავნე პოლიტიკური იდეოლოგიისგან, რათა შეფასების საგნად იქცეს მათი ესთეტიკური" ღირსებები.

ვერტოვის ფილმების შეფასებისას ყოველთვის ითვალისწინებენ იმას, რომ ეს კინორეჟისორი იყო მომხიბვლელი პიროვნება, ჭკვიანი და ორიგინალური ხელოვანი-ფილოსოფოსი, რომელიც ბოლოს გაანადგურა დიქტატურამ. ვერტოვის (ისევე, როგორც ეიზენშტეინისა და პუდოვკინის) თანამედროვე აუდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორიის უდიდესი ნაწილი ფიქრობს, რომ პროპაგანდისტული კინო საბჭოთა კავშირის არსებობის პირველ წლებში წარმოაჩენდა კეთილშობილურ იდეალებს, თუმცა მათი უმეტესი ნაწილი, შეიძლება ითქვას, რომ გაუფასურდა. მაგრამ რიფენშტალის მეხოტბეებს ამგვარი შეფასების საშუალება არ აქვთ, რადგან არავინ, მისი რეაბილიტაციის მომხრენიც კი, არ მიიჩნევს რიფენშტალს მომხიბვლელ პიროვნებად; და რიფენშტალი ფილოსოფოსი სულაც არაა.

რაც უფრო მნიშვნელოვანია, ჩვეულებრივ, ითვლება, რომ ნაციონალ-სოციალიზმი მხარს უჭერს მხოლოდ სისასტიკეს და ტერორს, მაგრამ ეს ასე არაა. ნაციონალ-სოციალიზმი - ან, უფრო ფართოდ, ფაშიზმი - ასევე იცავს იდეალს, და ეს იდეალი ამჟამადაც ცოცხლობს, ოღონდ ტრანსფორმირებულია: ცხოვრების, როგორც ხელოვნების იდეალი, სილამაზის კულტი, სიმამაცის ფეტიშიზმი, გაუცხოების განზავება ერთობის ექსტაზში; ინტელექტის უგულებელყოფა; მამაკაცთა ლიდერობა.

ეს იდეალები ჯერ კიდევ ხიბლავს მრავალ ადამიანს და მართებული არ იქნება იმის თქმა, რომ ისინი შთაგონებულია გენიით, რომელიც აისახა ნების ტრიუმფსა" და ოლიმპიადაში". რიფენშტალის ფილმები იმიტომ ინარჩუნებს ქმედითობას, რომ მათში ხორცშესხმულ რომანტიკულ იდეალს ახლაც იზიარებს მრავალი ადამიანი, რაც გამოიხატება საზოგადოების კულტურული პროტესტისა და ახალი ფორმების პროპაგანდის ისეთ მრავალფეროვან სახეობებში, როგორებიცაა: ახალგაზრდული/როკკულტურა, პირველადი თერაპია, ლეინგის ანტიფსიქიატრია, გურუებისა და ოკულტიზმის რწმენა. საზოგადოების ეგზალტაცია ხელს სულაც არ უშლის აბსოლუტური ლიდერის ძიებას, უფრო პირიქით, მან შეიძლება გარდაუვალად გამოიწვიოს კიდეც ეს პროცესი (გასაკვირი არაა, რომ მრავალი ახალგაზრდა, რომლებიც ამჟამად თაყვანს სცემენ გურუებს და ემორჩილებიან ყველაზე უფრო გროტესკულ ავტოკრატიულ დისციპლინას, არიან 1960-იანი წლების ყოფილი ანტიავტორიტარისტები და ანტიელიტისტები). და რიფენშტალის სიმპათია ნუბიელთა ტომისადმი, რომელსაც არ მართავს ერთი უზენაესი ბელადი ან შამანი, არ ნიშნავს, რომ მისთვის გაუფასურებულია მომხიბვლელი ლიდერის რწმენა - თუნდაც ეს უკანასკნელი არაპოლიტიკოსი იყოს. ნიშანდობლივია, რომ ნუბიელთა ტომის შესწავლის შემდეგ რიფენშტალი გაიტაცა მიკ ჯაგერის ფოტოგრაფირებამ.

რიფენშტალის - სილამაზის ამ დაუცხრომელი ქურუმის ( როგორც რეჟისორის, ისე ფოტოგრაფის ამპლუაში) - დენაციფიკაცია და გამართლება არ მოასწავებს, რომ ჩვენს გარემოცვაში შეიმჩნევა ფაშისტური ტენდენციები. უბრალოდ, რიფენშტალის ქმნილებების ძალა მდგომარეობს მისი პოლიტიკური და ესთეტიკური იდეების განგრძობითობაში. საინტერესოა, რომ ეს ოდესღაც უფრო ნათლად ჩანდა, ვიდრე ამჟამად.

## II

მეორე ექსპონატი. ეს იაფფასიანი რბილყდიანი წიგნი შეიძლება შეიძინოთ აეროპორტის კიოსკებში და მოზრდილთა" წიგნის მაღაზიებში. ის მიმზიდველია ესთეტებისთვის, რადგან გემოვნებით გაფორმებული, ისევე, როგორც - უკანასკნელი ნუბიელები". ორივე წიგნს ერთგვაროვანი ჩანაფიქრი ანათესავებს. მაგრამ რიფენშტალის ინტერესი ისტორიის განსხვავებული სტადიებისადმი უკანასკნელ ნუბიელებში" ნაკლებად საგრძნობია, ვიდრე SS Regalia"-ში. ამასთან, თუმცა SS Regalia ბრიტანეთში გამოცემული სოლიდური კრებულია (სამგვერდიანი ისტორიული წინათქმითა და დეტალური შენიშვნებით), აშკარაა, რომ მისი ხიბლი მეცნიერული კი არა, სექსუალური ხასიათისაა. უკანასკნელი ნუბიელები" ნამდვილად არ არის პორნოგრაფიული გამოცემა; რასაც SS Regalia-ზე ვერ ვიტყვით. ამას მოწმობს წიგნის გარეკანი: ნაცისტურ დროშაზე გამოსახული ვეება შავი სვასტიკა დიაგონალურად არის გადახაზული ყვითელი ზოლით, რომელზეც წერია: 100-ზე მეტი შესანიშნავი ოთხფერიანი ფოტოსურათი", წიგნის ფასი კი ზუსტად ცენტრშია განთავსებული, თითქოს მოდელის გენიტალიების დასაფარად, ისე, როგორც პორნოგრაფიული ჟურნალების გარეკანებზე ვხედავთ ხოლმე.

უნიფორმა ასოცირდება წესრიგთან, იდენტობასთან (თუმცა, სამხრეები, ნიშნაკები, მედლები არ გვამცნობენ, ვინ ატარებდა მათ და რა მოიმოქმედეს მათმა მფლობლებმა), კომპეტენციასთან, კანონიერ ხელისუფლებასთან, ძალადობის დაკანონებასთან. მაგრამ უნიფორმა განსხვავდება უნიფორმის ფოტოსურათისგან. უნიფორმის ფოტოსურათები წარმოადგენს ეროტიკულ მასალას. კერძოდ, ამგვარია SS-ის ფოტოსურათები. რატომ SS-ისა? იმიტომ, რომ SS-ი არის ფაშიზმის ყველაზე უფრო სრულყოფილი განსახიერება, რომელიც აშკარად ამტკიცებს ძალმომრეობის სამართლიანობას და სხვა ადამიანების აბსოლუტური დაქვემდებარების უფლებას. ეს მტკიცება ყველაზე უფრო მეტად SS-ს მიემართება, რადგან სწორედ ესესელები მოქმედებდნენ განსაკუთრებით მკაცრად და ეფექტიანად; გარდა ამისა, მათთვის დამახასიათებელი იყო ქცევის დრამატიზება, გარკვეულ ესთეტიკურ სტანდარტებთან დაკავშირება. SS-ი ჩაფიქრებული იყო, როგორც ელიტური სამხედრო გაერთიანება, რომელიც არა მარტო განსაკუთრებით სასტიკი, არამედ განსაკუთრებით ლამაზიც უნდა ყოფილიყო (ალბათ, ვერ იშოვით წიგნს, სახელწოდებით ყავისფერპერანგებიანების რეგალიები". SA, რომელსაც SS ჩაენაცვლა, ამ უკანასკნელზე ნაკლებად სასტიკი როდი იყო, მაგრამ ისტორიაში შევიდა, მხოლოდ როგორც ჩასკვნილი, ჯმუხი, ლუდის მოყვარული გერმანელი სამხედრო პირების გაერთიანება).

SS-ის უნიფორმები მოხდენილია, კარგად შეკერილი, ოდნავ ექსცენტრიკული. გაიხსენეთ ამერიკული არმიის საკმაოდ ბანალური და არც ისე კარგად გამოჭრილი უნიფორმა: ქურთუკი, პერანგი, ჰალსტუხი, შარვალი, წინდები და ზონრებიანი ფეხსაცმლები - არსებითად, სამოქალაქო ტანსაცმელი. SS-ის უნიფორმები ტანზე მომდგარი, მძიმე, უხეში იყო. მძიმე ჩექმები აიძულებდა ჯარისკაცს, წელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

განართულიყო. აი, როგორაა აღწერილი ესესელის ქურთუკი **SS Regalia**-ში: „უნიფორმა შავი იყო - ესაა ფერი, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს გერმანიაში. ამასთან, ესესელები ატარებდნენ უამრავ სამშვენისს, სიმბოლოსა და ნიშნაკებს (მაგალითად, საყელოზე გამოსახულ რუნებს და თავის ქალას), რათა განესხვავებინათ სამხედრო წოდებები. ეს იყო ერთდროულად დრამატული და საშიშარი სანახაობა“.

ამ სახელგანთქმული შავი უნიფორმების გარდა, SS-ის ჯარისკაცები ატარებდნენ თითქმის ამერიკული არმიის მსგავს ხაკისფერ ფორმას, მოსასხამსა და ქურთუკებს. წიგნში, უნიფორმების გარდა, შესაძლებელია საყელოების, მანჟეტების საკინძების, შევრონების, ქამრის ბალთების, სამახსოვრო ნიშნაკების, პოლკების დროშების, ქუდების, მედლების, სამხრეების, საშვებების ნახვა. ყოველი მათგანი დეტალურადაა დახასიათებული წოდების, სამხედრო დანაყოფის, დამზადების წლისა და ადგილის მიხედვით. ეს ერთი შეხედვით უწყინარი ფოტოსურათები, ამავდროულად ძალზე შთამბეჭდავიცაა. ფანტაზიის გასაღვივებლად ხომ დეტალებია საჭირო. რა ფერისა იყო საშვი, რომლითაც SS-ის სერჟანტს შეეძლო გამგზავრება ტრირიდან ლუბეკში 1944 წლის გაზაფხულზე? ამის წარმოსადგენად საჭიროა სარწმუნო დოკუმენტაცია.

თუკი ფაშიზმის იდეის ერთგვარი ნეიტრალიზაცია განხორციელდა ესთეტიკის მეშვეობით, სამაგიეროდ, მოხდა მისი ატრიბუტების სექსუალიზება. ფაშიზმის ეს ეროტიზაცია თავს იჩენს დახვეწილი ფორმებით. ასეთია, მაგალითად, მიშიმას ნიღბის აღსარება“ და მზე და ფოლადი“, ასევე - ისეთი ფილმები, როგორებიცაა კენეთ ენგერის აღმდგარი მორიელი“, ვისკონტის დაწყევლილნი“ და ლილიანა კავანის ღამის პორტიე“.

ფაშიზმის ეროტიზმი უნდა განვასხვაოთ ე.წ.“კულტურული შიშით“ დახვეწილი თამაშისგან, სადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩაცმულობა. რობერტ მორისის პლაკატზე, რომელიც 1974 წლის აპრილში კასტელის გალერეაში გამოიფინა, ვხედავთ მხატვრის ფოტოსურათს. წელამდე შიშველ მორისს მუქმინიანი სათვალე უკეთია, თავზე ნაცისტური ჩაჩქანი ახურავს, ფოლადის საყელურზე მიბმული მსხვილი ჯაჭვი კი აწეული ხელებით უჭირავს. როგორც ამბობენ, მორისის აზრით, ამ სურათს შოკის მომგვრა ძალუძს: ეს კი ერთადერთი ფასეულობაა იმათთვის, ვისაც მიაჩნია, რომ ხელოვნება სხვა არაფერია, თუ არა მაპროვოცირებელი ჟესტების თანმიმდევრობა. მაგრამ ამ პლაკატის დედააზრი მისივე შინაარსის უარყოფაში მდგომარეობს. ამასთან, შოკის მომგვრელი ქმნილებები იზიდავს მაყურებლებს, და მართლაც, ნაცისტური მასალა შედის პოპულარული იკონოგრაფიის ვრცელ რეპერტუარში.

ნაციზმი ისეთივე მომნუსხველია, როგორც პოპიკონოგრაფია (მაო ძე-დუნის გამოსახულებებით დაწყებული და მერილინ მონროს ფოტოსურათებით დამთავრებული) და მისდამი ინტერესის საერთო გაძლიერება შეიძლება ცნობისმოყვარეობით აიხსნას. იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დაიბადნენ 40-იანი წლების შემდეგ და თავი გამოლაყებული აქვთ კომუნიზმისა და ფაშიზმის შესახებ მათი მამების ლაყბობით, ფაშიზმი ეგზოტიკაა, უცნობი რამაა. ახალგაზრდებს იზიდავს საშინელებათა სფერო, ირაციონალურის სფერო. ფაშიზმის ისტორიისადმი მიძღვნილი კურსები, ოკულტიზმთან (ვამპირიზმის ჩათვლით) ერთად, ყველაზე უფრო პოპულარულია სტუდენტთა შორის, და, გარდა ამისა, ფაშიზმის სექსუალური საცთურები, რომლებსაც **SS Regalia** წარმოაჩენს, თითქოს შეუღწევადია ირონიისა ან ჭარბი ფამილარობისთვის.



პორნოგრაფიულ ლიტერატურაში, ფილმებსა და გაზეთებში მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით - შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, იაპონიაში, სკანდინავიაში, ჰოლანდიასა და გერმანიაში SS-ი სექსუალური ავანტიურიზმის ორიენტირად იქცა. მეტ-ნაკლებად ნაცისტური კოსტიუმები ჩექმებით, ტყავის ტანსაცმლით, ჯაჭვებით, შიშველ გულ-მკერდზე დაკიდული რკინის ჯვრებითა და სვასტიკებით, ხორცის დასაკიდებელ კაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქებთან და მძიმე მოტოციკლებთან ერთად, ეროტიკის ფარული და ყველაზე უფრო მომგებიანი ატრიბუტია. სექსშოპებში, აბანოებში, ბარებში, საროსკიპოებში ხშირად ნახავთ ამგვარი ნივთებით აღჭურვილ ადამიანებს. კი მაგრამ, რატომ? რატომაა, რომ ნაცისტური გერმანია, რომელიც სექსუალურად რეპრესიული ქვეყანა იყო, ეროტიკულობის წყაროდ გვევლინება? როგორ მოხდა, რომ რეჟიმი, რომელიც სდევნიდა ჰომოსექსუალებს, იზიდავს გეებს?

ამის ასახსნელად უნდა გავიხსენოთ, რომ ფაშიზმის ლიდერები მიდრეკილნი იყვნენ ძალზე სექსუალური მეტაფორებისკენ (ნიცშესა და ვაგნერის მსგავსად, ჰიტლერი განიხილავდა ძალაუფლებას, როგორ სექსუალურ ბატონობას ქალურ" მასებზე, როგორც ძალადობას. ნების ტრიუმფში" ბრბოს გამომეტყველება - ექსტაზია, ლიდერი აღაგზნებს ბრბოს). მემარცხენე მოძრაობები ერთსქესიანობისა და ასექსუალობისკენაც კი არიან მიდრეკილნი. უკიდურეს მემარჯვენე მოძრაობებს, როგორი პურიტანული და რეპრესიულებიც უნდა იყვნენ ისინი, ეროტიკულობა ახასიათებს. ნაციზმი ნამდვილად უფრო სექსუალურია", ვიდრე კომუნიზმი (რაც ნაციზმის სასარგებლოდ კი არ მეტყველებს, არამედ ავლენს სექსუალური წარმოსახვის არსსა და საზღვრებს).

რა თქმა უნდა, ადამიანთა უმრავლესობას არ მოსწონს ის, რასაც ნაცისტები სჩადიოდნენ (თუკი მათ მეტ-ნაკლებად ზუსტი წარმოდგენა აქვთ ნაციზმის შესახებ). მიუხედავად ამისა, არსებობს სექსუალური დევიაცია, რომელსაც, ჩვეულებრივ, სადომაზოხიზმს" უწოდებენ და რომელიც ნაცისტობანას" ეროტიკულ თამაშად აქცევს. ეს სადომაზოხისტური ფანტაზიები და პრაქტიკები გავრცელებულია როგორც ჰეტეროსექსუალებს, ისე - ჰომოსექსუალებს შორის, თუმცა, ჰომოსექსუალებს შორის ნაციზმის ეროტიზება უფრო შესამჩნევია.

ფაშიზმი თეატრიაო, თქვა ჟენემ.[5] და სადომაზოხისტური სექსუალობა უფრო თეატრალურია, ვიდრე - ნებისმიერი სხვა რამ. როდესაც სექსუალობა ესოდენ ძლიერაა დამოკიდებული მის დადგმაზე", სექსი (პოლიტიკის მსგავსად) ქორეოგრაფიად იქცევა. სადომაზოხისტური სექსის მიმდევრები გამოცდილი კოსტიუმერები და ქორეოგრაფები არიან. ისინი შემსრულებლები არიან, პროფესიული გაგებით. და დრამაში ეს კიდევ უფრო აღმაგზნებელია, რადგან ამგვარი თამაშები ეკრძალებათ ჩვეულებრივ ადამიანებს. ის, რაც წმინდა რეალისტურია, - თქვა ლენი რიფენშტალმა, - რაც საშუალოსტატისტიკური და ბანალურია, არ მაინტერესებს". საკმაოდ გავრცელებული სადომაზოხისტური ფანტაზიებიდან ქმედებაზე გადასვლა იწვევს მძაფრ აღგზნებას, უმართებულო ქცევის, ღვთის გმობის, სიწმინდეთა შებღალვის განცდას, რაც მიუწვდომელია ზრდილი" და ცივილიზებული" ადამიანებისთვის.

რა თქმა უნდა, სადომაზოხიზმი ნიშნავს, რომ ადამიანები ზიანს აყენებენ თავიანთ სექსუალურ პარტნიორებს, რაც ყოველთვის ხდებოდა, - და, ჩვეულებრივ, იმაში გამოიხატება, რომ მამაკაცები სცემენ ქალებს. მუდმივად მთვრალი რუსი გლეხი, რომელიც სცემს თავის ცოლს, ასე იმიტომ იქცევა, რომ უბედურია, დაჩაგრულია, ალკოჰოლით გაბრუებულია და იმიტომ, რომ ქალების ცემა ადვილია. მაგრამ არის ინგლისელი, რომელიც ბორდელში სცემს მეძავს, ფულს უხდის ქალს, რათა მასთან ერთად გაითამაშოს სპექტაკლი, გაიხსენოს წარსული - მონაფეობის ან სიყრმის წლები. ნაციზმის თეატრალიზაციისას ადამიანებმა შეიძლება გაიხსენონ ნაცისტური წარსული, რადგან სწორედ ეს წარსული (უმრავლესობისთვის წარმოსახული) არის, მათი აზრით, სექსუალური ენერგიის საცავი. ჯამში, ამგვარ პიესაში გათამაშდება სუბიექტის ავადმყოფობის პირადი ისტორია.

სადომაზოხიზმის რიტუალები, რომლებიც სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს, და ხელოვნება, რომელიც სულ უფრო მეტ ადგილს უთმობს ამ თემების გაშუქებას, შესაძლოა, კერძო გამოხატულებაა მზარდი საზოგადოებრივი ტენდენციისა, რომელიც ადამიანის შესაძლებლობათა არჩევანის გაფართოებაში მდგომარეობს. აქამდე ყველა საზოგადოებაში სექსი ძირითადად, საქმიანობა იყო (საქმიანობა, რომელიც ფიქრს არ მოითხოვს). მაგრამ როდესაც სექსი იძენს გარკვეულობას, ის, როგორც ჩანს, იქცევა თეატრის გაცნობიერებულ ფორმად, ანუ სადომაზოხიზმად - დაკმაყოფილების ფორმად, რომელიც ერთდროულად ძალადობრივიცაა და მენტალურიც.

სადომაზოხიზმი ყოველთვის წარმოადგენდა განცდას, რომელშიც სექსი სწყდება პიროვნებას, აღარ უკავშირდება ორი ადამიანის ურთიერთობას, სიყვარულს. გასაკვირი არაა, რომ ბოლო წლებში ის ნაცისტურ სიმბოლიკას დაუკავშირდა. ბატონებისა და მონების ურთიერთდამოკიდებულებები ისტორიაში არასოდეს რეალიზებულა ესოდენ გაცნობიერებული მხატვრული ჩანაფიქრის შესაბამისად. დე სადს ნულიდან უნდა შეექმნა ძალმომრეობისა და ტკბობის თეატრი, გამოეგონა დეკორი, კოსტიუმები და შესაბამისი რიტუალები. ახლა კი არსებობს გარკვეული სცენარი, რომელიც ყველასთვისაა ხელმისაწვდომი. მისი ფერი შავია, მასალა - ტყავი, ცდუნება - სილამაზე, გამართლება - გულწრფელობა, მიზანი - ექსტაზი, ფანტაზია - სიკვდილი.

© The New York Review of Books
1975

5 სწორედ ჟენეს რომანი დაკრძალვის ცერემონიალი" არის ერთ-ერთი პირველი ტექსტი, სადაც ნაჩვენებია ფაშიზმის ეროტიკული ხიბლი. მას განიცდის პერსონაჟი, რომელიც ფაშისტი არაა. კიდევ ერთი წინასწარმეტყველური აღწერა მოგვცა სარტრმა, რომლისთვისაც ამგვარი გრძნობები უცხო უნდა ყოფილიყო, და რომელმაც მათ შესახებ, შესაძლოა, ჟენესგან მოისმინა. ოთხნაწილიანი რომანის - თავისუფლების გზების" - მესამე ნაწილში, სიკვდილი სულში" (1949), სარტრი აღწერს ერთ-ერთი პროტაგონისტის განცდებს 1940 წელს პარიზში გერმანული არმიის შესვლისას.


აქ შეიძლება ყოფილიყო
თქვენი რეკლამა
ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge
2-10
659/39